სერგი (გითრგი) საჯაია

ჩემო თოლიგე, ასგზის შურიგე და სულის ყეგურო, ნანა!..

(ვინოსგანგარგუა ჩემი ნულიერი შოგანაქის)

I

ან დავკარგე; რად ან გიკვირს, რად ფიქრიანი ვარ, რად ვარ რეკვად?
ვა, სოფელი უსანოო, რად ზი სისხლითა ჩემია ხვრეკად?!

შოთა რუსთაველი

სერგი (გიორგი) საჯაია

ჩემო თოლიგე, ასგზის შურიგე
და
სულის ყებურო, ნ ა ნ ა !..

(მინონგარაფა ჩემი სულიერი ფორიაქის)

I

ზენაარი
თბილისი - 2021

UDC (უაკ) 328 (479.224)
ს-372

რედაქტორი ზურაბ ქობალია

© გამომცემლობა „ზენაარი“
თბილისი, ზანდუკელის 1,
ტელ.: 5 99 343 727; (032) 298 48 07;
ელფოსტა: zurkob@gmail.com
ვებგვერდი: zenaari.ge

ISBN 978-9941-9701-8-4

წინასიტყვაობა

თოლიგე და შურიგე ამ სიტყვებით მიმართვენ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთში, ერთუღელში შებმულნი. ამგვარი მიმართვა უფლის ხელდასმულობას ნიშნავს და ღვთის ნების აღსრულებას მეუღლეებს შორის უთიერთობაში.

თოლიგე - თვალის ჩინო და შურიგე - სულის საფიცარო, სულის ყებურში, ანუ სულის შუაცეცხლში გაატარა ბატონმა სერგი საჯაიამ და ისე მიუტანა მკითხველს თვალსაჩინო ქართველის, სულითხორცამდე სამშობლოზე შეყვარებულის, მისი მეუღლის, ქალბატონი ნანას სიცოცხლის ბოლო დღეების განცდები, **რომელიც მის ემოციებთან ერთად ნიმუშია იმისა თუ როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო ერთმანეთის სიყვარულითა და პატივისცემით.**

დღიურის სახით, ლამის ყოველდღიურად ესათუთება მის მტკივნეულ სულს და მკითხველსაც თანაგრძნობას აღუძრავს, არა მხოლოდ ქალბატონი ნანას მიმართ, არამედ იმ სამშობლოს სიდუხჭირის გამო, რომლის სიმბოლურ სახესაც წარმოადგენს უმშვენიერესი ქალბატონი, ნამდვილი პატრიოტი და სამშობლოს სიყვარულს შეწირული, ნანა!..

ბევრი შეიძლება ითქვას ამ წიგნის მაღალმხატვრულ ღირებულებაზე და მის ორიგინალურობაზე, მაგრამ უმჯობესია, მკითხველმა თავად გაიკვლიოს გზა, ამ გულისტკივილით დაწერილ, სულის ფორიაქში.

არაფერს ვამბობ ავტორის სულისა და გულის ტკივილზე, რომელიც ყოველ სტრიქონში თან სდევს ამ საოცარ წიგნს.

იშვიათად მოიძებნება მსგავსი შეგრძნებით, ალალად დაწერილი წიგნი არა თუ ქართულ ლიტერატურაში, არამედ სხვა მასტაბითაც.

ვფიქრობ, მკითხველი გაითავისებს ამ ფრიად საინტერესო და საინტერესოდ დაწერილ წიგნს და მე, როგორც რედაქტორი, გზას დავულოცავ მას ფართო მკითხველისაკენ.

სამწუხაროდ, მისი ტირაჟი, ალბათ დიდი ვერ იქნება გარკვეულ მიზეზთა გამო, მაგრამ დადგება დრო, რომ მისი მრავალტირაჟიანი გამოცემებიც დაამშვენებს წიგნის დახლებსა თუ თაროებს.

პატივისცემით, **ზურაბ ქობალია.**

გამოისყიდეთ დრო, რამეთუ ბოროტნი არიან დღენი...
ეფესელთა მიმართ-5,16;

მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა...
შოთა რუსთაველი;
ვიცი, გაფითრებული, ვგავარ შემოღამებას...
ტერენტი გრანელი

1: 5, 6, 7-10. 2019 წ. **<u>სათავზარო სიცხადის პირისპირ:</u>** იწვა და ეძინა, მაგრამ ოთახში შევედი თუ არა, გაიღვიძა. როდესაც დამინახა, ამღვრეული გონება და სულიერი შფოთი, რომელიც ამ საზარელმა ავადმყოფობამ დაატეხა თავს, დაულაგდა თითქოს: მიცნო და ენით აუწერელ მოერთსხეულებაში აიკვარცხლბეკა სიხარული და თავსდამტყდარი სენის კლანჭებიდან გამოღწეული ალერსი.

ცხადი იყო, რომ ჩამქრალი გონებიდან რაღაც სასწაულმა ნაყარ-ნუყარი მეხსიერება მისი თვალებიდან მზერად ააკოცონა. დადამბლავებული ხორხიდან ურა ულაყივით აიწყვიტა მუნჯად ნატარებმა მონატრებამ, - „სად იყავი“-ო, მკითხა ენაბმით და იმავ წამს, თითქოს დაამუხრუჭესო, უმწეო ამოხავლებთ ამაოდ სცადა რაღაცის კიდევ თქმა.

იმგვარად, ვითომცდა დოლაბი ჰკიდიაო ზურგზე, სიმწრისგან სახედაოფლილმა მაინც ღიმილი შემოიფინა ნატანჯ სახეზე და ვერდაგუბებული ერთსულ-ერთხორცობა ჩემს ჩასაკრიალოსნებელ დღეებს საგზლად მოამშობლიურა.

თვალშისაცემად ჩანდა, რომ ასე, სიხარულზე ამხედრებული ვერაგ დამბლას აუჯანყდა და ამ შეხვედრის ბედნიერებად გაოთხივკუთხება დიდი გულმოდგინებით სცადა, თუმცა, დაუმორჩილებელი ხორხიდან უხმო შორისდებულიღა ამოიქშინა მხოლოდ.

... მანამდე იყო სნეულთა სახლი. ამ წუთამდე ბებუთივით მისერავს გულს იმ დღის სისხამი: ახალ წელს საავადმყოფოში შეხვდა. დილაუთენია მივაკითხე. ლოგინზე ხმისამო-

უღებლად და გაუნძრევლად, თვალში საცემი საეჭვოობით იჯდა გაქვავებული. იგი იმხანად წვალებით, მაგრამ საუბარს ახერხებდა. დამინახა თუ არა, თითქოს ტვირთი მოეხსნაო, მანიშნა, მივახლოებოდი და თავზარდამცემი სასოწარკვეთით ჩამჩურჩულა: **„გამექცა“**-ო!..

სირცხვილის ალმურმა დაუგლოვა სახე. ამგვარად მხოლოდ შვილი თუ გაენდობა დედას. უხმო კივილით შველას მთხოვდა დაახლოებით ისე, საკუთარ მუხლებს რომ შეევედრო, - როგორმე ეს აღმართი ამამთავრებინეო!..

მხარში შევუდექი და საპირფარეშოში წავიყვანე. მოვიცილეთ მტანჯველი უხერხულობა.

როგორ ვეიმედებოდი! ვგრძნობდი, მისი დანისლული თვალგახელა თუ როგორ დანდობილად მადგენდა თავისი უმწეობის მაშველ რგოლად: მკლავში ჩამებღაუჭა, ჩაიკრა და ხელისგულზე მაკოცა.

ახლა კი, ამ წუთში ვიდექი ხეჭკურე, უმწეო, უღონო და უხვალდღეო.

იგი თავსმოხვეული უსასოობის წინააღმდეგ ამბოხებული, ხოხბის აფრენასავით ცდილობდა გამოსხლტომოდა ლოგინზემიჯაჭვულობას და ამნაირად გასაცოდავებულს ვეღარ ვშველოდი მეთქი!

ადამიანში დაცემული ბუნების მაქვითკირებელი სიმდაბლე ასეთ წუთებში ჩამონაწვიმი ცრემლით განიბანება და ამგვარადვე დიადდება.

მას, ღვთისმოშიშსა და ქვეყნის უერთგულესს ამგვარი განსაცდელი აღმართზე ქვასავით წამოეწია.

ის ყოველთვის და ყველგან ცდილობდა, დაევიწყებინა უნდობარი ხვედრი, თუმცა, ცალკეულ წუთჩაფიქრებებში ეჯანყებოდა თავსმოხვეული მარტოობა და შემოფეთებული უსამართლობით დასერილი გული. ასეთ დროს იგი ამბოხს სიჩუმით უპირისპირდებოდა, მაგრამ ეს იყო სიტყვაზე ხმაურიანი დუმილი.

ის არ იყო მხოლოდ რიტუალური მორწმუნე, მის თვალებში ბრწყინვალე აღდგომის უბზარო რწმენა დღესასწა-

ულობდა. ცხადია, ჩემი მარტოსულობის ათვლა ხელახლა დაიწყო წინამდებარე სისასტიკის ნიშანსვეტიდან.

ამის მიხედვით მადლობა ყველას, ვინც აქ დამინახა, დამიჯერა და თანამიგრძნო, რადგან ჩემი სატკივარი არაა ისეთი მოვლენა, რისთვისაც საზოგადოება ცვრიანი მწვადის მონატრებას გადაახვალდღეებს.

კი, ბატონო, ოდესღაც ანგელოზებად დავიბადეთ, მაგრამ ის ადგილი, როგორიცაა ჩემი მარტოკაცობის მოსაზღვრულობა, უბოდიშოდ ცდილობს ან მოძალადედ გაქციოს, ან მსხვერპლად დაგადგინოს. იმ ურთიერთობას ვგულისხმობ, რომელიც ერის დედანი შინაარსიდან არ გამომდინარეობს და ხალხს უხერხულობაში აგდებს.

რაც შეეხება მსხვერპლს, თუ მოგერივნენ და გცემეს, ეს ჯერ კიდევ არაა დასასრული, მაგრამ თუ გაგლახეს, მაშინ გათავდა ყველაფერი, თვითმავალი გვამი ხდები ამ დროს.

... იმ დღეებში უბედნიერესი კაცი ვიყავი: წუთით არ მშორდებოდა, მეფერებოდა. მართალია, ვერ მეტყველებდა, მაგრამ რაღაც საალერსო ბგერებს მიხმიანებდა.

ბოლოს, ამ ღვთისწყალობაში, ანუ ღვთივნებადართულ სიხარულში, ეშმაკის გულმოდგინებით ჩამირწყია „ჟამმა უნდობარმა“, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით, ახლა კი...

* * *

2: 23. 12. 2019 წ. <u>**დრო მხოლოდ ორისთვის:**</u> გუშინ სარკმელთან მდგარა, ჩვეულებრივ მდუმარედ გასცქეროდა მიდამოს და მომხდარა სასწაული: **„დედა, დედა... მამაა“**, - სიჩუმის თავზარში დამბლას გამოსხლტომია სიტყვა, **„- სერგის ვეძახი და არ მპასუხობსო“,** - მერე გულამომჯდარს დაუძენია, **„- ასე არ მინდოდაო, მე!..“**

ეს გასაკვირი იმიტომ იყო, რომ მანამდე, ეს ბოლო ორი წელი დადამბლავებული ხორხი არ ალაპარაკებდა მეთქი, თუმცა, თვალებით ანანაგებდა სათქმელს.

სწორედ მაშინ ჩავაკითხე, წამლები ჩავუტანე. ეტყობოდა, რაღაც გავალზე დატუქსეს. დამინახა თუ არა, მოკავშირედ

დამიგულა, თავშესაფარი იპოვა ჩემში, შეთქმულის მზერით გამოიხედა ჩემსკენ და სახის გამკაცრებით აუჯანყდა დატუქსვას.

მერე კაშნე მზრუნველად გამისწორა, ხელისგულზე მომიჭირა, სავარძელში ჩამაჯინა. ვეგდე გაუნძრევლად, ყურს ვუგდებდი მის მოფორიაქე სუნთქვას და ვგრძნობდი კი არა, მესმოდა თუ როგორ მომბღაოდა გულსმოგლეჯილი ოდაბადე ჩემი: **„დიდოუ ნანა, ჭყოლირ გურსუ ვამიჭუა!..“**

* * *

3: 14. 01. 2020 წ. **<u>ფიქრი სამომავლოდ მონიშნულ თავშესაფართან:</u>** ამ ცისქვეშეთში ეროვნული ბედნიერება იყავი შენს პირად სამყაროში საკუთარი ბედნიერების გარეშე.

ასე თავდადებით სწორედ ამიტომ გავუერთსხეულდი საჩემოდ მოპიროვნებულ ავადყოფნას და სულისკვეთება მივულიანდაგე ყურდახშობილი საზოგადოების მორევში ჩემს მარტოობას.

ცოტაც გაიჭირვე, ჩემო შურიგე, მე უკვე ზეციური საქართველოსკენ მიმთითებელი სვლაგეზის ბოლო გაჩერებაზე ჩამომჯდარმა, მკაფიოდ მოვნიშნე ადგილი, სადაც, თუ ბედმა არ მიმოგვერდა კვლავ, ზნეობრივ საწყაოდ განიშანსვეტდება ის საჩვენო ძვალშესალაგი, რომლის მიმართ ავმოსურნეობა ღვთისუნებური იქნება ამ უხანო დროსა და სივრცეში.

უფალს ვთხოვ, ისე გაგინათდეს დღეს მძიმე ავადმყოფობისგან გამოჭამული უჭკვიანესი გონება, წაკითხვა და მოფერება შესძლო შენგან ნაალერსევი წინამდებარე ტკივილების.

შენ იცი, მე ვტიროდი და ვიბრძოდი ჩემი სამშობლოს გამო. ის მე (მეტი საქმე არა აქვს) არ დამიტირებს. <u>სამაგიეროდ, შენ დაიცრემლები ჩემს საფლავზე, ნანა!</u>

აორთქლებამდე გიდუღდებოდა სისხლი, როდესაც ხედავდი თუ როგორი თარეშის წესით იქუსლებოდა ქრისტესმხედრული ვინაობა და მას, თავისუფლებისა და დემოკრატიის აბრის ქვეშ, ენაცვლებოდა ყოვლისმკადრებლობის, თა-

ვხედობის, უტიფრობის, უჭკუობისა და წინგაუხედაობის დრო!..

კაცურო ოხვრავ, ცოდვილი მიწის სიყრუეს გაუხმოვანე: **დიახ, ის იყო ბედნიერება საკუთარი ბედნიერების გარეშე!**

* * *

4: 18. 02. 2020 წ. <u>**მიარტახება ტანჯვასთან:**</u> მე ავადმყოფი და უმწეო აქ, თბილისში ვიწექი, - ჩემს ცივ საკანში. ის კვლავ სოფელში იყო, მამისეულ სახლში. მისმა დამ ტელეფონი გადასცა და ჩემი საუბარი გააგონა. სცადა, მაგრამ საპასუხოდ ხმა ვერ ამოიღო. გამსაცოდავებელი სასოწარკვეთა და ტანჯვა აღბეჭდილა ერთ დროს ლამაზ სახეზე. ზუსტად ისე, წყლის დათბობისას, ცივ მინაზე რომ გაწვეთდება ორთქლი, იმგვარად მიეცრემლა მის უსიხარულობისგან გაყინულ ლოყას ნახანძრალი გულის ოხშივარი.

ცოტა ხნის შემდეგ ალბომში სურათების თვალიერება დაუწყია. ჯერ აწგანსვენებული დედის სურათი მოხვედრია ხელში. ძალიან გახარებია. აუწერელი მოფერებითა და ძუძუს წოვის წაბაძვა-მიმსგავსებით უნიშნებია დისთვის, - ვინც იმზირებოდა ფოტოსურათიდან. შემდეგ დიდხანს უყურა, თურმე, ქაღალდზე თავისი ბავშვობის წამგარინდებას, მასზე ჩითის ყვავილებიანი კაბა და რატომღაც ბამბის გრძელი წინდები ცმია. საკუთარი თავი უცვნია და კმაყოფილს სურათიანი ხელი მკერდზე მიუდვია, - მე ვარო.

შემდეგ ელდანაკრავივით დაძაბულა, ტახტიდან როგორღაც წამომდგარა, მაგიდასთან მიმჯდარა, ქაღალდი წინ დაუდვია, საწერი კოხტად მოუმარჯვნია და რაღაცის დაწერა უცდია, მაგრამ ვერ შესძლო. ამის გამო სულის ამოქუხილს გული ამოაყოლაო, თითქოს. თავზე ორივე ხელი გაშმაგებით შემოურტყამს და სივრცისკენ მიმიზნებულ საამბოხო მზერას ორი წკონდა ცრემლი მიათავზარა კვლავ. ამის შემდეგ არ ვიცი, დავიჯერო თუ არა, მაგრამ ითქვა და მეც გიმეორებთ, რაღაც გახსენებია, მაგიდაზე მიმოყრილ ქაღალდებში ძებნა დაუწყია . მალევე მიუგნია იმ გაზეთისთვის, რომელშიც ჩემი

წერილი სურათთან ერთად იყო გამოქვეყნებული. მიუხედ-მოუხედავს, მალულად აუღია (უფრო სწორად, მოუპარავს, მაგრამ ვის მოპარა?!), ოთხად დაუკეცავს და ჯემპრის ქვეშ, თავის ქათქათა ძუძუებში ჩაუმალავს.

ამ დროს, გარეთ, ეზოში მისი ბიძაშვილი გოგია, რომელსაც ორი სირჩა არაყი გადაკრული ჰქონდა უკვე, შეშას აპობდა და თავისთვის ღიღინებდა სადღაც ყურმოკრულს: **„არსად მეჩქარება, არსად მიმელიან, არვის ვენატრები მეეე!..“**

... და ეს ღიღინი არ გახლდათ **„ზღვა მხოლოდ მუხლამდე მიმწვდარი“** გოგიას თავგართობა. იგი ამ უსულგულო ცისქვეშეთში ორპირი ბედის სიმუხთლით ყავლგასულ შინაარსად თუ ვინაობად დადგენილის დატირებით ეკლანჭებოდა სივრცეს.

ამით ადამიანობისკენ მიმდრეკი თანაგრძნობის კიაფი თითქოს იღიმებოდა, მაგრამ მაინც ივარაუდებოდა ძალიან შორს, - მანძილს არ უნდა შეპუებოდი, ოღონდ!..

* * *

5: 1. 03. 2020 წ. <u>**უსასტიკესი ნაღვლის უხმო დაღი:**</u> ... და ყოვლადწმინდა ღთისმშობლის წინაშე ვეუბნები მას: უშენოდ გაუდაბურდა სული. იმ უხანო დღეებში შენ ისე შემოუენგურდი და ისე შემოულიახვდი ჩემს მარტოობას, - მუხლმაგრად ვუმკლავდებოდი თავზე წისქვილის დოლაბის დატრიალებას. დღეს მარტო დავრჩი და კვლავ გამიუდაბურდა თვალსაწიერი. ცხადია, შენი ამგვარი მდგომარეობა დიდმა ცხოვრებისეულმა სისასტიკემ შემოგაფეთა, არაა ეს შენი ბრალი, მაგრამ ესეც სიცხადეა, მარტო რომ დავრჩი მე... რამაც შეიძლება, ჩასაფრებულ ავმოსურნეთა შემოთარეშებას უზურგისქაროს დღეს.

დიახ, როგორ არ ვიცი, გულგამოხრული ნაღვლის უხმო დაღად იგი ავდროებამ დოლაბმიბმულად გადააგდო უმადურობის მორევში.

ის არ ყოფილა კინოვარსკვლავი, გახმაურებული მომღერალი, მეცნიერებაში დაწინაურებული... ერთი გადაკარგუ-

ლი სოფლიდან გაისტუმრა უსათნოესმა დედამ ნაჭრისგან შეკერილი ჩანთითა და ქაღალდში გახვეული ცხელი ხაჭაპურით ფიცრული სკოლის პირველ კლასში და დაასაგზლა: ეს ხაჭაპური თანაკლასელებს გაუყავიო... მანამდე, მთელი ზაფხული უსიერ ტყეში მოცვს კრეფდა, რათა მისი კუდრაჭასთვის პირველი სექტემბერი გაედღესასწაულებინა, მაგრამ სახელმწიფო დამზადებაში ჩაბარებული მოცვის გასამრჯელო კოლმეურნეობამ დროზე ვერ მისცა.

ჰოდა, ამ ფიცრულში ისე ისწავლა, თბილისის ნიჭიერთა სკოლაში გადაიყვანეს სახელმწიფოს კმაყოფაზე...

ის არასოდეს ყოფილა უვიცური მცოდნეობის გავლენის ქვეშ, მის აზრს თავის დროზე საზოგადო მოღვაწეები უწევდნენ ანგარიშს. ახლა კი მეც, ავადმყოფს, ყოველდღიურობა იმიტომ მექვეშქვეშება, უშენოდ რომ შემიძლია მზის მიგებება, ჭერქვეშ გადაღამება, შენი გაზრდილი კნუტების მოფერება...

სულმა ცხრაკლიტულში გაისაიდუმლა ჩემი უმწეობა, მაგრამ ავდროებამ უბოდიშოდ გაასაჯარისა მოიერიშე თავზარი: ჯოჯოხეთია, როცა შენს გასწვრივ ის თანმიმდევრულად იღუპება, შენ კი ხელფეხი შეგეკრა, ვერ შველი!..

ნანა, მთელი ჩემი გადაქუსლული ცხოვრება კვარცხლბეკია შენგან შემოზაფხულებული წამგახარების!..

* * *

6: 29. 06. 2020 წ. <u>**ღმერთო, მოხედე მხევალს შენსას!..**</u> ღია სარკმლიდან გაიხედა. წინა დღეს სწორედ ამის პირდაპირ მოვაწესრიგე ვაზის ტალავერზე მოშვებული მავთული. საკმაო ხანს მოვუნდი, მდუმარედ მიყურებდა. მეორე დღეს, დილაუთაენია წამოვედი. საღამოს, მის ძმას, გუჯას დაუწყია თვალიერება.

ეტყობა, მიიჩნია, რომ იგი აფუჭებდა ჩემს ნამუშევარს, ე. ი. რადგან მე გავაკეთე, მის საუფროსოსთან „რა ესაქმებოდა გუჯას“, ამიტომ უკიდურესად აღშფოთებულმა ამოიღმუილა **„სერგიიი...“** მეტი ვეღარ შესძლო, სათქმელი გაეჩხირა,

უმწეომ და გულამოსკვნილმა ცისჩამომქცევად ამოიგმინა მხოლოდ!..

* * *

7: 28. 08. 2020 წ. **<u>როცა შურიგე ისევ ისაა:</u>** ყველა დროის დამპყრობის მიზანი გახლდათ ამოეშანთა, ამოეძირკვა, წაეშალა ეროვნული მეხსიერება დაპყრობილისთვის. ეს ადვილდება, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს არ გააჩნია ერის პოლიტიკური სვლაგეზის რუკა, ანუ სტრატეგია, სამაგიეროდ გვყავს „სტრატეგიული პარტნიორი“ (თანაც არაერთი), რომელიც ქართველი ერის მაგივრად კიდეც ფიქრობს და კიდეც ცისქვეშობს. ერს დაუჩლუნგდა ხედვა, საღვთო მადლის წინააღმდეგ ბრძოლას ქართველი ერის სახელით აყოველდღიურებენ ჩვენი ვითომ მოკეთე სტრატეგიული პარტნიორები, მათთვის ეს არაკონვერტირებადი ღირებულებაა. აქედან გამომდინარე, სრულიად საქართველოს გონითი განფენის სივრცესა და მისი მიწიერი განფენილების სხვათაგან დიდმპყრობლურად ნებადართულ მოსაზღვრულობაზე ქვეყანას არ გააჩნია დედანთან შეჯერებული შეხედულება. საზოგადოებას დაავიწყეს, რომ დედაენა იკარგება მაშინ, როდესაც მოსახლეობა ამ ენაზე არ აზროვნებს და არ საუბრობს. ქვეყნის სახელით თვითმარქვიად მოსაქმიანე ოფიციოზს დაევალა საქმე, რომელიც არ უყვარს და არც იცის.

საკითხავია, როდემდე უნდა კოჭლობდეს ჩვენი საზოგადოება ცნობიერად?! ბოლოსდაბოლოს, გადაწყვიტოს: თუ ევრო-ატლანტიკური რასიზმის ქუჩისფსკერულობაა მისი მიზანი, მას გაჰყვეს, თუ რუსიზმია - მას, ხოლო თუ თავის დედან ვინაობაში ხედავს მომავალს, გიორგიანელობა და ქრისტესმხედრობაა მისი ხვალინდელი დღე, - კეთილი ინებოს და გაქუდზეკაცდეს ამ მიზნისთვის!..

ეს იყო ჩვენი სულიერი გაერთსხეულების სარაგადო შინაარსი.

ახლა კი, მერამდენედ ამოვახველო სისხლად?!. ჩემი მარტოობა ტანჯულის წამგაუცდნლობა გახდა. სიბედშავესთან

მიარტახებულს მძიმე ავადმყოფობაც ხელგამოღებულად მხრავს.

ამ ვითარებაში, ის, რომ იგი სოფელში, მამამისეულ სახლში წაიყვანეს მოსავლელად, ჩემთვის სასჯელია, მისთვის - საპატიმრო განჩინება, თუმცა, სასტიკი აუცილებლობით გაწერილი მოცემულობა გახლავთ.

რა თქმა უნდა, ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს, - თავის მხრივ ღვთივსათნო საქმეა მისი დის, ისიც ჯანმრთელობა შერყეულის მხრიდან გაპიროვნებული კატორღული შრომა (დილა-საღამოს დაბანვა, წამლები, კვება, ქვეშაგის სისუფთავე, გასეირნება, ავადმყოფური ჭირვეულობები და ა. შ.)

...ყინვიანი დღე იყო მაშინ, ჩემი უფროსი და - ოლიკო გვესტუმრა. იმ სიცივეში მსუბუქად ეცვა. საღამოს, როდესაც წასვლა დააპირა, მას წინა დღეს თავისთვის ნაყიდი პალტო ჩააცვა...

* * *

8: 5. 09. 2020 წ. <u>**ამონაკვნესი წილხვედრილი სიბერის ყავარჯნებზე:**</u> ზეციური საქართველოსკენ გამგზავრების წინ, ცხოვრების ეტლის ბოლო გაჩერებაზე, მოსაცდელში მინდოდა, შენს მუხლებზე ჩამესვენა თავი. ჩემი ჭაბუკობის მუხლმაგარი, თუმცა ჯერ გაუსხლავი ოცნებები მოსთქვამენ მეთქი ამ წუთში ასე დაუკითხივად შემოსტუმრებული სიბერის უმწეობაში.

და მე, ჩემი ქვეყნისთვის საცდურად შემოჩეჩებული ამ უვინაო უსულგულობასთან პირისპირ წარმდგარს, ისღა დამრჩენია, შენი და ჩემი სახელით თვალასახელ გაფრთხილებად მაინც გავბღავლო მიზნობრივად ყურდახშობილ უსიერ სივრცეს: უფლის სამართალთან პირნათელო წინაპრებო, შეხედეთ წინამდებარე ქუჩისფსკერულ თაობას, - როგორი მონებივრეა იგი სისაძაგლის ტობაში!..

ამ ფეხაწყობას (კლასტერს, როგორც ახლა ამბობენ, ანუ აგვართას, ჩვენებურად რომ ვთარგმნოთ) დამწინაურებელი ქსელის ზედმეტად მრავალფეროვანი საეთნოდივერსიო სა-

შუალება აქვს, რომელთა შორის უმზაკვრესი ძალისხმევა განაპირობებს მათ მიწიერ დაწინაურებას.

1989 წლის 9 აპრილის სისხლიან ღამეს, საბჭოთა ტანკებით, ქიმიური იარაღითა და ალესილი ნიჩბებით შეიარაღებული ოკუპანტების პირდაპირ ასეთი საქართველოსა და ამნაირად ზნედაცემული, მხოლოდ ელექტორატად დადგენილი სიმრავლისათვის არ მდგარა ქაშუეთის წინ ჩემი ლამაზი, ჭკვიანი, გულადი და თავდადებული ნანა. მას ილია ჭავჭავაძის, ამბროსი ხელაიას, კოტე აფხაზის, არზაყან ჰემხვარის, კონსტანტინე გამსახურდიას, ზვიადისა და მერაბის მსოფლმხედველობებით გაშინაარსებული სამშობლოს მარადიულყოფა უნდოდა. იმ ღამის თავზართან ერთად „სქესობრივ უმცირესობათა“ ხრწნადი უფლებადამცველი საზოგადოებაცაა მისი ავადმყოფობის მიზეზი.

... და ამ ავადმყოფობის, საბედისწერო სენის გასწვრივ იცით, რა არის თავზარდამცემი?.. თავადაც ავადმყოფი, შურობუმუს წართმევით გამათხოვრებული, ხიზანი კაცის სიბერით ყავლგასული, ვერც ვშველი და ვერც ვეერთჭერქვეშები.

ჩემი მარტოობა საჯარო მარტოობაა. ასეთ დროს ჩემს მიერ მოთვალსაწიერებულ გეომაგნიტურ სულიერებაში საგანგებო თავგამეტებით ვინახავ ადამიანს დედან, ანუ ლელთ ღუნიას ვინაობაში და ხმამაღლა ვესაუბრები ჩემი ჰაეროვანი ნანას ღვთივწვდომილ თანამოსანგრეობაზე.

არამძიმე ყოფაქცევის თაობა ამას ვერ მიუერთსხეულდება. ამიტომ, ცხადია, უკვე არაერთხელ ვურტყი თავი ყურდახშობის კედელს და ვიქვითინე მონათხოვრებულ სახაზინო ბალიშში, რადგან დღეს ჩემს სამშობლოში შუა საუკუნეების ის ხანა დგას, როდესაც გათითოკაცებული საქართველო დიდმპყრობლობის ხარკს ქართველი გოგო-ბიჭებით იხდიდა, ოღონდ ზნეობაა უფრო უარესი.

ასეთ დროს ძალიან მაკლია ჩემი ჭკვიანი ნანა!..

ეს ნუ გაგიკვირდებათ! თავის დროზე მისი სულის ფორიაქს შეერთსხეულებული ჩემი მართლა აფხაზური (და არა „Абхазец“-ური) ვინაობა მან იქ, შურობუმეში უჭირისუფ-

ლოდ დარჩენილ მშობლიურ საფლავებთა სულისშემძვრელ მონატრებაში შეათრია, თავადაც აქ ჩასანგრდა და რჯულისკანონად განმიჩინა: იდექ უკანდაუხევლად!..

ასეთი წამგაუცდენლობა ყოფნა-არყოფნის მოვალეობად გვექცა, რადგან ქვეყანაში დაძრწიან ვითომ „უფლებადამცველთა“ იმედად ე. წ. არასამთავრობებზე, ვითომ ექსპერტებზე, უპოლიტიკო „პოლიტიკოსებზე“, უსტრატეგიო „სტრატეგებზე“, უიდეო „იდეოლოგებზე“, უჟურნალისტო „ჟურნალისტიკაზე“ და ა. შ. ამხედრებული მაწანწალა, გაიძვერა, ჩასაფრებული და მოთარეშე „უმცირესობები“. მათი სახით ჩვენს სამშობლოში ასე უბოდიშოდ შემოცხოვრებული ავმოსურნე მოხერხებულ დროს ეძებს, რათა ყელი გამოღადროს საქართველოს დედანში გაშინაარსებულ გიორგიანელობას.

აი, ვინ დამაკლდა მე და კიდევ: ბოლო წამს მის მუხლებზე მინდოდა მეთქი, - მდებოდა თავი!..

* * *

9: 27. 09. 2020 წ. <u>**დროთა ჯერმონაცვლეობა:**</u> უყვარდა ჩემი სურათების, ქაღალდების, ნაწერების დათვალიერება და დალაგება. ერთ დღეს, მორიგი თავგართობისას, საოცრად გულშეძრულმა დამიძახა, - ეს ნაწერები აქამდე რადა გაქვს ცხრაკლიტულშიო. ხელში მამაჩემისა და შვილიშვილის - თარაშის წერილები ეკავა, მათ თანდართულ ჩემს განმარტებასთან ერთად.

ამის შემდეგ, ვერ ვიტყვი, რომ ყოველ დღე, მაგრამ ხშირად და ძალიან ჩაფიქრებული კითხულობდა მათ. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ამ დღიურებში ჩამერთო ისინიც. მანამდე, ბარემ, ჩემს შესავალსაც გამოგიქვეყნებთ:

ფიქრები სადგურის მოსაცდელში ზეციურ საქართველოსკენ
ჩემთვის უკანასკნელი მატარებლით გამგზავრებამდე

ბარგებჩალაგებული და ვაშკარან მოკიდებული მგზავრი ვდგავარ ბოლოსწინა გაჩერების ბაქანზე, ვუცდი ჩემს უკანასკნელ მატა-

რეტელს, რათა უფლის ნების შესაბამისად, მივურიგითდე ზეციურ საქართველოს.

არ ვიცი სასადგურო მოძრაობათა განრიგის არც დრო, არც ნებადართულობანი და აღარც ჩემი სამგზავრო მოვალეობანი. ალალ-ბედზე ველოდები. ხის კველაზე ჩამოვჯექი და გარემოს ვათვალიერებ. ამასობაში ფიქრებში ვიძირები: მახსენდება ბესლეთის ხეობა, ჩემს ნაჯაფ სახლ-კარსა და ეზო-კარმიდამოს ოცნებით ვუმშობლიურდები.

ეტყობა, არის ჯერ კიდევ დრო, ზეციური სვლაგეზის ათვლამდე მოგონებათა წამგაელვებებში მათ გასიგრძეგანებას ნაფაზ-ნაფაზ მოთვალსაწიერებით მოვასწრებ...

... ეს კი მამაჩემის წერილი გახლავთ. 1951 წლის 20 მაისს დაუწერია 37 წლისას, სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულს. იმ დღეებშივე გარდაიცვალა.

სანამ უშუალოდ წერილს გაგაცნობდეთ, მინდა აგიწეროთ რვეული, რომელშიც იგი ჩაიწერა. ესაა ხაზგასმულად ქართულად გაფორმებული 12 ფურცლიანი რვეული. დიახ, საგანგებოდ ქართულად, ზუგდიდქაღალდკომბინატში აკინძული.

ცხადია, მამამჩემმა იცოდა, რომ სოფელი პავლოვკა, რომელშიც 1949 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავიდან ჩამოსახლებული რაჭველები ჩაამკვიდრეს და ურავი დაერქვა, ისტორიული აკაფას ნაწილი იყო (მეგრულად აკა - ერთი, ცალი; ფა - ფენა).

ჩანს, რომ მამაჩემს აწუხებდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მიმდინარე პოლიტიკა, რითაც ამ მხარის მოსახლეობა, ისევე, როგორც ეს მხარე, დედანი შინაარსისგან იცლებოდა, ამიტომ ჩემი ცნობიერი სვლაგეზის გასარკვევად საგანგებოდ შერჩეული ქართული რვეულის გარეკანზე მამაჩემს ქართულად მიუწერია: **ქართული ენისათვის, სოხუმის რაიონის სოფელ აკაფის საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე... (ჩემი სახელი, მამის სახელი, გვარი).**

რატომ მე-7 კლასის მოსწავლე? იმიტომ, რომ წერილი უნდა წამეკითხა, როდესაც შვიდწლედს დავამთავრებდი (ეს, იმ დროის მიხედვით, განათლებისკენ გადადგმულ ნაბიჯს ნიშ-

ნავდა, თანაც ამ ხნის ყმაწვილი იმხანად უკვე იპიროვნებდა კომლში პასუხისმგებლობასა და თავკაცობასაც კი, საჭიროების შემთხვევაში).

* * *

1951 წ. 20 მაისი: *სახსოვრად ჩემს წვრილშვილს, უცნობი და მოურჩენელი ავადმყოფობისგან დატანჯული* ***ვარლამ იაკობის ძე საჯაიასგან!***

მე ჭლექიანი ვეგონე ყველას. გაირკვა, რაღაც ახალი ავადმყოფობა გჭირსო, უკურნებელი. ეს ჭლექი არაა, კიბო ჰქვია.

გამჩენს ერთ რამეს ვთხოვდი, მოეშორებინა ჩემთვის ეს ავადმყოფობა, მაგრამ იგი ჩემი უბედურება აღმოჩნდა. მისგან ვკვდები.

ბავშვები მენანება. ვხედავ, ჩემო პაწიეგო, თვალებში სინათლე მეკარგება. გადნა ჩემი სიცოცხლე და ვაჟკაცობა.

მართალია, სიკვდილით ბევრი მომკვდარა, მაგრამ ყველა ავადმყოფობას თავისი სახელი აქვს, მარტო ეს ჩემი ავადმყოფობაა ახალი, მოურჩენელი.

შვილებო, მე ღალატი არ დამაბრალოთ, ამ უბედურებას ვერ მოვერიე. გაივლის ეს დღეებიც და ვერ მნახავთ, იქნება, არც გაგახსენდეთ.

შვილო სერგი, შენ გახსოვდეს, მკერდში რომ მეხუტებოდი, საბანს მისწორებდი, მეუბნებოდი, - ავად ხარ მამაჩემო, შენს ავადმყოფობას მე მოვარჩენო... საბნის ქვეშ ჩუმად მეუბნებოდი ამას.

მე, შვილო, მახსოვს ის შენი სიტყვები, შენი მოქცევა,მოფერება და ალერსი. იცოდე, დიდად მწარეა ასე უდროოდ შვილთან მამის განშორება, მაგრამ შენ ჩემი ფიქრი არ გქონდეს, მე არაფერი მიჭირს, ჩემი მამა და დედა დამხვდება და კიდო ბევრი ნათესავი. მხოლოდ შენ მეცოდები, შვილო, მამაშენი არ იქნება შენთან, ვინ მოგხედავს ობოლს, ვინ გაგიწევს მამაშვილობას ახლა, ბავშვობაში, ან შემდეგ, როცა გაიზრდები.

მაგრამ რა ვუყოთ, შვილო სერგი, მამა ბევრს მოუკვდა, მაგრამ სიგლახეში არ მომხვდარან. შენ ყოჩაღად და ბედნიერად იყავი, ჯანმრთელი, ისწავლე მარტო ფრიადზე. კარგი ქართველი გამოსულიყავი (ქორთუ რექ, მარგალ ქორთუ, სააფხაზო ჯოხი სკან შურიბუმუს). გონიერი იყავი, გენიოსებმა შრომით მიაღწიეს ყველაფერს. დედას გაუფრთხილდი, წელში გაიმართოს, გაახარე...

შვილო, მე, ეს დღეები, სულ შენზე ვფიქრობ, შენთვის ვიტან ამ ტკივილებს, შენთვის ვიწვალე აქამდე, შენთვის ვიცოცხლე, მაგრამ უბედური ავადმყოფობა წამომეწია, უბედურ მამაშენს სიცოცხლე გაუმწარა: თავი უკანო, ფეხი წინ და წუთისოფლიდან გამიტანა...

* * *

2016 წ. ივნისი:

ბაბუ ბატონს - არგანატეხარი

თაობათა უწყვეტობას ჯიშისმიერი მეხსიერება განაპირობებს.

იქ სადაც ეს ასე არაა, „დროთა კავშირი“ დაირღვა

შექსპირი- ჰამლეტი.

ბაბუ - ბატონო... არასოდეს წამიკითხავს ასეთი წერილი, მით უმეტეს, ასეთი სათაურით. ახლა მე უნდა დავწერო... არ ვარ გალაკტიონივით დიადი, რომ ის სათქმელი, რაც მაქვს, რითმებით გადმოგცეთ. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს გრძნობა თუ სათქმელი რითი იქნება გადმოცემული, ლექსით თუ სპექტაკლით, თქმით თუ შეხედვით, მიზანი ერთია - მივიდეს ის ადრესატამდე.

ამ წერილით მინდა გაჩვენოთ, თუ რა ხდება ჩემს სულში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 18 წლის, ზრდასრული ადამიანი ვარ, შინაგანად, მაინც მღრნის ეჭვი, რომ არ გესმით ჩემი.

ბავშვობაში ყველას დავპირდი, როცა გავიზრდებოდი თუ რა საჩუქარს გავუკეთებდი მათ. იყო კაბები, ბეჭდები და ათასგვარი ბავშვური ფანტაზიის ნაყოფი, მაგრამ ორ ადამიანს, თქვენ და შოთა ბაბუას დავპირდი ისეთ რამეს, რასაც, სამწუხაროდ, სიცოცხლეში ვერ შევასრულებდი. შოთა ბაბუას შევპირდი „ლოდსატყორცნს“ და ისე არ წავალ ამ წუთისოფლიდან, რომ არ გავაკეთო ეს და მის საფლავზე არ დავდგა; თქვენ კი... არგანატეხარი აგურით უნდა აგიგოთ ტაძარი. ამას ჩემთვის მატერიალურზე მეტად სულიერი დატვირთვა აქვს. ღმერთი, ცოტა ჩემებურად - ქართულად მწამს. ყოველ შემთხვევაში, ისე არა, როგორც ინკვიზიტორები ქადაგებდნენ. სიცოცხლეში ვერ დაინახავთ ჩემს აგებულ ტაძარს, მაგრამ თქვენი (ასი წლის შემდეგ) განსასვენებლის ადგილზე აუცილებლად აღიმართება ის... და თუკი სამოთხე არსებობს, მარტო იმიტომ ღირს თქმული შექმნად, რომ თქვენ და შოთა ბაბუამ ნახოთ, თუ რამდენს ნიშნავს ის ბავშვური დაპირებები ჩემთვის.

ეს პირველი ფურცელია. არც ერთხელ არ დამიწერია ეს და არც ერთხელ გადამიხაზავს თუნდაც ერთი სიტყვა. იმიტომ, რომ ეს

წერილი დიდი ხანია ჩემს გონებაში დაწერილია, დარჩა მხოლოდ ფურცელზე გადმოტანა.

მხოლოდ ერთს გთხოვთ. არ ვისაუბროთ ერთმანეთთან ამ წერილის შესახებ. ყველა გრძნობა, რომელიც ამ წერილმა გამოიწვია, დარჩეს ფურცელთან ერთად თქვენს გულში, თორემ, თუ გავარჩევთ იმას, რაც აქ მე ჩავდე, ჩემთვისაც გაქრება და თქვენთვისაც.

წერილს არ ვწერ იმისთვის, რომ შეგიყვარდეთ სხვა შვილიშვილებზე მეტად, ან ვითვალთმაქცო და პლიუსი დავიწერო. მე მხოლოდ მსურს, რომ დაინახოთ, თქვენ ამაოდ არ გიცხოვრიათ და როგორც „იგი“ (***იგულისხმება ზვიად გამსახურდია.*** - ს. საჯ.) არ მოვიდა უაზროდ და არ წავიდა ასევე უაზროდ, ვინაიდან დარჩა ზედიადი მიზანი, ასევე ვრჩები მე ასეთი შეგნების წესრიგში. ამის მიხედვით განვაგრძობ თქვენს საქმეს, არა როგორც პუბლიცისტი, არამედ როგორც სამშობლოს მოყვარული. ცუდია, რომ ვამტკიცებ, სამშობლო მიყვარს მეთქი, ეს ხომ ისეთი სიყვარულია, **„დაფარვა რომ სჭირდება“** (გურამ დოჩანაშვილი), უბრალოდ, ქართველთა სისხლით გაჟღენთილ მიწაზე უნდა აღიმართოს არგანატეხარი აგურით ნაშენი ტაძარი. ეს კი რისი სიმბოლოცაა, გულის სიღრმეში ორივეს გვესმის, მე კი არ დავწერ ამას. არ დავწერ ენით, რომლითაც ბევრი სიბილწე თქმულა, ჩემთვის ამდენად წმინდას.

* * *

10: 1. 10. 2020 წ. <u>**გულისტკივილი, გულისტკივილი:**</u> ქვეყნის „სახელმწიფო პოლიტიკისა“ და ეროვნულ-სახალხო მიზანსწრაფვის ხიდჩატეხილობას ის განაპირობებს, რომ ეს არაა ორ განსხვავებულ შეხედულებათა, გემოვნებების ან სხვადასხვანაირად შემდგარ ხასიათთა პაექრობა: იგი გახლავთ ორი მსოფლმხედველობრივი თვალსაწიერისა თუ ზნეობრივი სივრცის საომარი, სამკვდრო-სასიცოცხლო დაუნდობლობა და დაუზავებლობა. ესაა ხმალჩაუგები ბრძოლა „კოლხური კოშკიდან“ მოაზრებული საქართველოსათვის, სადაც მეც და ნანასაც მოკრძალებული წვლილი შეგვქონდა და რამაც თანამოსანგრეებად გვაქცია.

რა თქმა უნდა, არც ჩემს თავზე შეყვარებული ბიჭუნა ვარ. ისიც ვიცი, რომ იმათთაგანად არ დავდგინდი, ვისაც თავზე

შარავანდედი ადგას, მაგრამ საკუთარ თავს ნამდვილად ვცემ პატივს, რადგან მასში კაცუნამ ვერ გაიდგა ფესვი.

ცხადია, ამ უმადური თაობისგან ის გვანსხვავებს, რომ მკაფიოდ ვისიგრძანებ იმას, თუ რაოდენ ცადწვდომილი განძი დაუტოვეს საქართველოს შეუგინებელი შინაარსის სახით გიორგიანელმა და ქრისტესმხედარმა წინაპრებმა. ასევე შეგვეძლო, ერის ზნეობრივ სასწაულებში საზოგადოებას ამ სასწაულთა უმწვერვალესი გაეცაწვდინა.

ორივემ ვიცოდით, რომ ამის მიღწევას ვერავინ შეძლებდა იქ, სადაც სრული განუცდელობაა იმის, რაც ჩემს ქვეყანას დამართეს განგებ. არადა, თუ საკუთარი აღმავლობა სურს, უნდა უღირდეს ამ თაობას იმ ენერგიის მოთვალსაწიერება, რისგანაც შინერს-ვაშინერსის წესრიგი შეიქმნა და იმის დაზუსტებაც, თუ რა საწყისისგან მომდინარეობს ის.

დღეს კი დედა საქართველოს სატახტოში ავბედით დღეთა უღალატო მეგობრებად მხოლოდ ყურფირნიშიანი ძაღლებიღა შერჩა. ასეთია საგანგაშო სიცხადე!..

ამ ვითარებაში ისღა დამრჩენია, უმცდარი ჟამთაბერის წინაშე ჩემს ფეხთამტვერობას შევყიჟინო: **ეჰეი, სერგი ბატონო, ნეტავი იმ დროს, როცა სერგიუკას გეძახდა ბესლეთის ხეობა და გულწრფელად ელოდი იმ სისხამს, როდესაც „კოლხური კოშკის“ ქონგურებზე შენს ხმალთქნევას მზერამოუცვლელად მიუერთსხეულდებოდა თამარ შერვაშიძე.**

... შენა ხარ ჩემი თამარ შერვაშიძე, ნანა, ესაა ოღონდ, - გადამწვარია ქართული ცნობიერების დედო ციხე - „კოლხური კოშკი!..“

* * *

11: 28. 10. 2020 წ. **<u>კინაღამ!..</u>** იმ დღეს, რაღაც დროის განაბიჯებაში, ეტყობა, დაუბრუნდა ცნობიერების კიდე-განს და გაუთვალნათლივდა თავისი უნუგეშო, ვერაგი სენისგან გამოხრული მდგომარეობა.

ასე გამოტანჯული, პიროფლიანი აცახცახდა.

იფიქრეს, ფეხსალაგი მოუნდაო. საპირფარეშოში შეიყვანეს... პილაღვარის (პამპერსის) გამოცვლა მოუნდომეს. სირ-

ცხვილმა კიდევ უფრო ააკანკალა. თავისი უმწეობა სიცხადეში გაითავზარა. სიმწრის სისასტიკემ დაქანცა, თავში ამჯერადაც წაიშინა გამეტებით მუშტები... როგორც იქნა, მორჩნენ, შემოეყავარჯნენ, ლოგინამდე ძლივს მოყვანილი, მუხლმოკვეთილი დაენარცხა, თვალები წამში სასოწარკვეთილად გადმოეკარკლა, უცებ დახუჭა და მუდამ მოვლილი, კოხტა პირიდან დუჟი ქაფად წამოუვიდა. ცახცახი კრუნჩხვაში გადაეზარდა. რაღაცის თქმა მოინდომა, ღრჭიალის დარი ხმა აღმოხდა.

შეიცხადეს ერთი შეცხადება, - იფიქრეს, ბოლო წამებიაო!..

და აქ სასწაული მოხდა: მისმა დის შვილიშვილმა და ნათლულმა, უგანათლებულესმა ხელოვანმა, სუხიშვილების ანსამბლის სოლისტმა მარიამმა დაუწყო ლექსების კითხვა, წაეცეკვა, მოეფერა, იმავდროულად და - ლუიზა და ძმა გუჯა ლოცულობდნენ. რაღაც დროს მარიამმა ჩემი სახელი უხსენა, რაზეც იმწამსვე თვალი გაახილა და სუსტად, მაგრამ კმაყოფილებით გაიღიმა. მოკლედ, ეს ყოფნა-არყოფნის წუთები სურამში კრიალოსნდებოდა.

ამ დროს მე თბილისში წვეთოვანი მედგა. საოცრად მომინდა შევხმიანებოდი, დავრეკე და ჩემი ხმა გააგონეს. გამოცოცხლდა, ჯანსაღი ფერი დაუბრუნდა, თურმე.

მარიამმა მითხრა, რაც გარდახდათ და როგორც მობრუნდა.

... მერე ავდექი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს სამადლობელი სანთელი ავუნთე.

ნეტავ რაზე ფიქრობდა გონების იმ ხანმოკლე გამონათებისას?!.

რატომღაც მჯერა, ისიგრძეგანებდა იმას, რომ ესენი ქვეყანას არ გულშემატკივრობენ. ავმოსურნედ უსაფრდებიან მას. მათ არ ახასიათებთ თანაგრძნობა არც ერისადმი, არც ქვეყნისადმი, აღარც ადამიანებისადმი...

მეტიც, სწორედ მათ გასწვრივ, მათივე დასტურით ჩაჭედეს უდიდეს **„კოლხურ კოშკელს“** რუსული „სტეჩკინის“ ტყვია საფეთქელში, ხოლო ამერიკული „ბათინკით“ ბოქვე-

ნის ძვალი ჩაუმტვრიეს, თუმცა, ასეთი თავგანწირვაა საფასური ღვთივწვდომილი მამულიშვილის სახელის მოსაპოვებლად: **„მაგრამ იქ, მაღლა, სხვაფრივ არის, იქ ცბიერებას არ აქვს ადგილი, იქ ვერა რა დაიფარება...“** ამასთან ერთად **„მარტო მთვარეს რომ გადუშალოს ქალმა გულმკერდი, უბიწოებას თვისას იგი მაინც შებღალავს...“** (უილიამ შექსპირი).

მოწაფეთაგან ერთი მაინც ყოველთვის გამცემია, მაგრამ ღვთის ნებით **„ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს“** (ისევ უილიამ შექსპირი).

ეს ის ღირებულებები გახლავთ, რითაც მან ცისქვეშეთი მოითვალსაწიერა.

ნეტავ, მაცოდინა, რა ფასეულობებით იფუძემდებლა, რაზე ფიქრობდა იმ წუთებში ან ახლა რას ითავისტკივილებს ამ გაუკუღმართებული ცნობიერების უსიერებაში!.. ჩემო თოლიგე, ნანა, ამის ვერთქმაა შენთვისაც და ჩემთვისაც სასჯელი.

* * *

12: 14. 11. 2020 წ. **<u>ვაი, საცოდავო საქართველო!..</u>** კიდევ და კიდევ კი არა მარტო, ათასგზის თფუი, იმ ვითომქართულ საზოგადოებას, რომელიც „მგზნებარე ლენინელ“ მამუკა ხაზარაძეს და სულაქოთებულ „გირჩელ“ ზურაბ ჯაფარიძეს ირჩევს თავის ზნესახიჩრებთან ერთად.

მკურნალთა შორის ერთი რიგითი დასტაქარი მინდოდა ვყოფილიყავი ასეთი ფეხაწყობის სნეული სულისთვის, მაგრამ არავინ შემიჩერდა საამისოდ...

ვდგავარ და ვფიქრობ, გაიგებს ვინმე ამგვარ ჰამლეტისეულ ხმისჩახლეჩას: **„და მე ყველაფერს გავუმჟღავნებ უმეცარ ერსა“**... ან კიდევ - **„ვაი, სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე!...“** ბოლოსდაბოლოს, ამას მაინც: **„ჰოი, შენ ბედო უნამუსო! ოჰ, ზეცის ძალნო...“**

...და ყოველივე ამას მილიანდაგებული მისი სასომიხდილობა ძალიან, ტყუპისცალივით ჰგავს დედა საქართვე-

ლოს მდგომარეობას: უკვე წელშიც ვერ იმართება, გუშინ ვერ უცვნია თავისი გაზრდილი ძმისშვილი.

ლოგინზე ისევ მოცელილივით დაცემულა. თვალდა-ხუჭული, სუნთქვაშეკრული, მისავათებული, სიცოცხლის ნიშან-წყლის გარეშე დასაწყობდა ქვეშაგზე. გარშემო თავ-ზარდაცემულებმა ისღა მოიფიქრეს, რომ მისი საყვარელი ქართული სიმღერები მიაიავნანეს, რაღაც დროის შემდეგ ძლივს გაუხელია თვალი. ორიოდე წამალგარეული ლუკმა რის ვაივაგლახით გადააყლაპეს.

... მახსოვს, იმ დღესაც ხვავრიელად თოვდა, სასოფლო ავტობუსი არ მუშაობდა. საშობაოდ მელოდა. სახლში ვერ გაჩერდა, თავაწყვეტილ ქარბუქში ის გრძელი გზა გამოიარა და სურამში, სოფლის გადასახვევთან მიცდიდა დილიდან: იდგა და გზატკეცილზე გავლილ მანქანებს თვალს აყოლებ-და, - ან ამას ჩამოჰყვება, ან ამასო!..

ხო, მეთქი, იდგა მშვენიერი, ლამაზი, ჯანმრთელი, ბედნი-ერი, მშობლიური...

ცისკრის შემოფეთებასავით იყო მისი მოგებება.

მართლაც და ვაი უმწეობავ, ჩემო: ხელიდან მეცლება, ვერ ვშველი, უსუსური ვარ და მისგან შორს, მეც ჩემს სარეცელზე ვიგერიებ ერთბაშა ჯოჯოხეთურ ტკივილს სულისასაც და ხორცისასაც.

ჩემს თავს არ დავეძებ, ღმერთო, უკუარიდე განსაცდელი მას!..

* * *

13: 14. 11. 2020 წ. <u>**ვერ გადღესასწაულებული დაბადების დღე:**</u> 74 წელი ჩავიკრიალოსნე ამ დილით და რა: ეს მერამ-დენედ, ჩასუნთქებასავით მინდა ბრმა, მაგრამ მზერაფხი-ზელი ტირესიას (სოფოკლე, „ოიდიპოს მეფე“) გულისთუთ-ქვა გადვუზანზარო საღათას ძილში მოარხეინე თაობას, **„- ჩე-მი გულის ცეცხლს რომ გზა მივცე, ხომ გადიბუგეთ?!.“**

ის, რაც ამ დღეებში ჩვენს ქვეყანას ეხლართება, არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ ყოველთა ქართველთა სიბრძნის ბრმძმედში გამოდნობილი ნება. ესაა ჩასაფრებულ ავმოსურ-

ნეობათა გარედან მოაღვირებული და „ადგილზე“ ლგბტ-ური თემის შეთქმულებით მართული ქვებუნაგობა ჩვენი ერის მარადიულყოფის დასამხობად.

... როგორ თანამოსანგრეობდა ლამაზი და ჭკვიანი ნანა, ჩემი თოლიგე და შურიგე, ასეთ დღეებში ღვთისმშობლის-წილხვედრილობას, ანუ დედასამშობლოს!..

ცხადია, იგი თავსმოხვეული დახლართული დროის წიაღში ძალიან კეთილმოსურნედ და ღრმად იმზირებოდა, თუმცა, სწორედ ამ დრომ დატოვა ის დაუცველად ვერაგ სენთან პირისპირ.

არადა, აზრობრივადაც და სახიერადაც ნანა იყო ქართული ჯიშისმიერების ხელშესახებობა. მის ყველა ჩვევაში ღვთისმოშიში ადამიანი ვლინდებოდა. მან საპირადოდან ყველაფერი მისცა სამშობლოს, სანათესაოს, სახლიკაცებს და სანაცვლოდ არაფერი მოუთხოვია არც ქვეყნისაგან, არც ახლობლებისგან, არც სახლიკაცებისგან...

აი, თუნდაც ახლა, - ხომ ასე შეჭმული, დაუძლურებული, მეხსიერება და მეტყველება წართმეული წევს, ხომ ასე მძიმე მოსავლელი გახდა და, რაც ასე უნუგეშოა, ხომ ამ ზომამდე იტანჯება, ეწამება და უალო კოცონზე იწვის, ოდნავადაც რომ გაუმურუჟდება გონების უღრანი, ის გვეფერება ყველას და ყველაფერს: იმ დღეს, გაიღვიძა თუ არა, შეშფოთებულმა სავარძელში მოიძია, თურმე, ხევსურული ქუდი. როდესაც გუჯამ ჰკითხა, ეგ სერგიმ გაჩუქაო? - სხივმფრქვეველი თვალებით დაუქნია თავი, შემდეგ გულში ჩაუკრავს იგი და გვარიანხანს ასე გატრუნულა.

რაღაც დრო გასულა და მერე თავისი უმწეო ამობგერებით - „ააااااა“-თი თვალცრემლიანმა სურვილი გაახმოვანა, მიმღერეთო.

მახსოვს, როდესაც ის ქუდი ვუყიდე და ავუტანე, მკერდში ჩამეკრა, მდგომარეობა ასე გაითავშესაფრა თუ გაიუსაფრთხოვა და თავისი კმაყოფილება, ისევ და ისევ, იმ ჩემთვის თავზარდამცემი „ააااااა“-თი დამიდასტურა, - ლოყაზე დამისვა თავისი მისუსტებული თითები, ცრემლი შემიმშრალა

და თმისძირები „მომივარცხნა“... ერთხანს მიყურა გაოცებით, მერე ისევ ჩამეკრა, ხელში ჩამკიდა თავისი თითუკები და ოთახიდან ოთახში დამასეირნებდა საღამომდე...

მე კი ჩემს უმწეობასთან რისხვაგადაჯვარედინებული, უხმო ქვითინით დავსტიროდი დღევანდლამდე ჯერარსმენილ საავბედო ხვედრს, რომელიც ცდილობდა ჩვენს გაძევებას ჩვენზე უფრო იავარქმნილი ღვთისმშობლის წილხვედრილობის მშობლიურობიდან და ვერ გეტყვით რა ძალის ზურგმომაგრებით, მაგრამ დაუზავებლად ვედავითფერულებოდი დიდი რიონისპირელის უკანდაუხევი ხმალთაკვეთით:

„ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები,
ბედი - ქროლვის გარეშე - ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები“...
„...რამდენი ქარავანი, მთებზე გადამართული,
გაიშლება - მცნობელი მღვრიე უდაბნოეთის,
წვეთი სისხლი არ არის ჩემში არა ქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“...

* * *

14: 14. 11. 2020 წ. <u>**შენ გეუბნები, შენ, ბიძიკო, აბა, ერთი შემომხედე!..**</u> იქნებ ეს ჩემი ბოლო დაბადების დღეა?!. ასეთ შემთხვევაში ღვთისმშობლის მიწიერი წილხვდომილობიდან რის მახარობლად წარვსდგე ზეციურ საქართველოში?

ისეთმა ქუჩისფსკერულმა ფეხაწყობებმა, როგორიცაა ჯგუფური გიორგი მაქარაშვილობა ან ზურაბგირჩიჯაფარიძეობა და ა. შ. ანუ მიზნობრივად გამოთაყვანებულმა „ქართულად“ წოდებულმა საზოგადოებამ ვერც და არც გაისიგრძეგანა, რომ ჩვენი ქვეყნის დედან შინაარსში აღსადგენად მთავარია, ერმა გაიმკაფიოოს, გაითანმიმდევრულოს ეროვნულ-სახალხო სულისკვეთებით გაჟღენთილი მიზანი. ამის შემდეგ საჭიროა, დაზუსტდეს თუ ვისთან, რა ზურგის ქარით და როგორი ძალისხმევით განახორციელოს ეს მიზანი. ეს იმიტომ მოხდა, რომ მათ ასეთი მოთხოვნილება არ გააჩნდათ.

უვიცობაში მონებივრე გამოთაყვანება იქამდე გამუ-ხლისჩოქდა, რომ ერმა არც იცის, - რაღა დაისახოს მიზნად. ასე მაგალითად, დღეღამეში თითქმის ოცდაოთხი საათი, დღეგამოუტოვებლად, ყველა საინფორმაციო, სამაუწყებლო და ბეჭდვითი არსენალი სათავისო ჩასანგრეზიდან მჭიდის დაცლის წესით აფრქვევს ასე გახმოვანებულ ტყვიებს, - **„თუ ჩვენ გვინდა ევროპული ქვეყანა გავხდეთ“!..** რატომ ასე? პირველ რიგში ჩვენ რად არ უნდა გვინდოდეს, გავხდეთ მშობლიური ქვეყანა, ავღორძინდეთ ბუნებრივ, დედან შინა-არსში? ვინ მოგვახვია ამგვარი სერვილიზმით გააბლაბუ-დებულ ღირებულებათა არჩევანი?

რისთვის და რატომ აპირნათლებენ (აპრავებენ) ტექნოკრა-ტიული (და არა თავის სახალხო ვინაობაში მოაზროვნე) და-სავლეთის უსულგულობას? განა, ამ ევროპაში არ მძვინვა-რებდა ორიოდე საუკუნის წინ თავზარდამცემი ინკვიზიცია? მანვე არ ამოწყვიტა საკუთარ მიწა-წყალზე ინდიელები? რო-მელი ერთი შეგახსენოთ?!. რასზმი, გაზის კამერები?!

რატომ არ უნდა ვემოწაფოთ, ვთქვათ, შუამდინარეთის ცივილიზაციას, იერუსალიმის სულიერებას ან მაცხოვრის სიწმინდეებს, ნილოსისპირეთის კულტურულ მემკვიდრეო-ბასა და ა. შ. ასევე რად არ ვიერთსხეულებთ ჩვენი წინაპარი შუმერების, ურარტუს, ქალდეას იბერიულად მოღაღადე უკვდავებას?!.

რანაირად ფიქრობთ გაევროპელობას, როდესაც ისიც არ იცით, ვინა ხართ თავად თქვენ, გიორგიანელები, ქრის-ტესმხედრები, ბინადარი ცხოვრებისა და შინერს-ვაშინერსის წესრიგის მიმგნებნი თუ უვინაო ჯოგური ფეხაწყობა?!.

ან როგორ გაევროპელდებდით, როცა სურვილი არ გაქვთ, დაეწაფოთ ჰომეროსს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, სოკრატეს, პლატონს, დანტეს, სერვანტესს, შექსპირს, ბალზაკს, ჰიუგოს, მიცკევიჩს?..

ვაგლახ, რომ ზნეობისა და მშობლიური ვინაობის მოსპობა სახელმწიფო პოლიტიკა გახდა. დღეს ჩვენს ქვეყანაში პოლი-ტიკურმა დაპირისპირებამ კი არ აითარეშა, აქ, თავადვე სულ-

ხრწნადი მსოფლიოს თვალწინ, ღიად და უბოდიშოდ საკუთარ სისხლში აღრჩობენ ქართულ სულს, რათა, საყოველთაოდ დაგვაზურაბგირჩიჯაფარიძეონ!

არავითარ შემთხვევაში!.. როგორც იტყვიან, ამ ურემზე ასე წინგაუხედავად აძრომა სახიფათოა!.. აი, რა არ ვიცით ჩვენ!

... ახლა დამირეკეს: უკვე ფეხზე ვერ დგებაო... ეს იმას ნიშნავს, რომ ის იქ, იმ სადგურიდან ემზადება ზეციურებთან საპირნათლოდ, მე კი აქედან უნდა ავზიდო ჩემი ცოდვების ხურჯინი.

ნანა, ჩემო წელგადატეხილო იმედო, ნუ გამეპარები...

ჩვენ რაც გაგვაჩნდა, მყარად და ალალად გავაფესვეთ ამ მიწაში, რომელსაც ასე პარტახმითარეშებულს ვერ დავტოვებთ.

ახლა რა, თუნდაც ერთი საათით ადრე, მაგრამ მე მინდა დაგასწრო აბარგება წუთისოფლურ ეტლზე, რათა, დაგტყუო შენი საყვარელი მგოსნის ცადწვდენილი ნამტირალევი: **„ვეფხსა დააცვდა კლანჭები, ბაკურმაც დაიძინაო“** (ვაჟა).

* * *

15: 14. 11. 2020 წ. **<u>ნანა, ჩემო შურიგე, ცოტა სული მოითქვი, ახლა მე ამომადებინე ბეჭი შენი გულგამსერავი ტკივილისთვის:</u>** ლოგინზე წევს თვალდახუჭული, გამხდარი, არაქათგამოცლილი, მწუხარება-აღტაცების ვერგამომჟღავნი... ასე ცოცხლად ალმოდებას ამოკივლებით ვერ ახმოვანებს.

მე მაქვს ერთი წიგნი - „დღეები ცხედართა უხმო კივილისა“ (2005 წ.), მას ძალიან უყვარდა. მასში საუბარია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რუსიზმის მიერ განხორციელებული საოკუპაციო საშინელებების შესახებ. ეს გზა მე თვითონ გამოვიარე და ვნახე გზებზე უპატრონოდ, უჭირისუფლოდ, თაკარა სიცხის ქვეშ მიმოყრილი ცხედრები... პაპანაქების მიუხედავად, მათი გაყინული მდუმარება და ელდა თავზარდამცემად უხმო გადაკივლებაში ისაგნებოდა, თანაც ცას აწვდენილ უალო ცეცხლში ნაცრავდა ჩემს ოდაბადეს.

თოლიგე ნანას ხმისჩაწყდომა, ვერმეტყველება და თავსდამტყდარი სიმუნჯე ჩემთვის სწორედ იმ ცხედართა უხმო კივილის მაგვარი უბედურება გახლავთ და მეჩვენება, რომ მის თვალებში მბჟუტავად ამონთებული ტანჯვა დედასაქართველოს თავზარდამცემი ამოგმინვაა მისი შვილების გადამშენებლური წინგაუხედაობის გამო: 14 ნოემბერს აშშ-ს საელჩოში, ელჩის კელი დეგნანის თითისქნევის ქვეშ ე. წ. საქართველოს ხელისუფლება (სინამდვილეში საოკუპაციო ადმინისტრაცია) და ასევე ე. წ. ოპოზიცია (ანუ აგრესიული გლობალიზმის ლეგალური აგენტურა) ერთმანეთს შეახვედრეს გარედანი ძალების მიერ დაქსელილი კინკლავის მოსაგვარებლად.

დიახ, სინამდვილეში ასეთი ურთიერთძირგამომთხრელობა ტექნოკრატიული და მაფიურ-კრიმინალური დასავლეთის მიერ საგანგებოდ იხლართება, რათა, ეს ყველაფერი მათივე თითისქნევითი განჩინებებით „განიმუხტოს“.

თავსმოხვეული მდგომარეობაა, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებად წოდებულ ადმინისტრაციას აშშ-ს ელჩი საპასუხისმგებლოდ იბარებს და ანგარიშვალდებულებას სძალავს, დღის სამ საათზე. შემდეგ თავის ვითომ სახალხო მიტინგზე „საქართველოს გამარჯვებას“ აცხადებს ავმოსურნედ ჩასაფრებული ე. წ. ოპოზიცია, ანუ აშშ-ს მხარდაჭერით ზურგმომაგრებული ლგბტ თემი.

... და ეს ხდება იმ წმინდა ადგილზე, სადაც კვალწაშლილი ფილაქნების ქვეშ, სადღაც განისვენებენ გმირი, კოჯორთან მტრის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში მკერდშელეწილი იუნკრები და მათი სულიერი, გნებავთ მოწყალების და - მარო მაყაშვილი.

ეს ის ზნეობრივი ქურაა, სადაც გამოიდნო ერის ქრისტესმხედრად აღორძინება, ღირსებასთან მიბრუნება და გამოიჭედა 1991 წლის 31 მარტით დადასტურებული, ხოლო იმავე წლის 9 აპრილით ხელშეხებული თავისუფლება.

დიახ, მეთქი, ეს ის სამსხვერპლოა, საიდანაც სამშობლოსათვის თავგასაწირი სვლაგეზი აითვალა ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ...

... და აქ, გიორგი ვაშაძის, თაკო ჩარკვიანის, ნიკა მელიას თუ ძმათა მათთა ბუქნაობა, სხვა არაფერია, თუ არა ამძუვნებული ხროვის სამიმდგომლო ყმუილი.

რაოდენ სავაგლახოა ეს ჩვენთვის, რადგან შენც და მეც იმ სიწმინდეებიდან ნაკურთხები მოვედით დღემდე. ერთ რამეში გაგიმართლა, შენ ვერ ხედავ ბრბოდქცეული ხალხის ამ დონემდე გათახსირებას, ჩემო ტანჯულო და გულდაჭრილო, ნანა!..

მოდი, მკერდზე მომაბჯინე შენი ჭკვიანი თავი. შენ ხომ გიყვარდა, აორთქლებამდი გაბედნიერებდა, როცა შენს გალაკტიონს გიკითხავდი ასე. კი ბატონო, წავიკითხავ, აბა, მომისმინე:

„კიდეები შეშლილი, ღამეები ველური
დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოებას,
სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას...“

* * *

16: 18. 11. 2020 წ. <u>**ნანა, გახსოვს ჩვენი გაცნობა?..**</u> არა, არ ვჩივი ჩემს უხანო თავს, დამწვი სკან სანთელო, ოღონდ რაღაც წუთგაელვებით მაინც გაიაზრე თუ სად, როგორ, რა ვითარებაში და რანაირი თავდადებით გამითანამესანგრდი მე. ამავე დროს, იქნებ, დღე გამიდღესასწაულო და მკაფიოდ გამაგონო კიდევ შენი გულისშემძვრელი გადმოძახება... რაღაცნაირი ჯადობგერებით ახმოვანებდი ჩემს სახელს და მაქრისტესმხედრებდი უკანდაუხევლად. სამწუხაროდ, უნებურ სიცხადეში თვალს გავახელ და ზანზარებს ჩემი საცოდაობა, ვაგლახ, უმწეო ვარ, ვერ ვშველი მას, რადგან დღეთა ჯერმონაცვლეობა შექსპირულ ტრაგედიად შინაარსდება ჩემთვის: **„იგი მუწუკად შიგნით გვამში რომ დაწყლულდება, გარედამ, თითქოს უმიზეზოდ ჰკლავს ადამიანს“** (ჰამლეტი).

... ერთხელ, ჩაფიქრებულმა მითხრა, - კარგა ხანია, გატყობ, ძალიან ხშირად, შენთვის მონათესავე მხატვრული სახეებით უზომავ მაჯისცემას ქვეყანასო. ძალიან საინტერესოა, თუ გიფიქრია, როგორი იქნებოდა დღეს ამ ზნეობაჩამორეცხილ საზოგადოებაში კაცთა სულების გამკეთილშობილებელ გმირთა - თარაშ ჰემხვარის, ჯოყოლას, უტა არსაკიძის, უჯუშ ემხას, ალუდას, ოთარაანთ ქვრივის, თავსაფრიანი დედა-კაცის ბედი, ან ჰაკი აძბასა და ზვიადაურის ხანძარაბორ-ბონჯებულ სულს მოესალბუნებოდა კი ასე უარავინოდ, ხმაბაძვაში მოაზროვნე ფეხაწყობა, ახლა ძიძია, სანათა, თავადის ქალი მაია, შორენა, დედისიმედი, თამარ შერვაშიძე, კაც ზვამბაია, ქორა მახვში... გაიმშობლიურებდა მათ წინა-მდებარე უვინაო სიმრავლეს?!.

დასმულ კითხვას თავადვე უპასუხა: აშშ-ს ემიგრანტული ცნობიერებისა და უსამშობლო, მხოლოდ მოქალაქეობით თავდადგენილი, უვინაო სულის ერი ამას ვერ გაიმშობლიუ-რებს, მეტიც, ასეთი ტანჯვის წიაღს ვერ გაიშინაარსებს.

აქ საგანგაშო ისაა, რომ არამკითხე „კეთილმოსურნეს“ სწორედ ასეთად უნდა გადაგვაქციოს.

დიახ, აშშ-ს სამოქალაქო და არა სამამულო თვალსაწიერი ვერ გაისიგრძეგანებს გიორგიანელობისა და ქრისტესმხედ-რობის ღვთივწვდომილობას, შინერს-ვაშინერსის სიდიადეს, რადგან იგი, როგორც კრებსით რაობათა უსახო, უვინაო, უარავინო სიმრავლე, თანდაყოლილი გენეტიკური წუნით იშვა და სათანადო მიმღების უქონლობის გამო, ასეთ შეტყობინებებს (რადიოტალღებს) ვერ შეიწიალებს. ცხადია, სახეებით აზროვნებას მამულში ჩაფესვებული ინტელექტი სჭირდება, ხოლო ამგვარი ინტელექტის დანიშნულებაა სიკე-თის, სისწორის და მშვენიერების მხარე დააჭერინოს გ ზაჯვა-რედინზე დაყოვნებულ კაცს.

ყურადღებითა და მუშტრის დადარაჯებით ვუსმენდი მისი ღრმაზროვანი ფიქრის ასე აკადემიურად გახმოვანებას.

ხაზგასმით უნდა ვთქვა, რომ ამ მსჯელობის დროს ის არ გადაქცეულა ცივ ჭკუისკოლოფად ან ზემდგომ თითის-

მქნევად. იგი მაშინაც, სიბრძნით აღაღადებული, ლამაზი, მშვენიერი, ბუნებრივი, სისხლმადუღი ქალი იყო, რომლის ჯუფთიც ვიყავი მე.

ისეთივე განცდა მქონდა და მამრის ამბოხით ვუერთ-სხეულდებოდი, გაცნობის პირველ წუთებში რომ განვიცდიდი:

- ნიავმაც რომ შეგირხიოს კულული, მასაც არ ვაპატიებ, - ვუთხარი მე გაცნობისას.

- რატომ? _ იკითხა.

- იმიტომ, რომ გიპოვე, ბოლოსდაბოლოს, დაგძებნე ჩემი სულიერი ცხოვრების ფესვთა მაჟირუად!..

ნანა, შენი ცრემლის სიწმინდიდან დამანახა ქართველთა გონითი განფენის სივრცე, რათა, მოწესრიგდეს სისხლაღრევით თავგზააბნეული თაობის თვალსაწიერი. ჩემო შურიგე, შენი ვერმეტყველების თავზარიდან გამაღწევინა იმ სათქმელისკენ, ამ წლების მანძილზე რომ ასაწყობებ ამბოხებულ მდუმარებაში. კიდევ და კიდევ შურიგე და თოლიგე ერთად: შენს უმწეო ჩასარეცლებაში თანამოსამგრეობის ნიჭი და ძალა მინდა მოგმადლდეს, რათა, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი აგრიგალებულ უმადურობას, წინგაუხედაობას, ხმაბაძვას და საპირწონედ გადაუწვდინო ქვეყნის სანახებს შენი უგულწფელესი დედო ლოცვა მაცხოვრის მადლისკენ გზის გასაგნებად.

* * *

17: 23. 11. 2020 წ. <u>**გერგობა. გამოვიზოგოთ ცრემლი ტანჯულთა წამგაუცდენლობაში:**</u> იმ დღეს, 14 ნოემბერს, შუადღეზე, ჩემი და ნანას გაშენებულ ბაღში ძლივს გასულს, ფრთების ტკარცალით მტრედი შემომაფრინდა, რაღაც ჩაიღუღუნა და კინაღამ მხარზე დამაჯდა.

მომეჩვენა, რომ ამ ღვთის ჩიტმა ენაწართმეული და უმწეო ნანას მოლოცვა გადმომიმარჯა. ცხადია, ის იქ და მე აქ ტანჯულთა წამგაუცდენლობაში ვაკრიალოსნებთ დროს. ლოყებზე სითბო ვიგრძენი, ჩემდა დაუკითხავად გადმომიგორდა კურცხალი...

არადა, უნდა გავუფრთხილდე ცრემლს, გამოსაზოგია იგი. ჩემი ცხოვრების არცთუ მოკლე ჩადაღმართებებში ბოლომდე მოვიხმარე ის და ვხედავ, აწიც არანაკლებ დამჭირდება: საბუხრე შეშასავით მჩეხავს მგრგვინავი სიჩუმე მისი სუნთქვის ჩურჩულში და ათავზარებული, უხმაურო კივილი მის სიმუნჯეში ჯალათივით მშოლტავს. ასე დღისით, მზისით, ჩემს თვალწინ იწვის, იწვის ვერმეტყველების ბორბონჯიაში. <u>წმინდაო გიორგი, ამააღმართებინე მისი ტანჯვა და ჩამანაცვლე მის წამებას!..</u>

ჩვენი ერთსხეულება სიღარიბის ქოხში დაიწყო, გაღვივდა, იდღესასწაულა და... დაისაჯა. დიახ, ჩვენ სიღარიბის და არა სიძუნწის გამო გვეცვა ჯვალო.

გვტკიოდა ჩვენი ისტორიული მანკი და ხელმოკლეობის გამო ვერ ვმკურნალობდით, როდესაც ქვეყანა ივიწყებდა ჩვენს გიორგიანელობას ან ქრისტესმხედრობას; გვტკიოდა ჩვენი ისტორიული სიგლახე, როცა ქართველები ძირს ვუთხრიდით ქართულ სახელმწიფოს; გვტკიოდა, როცა პოლიტიკური ყურყა ამოსდეს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახალხო ნებას; გვტკიოდა, როდესაც რომელიმე **ვერმოაიიე** წაიხმაბოდვებდა ჩვენს სატახტოზე: **„თბილისი ჭორების ქალაქიაო“**; გვტკიოდა, როცა ძილქუშში მონებივრე საზოგადოება ჩვენს დედაქალაქში ვერ დალანდავდა წმინდა ილია მართლის, წმინდა ამროსი ხელაიას, კოტე აფხაზის, მარო მაყაშვილის, ქართველი იუნკრების, ივანე ჯავახიშვილის, დიდოსტატ კონსტანტინეს, გალაკტიონის, ტერენტი გრანელის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას ნაფეხურებს... გვტკიოდა, როდესაც ვხედავდით, რომ თაობას არ ჰქონდა და არც ისაკლისებდა სამშობლოს მარადიულმყოფ სადღეისო თუ სახვალიო საქმეთა ნუსხას... და ამ ტკივილში ის, დედროვანი, მზად იყო ხიშტზე აცმულიყო საქართველოს ღირსებისთვის!..

მახსოვს, როდესაც ერთ წელიწადში ჩაეხანძრა უჭკვიანესი გონება, ასეთი მდგომარეობითაც ის ჩემთვის სამუდამოდ და-

რჩა მშვენიერ, ლამაზ, ერთგულ და, რაც მთავარია, ბრძენ თანამოღვაწედ ამ ლოგინსმიჯაჭვულობაშიც კი.

მე უკვე სულიერ მუხლმაგრობაში აღარ ვარსებობ, მისი ავადმყოფობა ჩეთვის მკერდსმოხლილი ტყვიაა. თუ ვსუნთქავ, მხოლოდ იმიტომ, მას რომ ვეჩურჩულო მარცხენა ყურის ბიბილოსთან მისთვის საყვარელი სტრიქონები: **„ჟამი რაი წვლილთა და ხმელთა აღმოფშინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტდეს, შვებანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნებაჲ დაჭნეს, სხვამან მიიღოს სკიპ-ტრაი, სხვასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!“** (დავით აღმაშენებელი).

პირადი ფიქრისთვის, უფრო სწორად, წუთჩაფიქრებისთვის მას ყოველთვის მოთადარიგებული ჰქონდა დრო.

ასეთ წამგარინდებებში და ამ აკად ყოფნასა თუ დევნილობაში მე მის წიაღში ვეძებდი დედაჩემისგან გადმობარებულ მეხსიერებას ჩემი თოლიგეობის არსზე და ვინაობის შურიგეობაზე. მას თანატკიოდა ჩემი წინაპრების ტანჯვა მარტო კი არა, ჩემგან გაშინაარსებული სამყაროს სატანჯველი!..

ის მეტყველებდა ჩემი დედაენის ხორხისმიერებაში.

ხმამაღლა ვამბობ: ილორის წმინდა გიორგის ხატთან ის განსაკუთრებით ლოცულობდა.

წმიდაო, შეიწირე მისი სახალხო ვედრება!..

* * *

<u>18:</u> 29. 11. 2021 წ. <u>**წამების ნედლეულად იქაც და აქაც:**</u> მახსოვს 2011 წლის 18 აპრილის თარსფეხა, უჟმური დღე: აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს უვიცმა, უჭკუო, ხარბმა, თაღლითმა, ბაცაცა, მელაძუა და ნაძირალა თავმჯდომარემ ვნების კვირაში, ორშაბათ დღეს სამსახურიდან გამათავისუფლა. ამგვარად შემაგება მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მრავალნატანჯი დევნილი მოსახლეობის ღალატში არაერთგზის წაჭერის შემდეგ, მტკიცებუ-

ლებებით ვამხილე. სამწუხაროდ, ნაცშანტრაბულმა ხელი-სუფლებამ ამ ჯიბის ქურდის მხარე დაიჭირა.

გარდა ამისა, ჩემი გაუვნებელყოფით ასევე ძალიან იყო დაინტერესებული არმენთა შავრაზმელური პოლიტბანდა როგორც ერევანში, ასევე თბილისში, რომელთაც პირადად ვან ბაიბურთი ხელმძღვანელობდა (როგორც ე. შევარდნაძის, ასევე მ. სააკაშვილის კარზე მიღებული მედროვე და არმენი დიდმპყრობელი). ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მე ჩემს რამოდენიმე წერილში გავასაჯარისე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) არმენი მოსახლეობის საკმაოდ საგრძნობი ნაწილის განდგომა ჰოვანეს თუმანიანის ანდერ-ძისგან, ანუ ძირგამომთხრელობა, იარაღით ბრძოლა და სა-დამსჯელო თარეში ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ.

ცხადია, უსახსროდ, ჯიბეცარიელი დავრჩი. საპენსიო ასაკამდე შვიდ თვეზე მეტი მრჩებოდა. სახლში მისულს, სისხლგამშრალსა და ლოგინზე დაგდებულს ის გვერდით მომიჯდა, მომეფერა და მითხრა, <u>იმ სალახანას რომ დაზა-ვებოდი, პატივისცემას მიგიტოვებდიო.</u>

მეორე დღეს დილაუთენია წავიდა სადღაც და საღამოს, შინმობრუნებულმა მაუწყა.

- მუშაობა დავიწყე.

- სად? - ვკითხე.

მოსკოვის გამზირზე (თბილისში), რომელიღაც საწყობში დამლაგებლად.

არადა, თბილისის ცნობილი მათემატიკური სკოლისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ-ს) დამთავრების შემდეგ არც თუ ურიგო თანამდებობებზე იყო ნამუშევარი.

იმ ხანად სწორედ მისი დამლაგებლობით ვჭამეთ პური. ამის გასწვრივ ჩვენ ისეთი ერთგულებით ვეფერებოდით სუ-ლიერ ერთსხეულებას, როგორც კოჯორზე ქართველ იუნ-კერთა ფიცის თავდადება, - განბანილი საკუთარ სისხლსა და ცრემლის წკონდაში.

... იმ დღეს დილაუთენია ავდექი და ავტოსადგურისკენ გავეშურე, რათა სოფელში ჩამეკითხა, როგორმე, მომენახულებინა ლოგინს მიჯაჭვული თანამოსანგრე ჩემი და ორი-სამი კვირა თვალგასახელად შერჩენილს, გამეძღო სული მისი მონატრებით.

რა თქმა უნდა, ადრეც ვგრძნობდი, რომ არ შემარჩენდა მის თავს ავმოსურნე ჩასაფრება ბედის. შეიძლება, ეს უკანასკნელი მოგზაურობა გამხდარიყო სვლაგეზით თბილისი - სურამი.

მის უმწეო ხმაამოუღებლობაში, სრულ სიჩუმეში, მოჩურჩულე სუნთქვაში ცის ჩამოქცევა ზანზარებდა. ვუყურებდი მის შურიგე მზერას და სიმწრის კვნესად მოვთქვამდი, მყობადს გადაწვდენილი გოდებით ვაგულისტკივილებდი ერთხანს გიჟად მიჩნეული და საფლავმივიწყებული უფალსწვდენილის სურამის საგიჟიდან გამოშურდულებულ ლოცვას: **„ო, ეს გული, ისევ გული მტკივა, სიჩუმეა უსიცოცხლო ველების, რანაირი ნაწამები მივალ, მიმაქვს ჩემი დაკრეფილი ხელები. წითელი მზე აელვარდა მინებთან, მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე, უიმედო გულისძგერა მინელდა, შენ წმინდაო მაცხოვარო, ამინ!..“** (ტერენტი გრანელი).

მისაქვითინებლად: ის იყო, წერტილი დავსვი, რომ დამირეკა სოხუმელმა ინტელიგენტმა და მამულიშვილმა თამაზ ბასლანძემ: რუსეთის ხელისუფლებას გადაუწყვეტია: ყარაბახელი არმენების ის ნაწილი რომლებიც მიმდინარე (2020) წლის სექტემბერ-ნოემბრის ომში ეთნიკური წმენდის შედეგად აზერბაიჯანელებმა საკუთარი სამკვიდრისიდან გააძევეს და უსახლკაროდ დარჩნენ, კრემლის მიერ ოკუპირებულ ჩრდილო დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) უნდა ჩაასახლონო, - თავის მხრივ 1992-93 წლებში აქედან ცეცხლითა და მახვილით აღგვილი ქართველების საკარმიდამოებში, თურმე (რომელიღაც არაჭორიკანა საინფორმაციო წყარო დამისახელა). არცერთი ქართული საინფორმაციო საშუალება ამ ვერაგობაზე ხმას არ იღებს. სამაგიეროდ, მთელი „ქართული ჟურნალისტური“ ფეხაწყობა ზურაბ გირჩი ჯაფარიძის

დემარშებს ესარჩლება. ცხადია, ცოლს იმას უბახებენ, ვინც მისთვის ქრისტესმხედრად არ ვარგა. ასეთ უღვთო და უსამშობლო სიმრავლეზე უფლის მადლი არ გადმოდის: **„ამოვაშრობ მდინარეებს და ბოროტეულთა ხელში ჩავაგდებ ქვეყანას, გავაუდაბურებ ქვეყანასა და მის სისავსეს უცხოთა ხელით; მე უფალმა ვთქვი** (ეზეკიელ წინასწარმეტყველი - 30,12)

* * *

19: 1. 12. 2020 წ. **<u>ვერმეტყველი ტანჯვა, რომელიც მიებოლილა შენს მკერდისმიერ ხორხისმიერებას:</u>** როდესაც ჩემი წიგნი „დემოკრატიული გადაგვარებით „ცივილური“ გადაშენებისაკენ“ (2005 წ.) წაიკითხა, თაბახის სამ გვერდზე მიჩვენა ამოწერილი წინადადებები, რომლებიც ძალიან მომიწონა და მითხრა: - <u>სიტყვა, რომელსაც შენ ეძებ, ლოცვაო!..</u>

ის პატივს მიაგებდა ჩემს გვერდით ყოფნას, კარს უხშობდა ავმოსურნთა ჩასაფრებულ მომიზნებებს და არ ფლანგავდა დროს კინკლავში. მას ჰქონდა შინაგანი კულტურის, სულიერი ზეპურობისა და დედროვანი სათნოების ძალიან მაღალი თამასა. მის ყოფით სიღარიბეს მიეგასწვრივა გულუბოროტობა, კაცთმოყვარეობა, გულუხვობა, თავდადება, უანგაროობა და პასუხისმგებლობა.

... და რამხელა სასჯელია, რომ ის ვერ დამიტირებს ნანაგედ, შურიგედ, თოლიგედ!.. გასაგებია, როდესაც ქალი შენთან იმ დროს რჩება, როცა ყველგან ღარიბი ნათესავი ხარ, ირგვლივ სუყველა ზურგს გაქცევს და ხერშვინით მოგდევს ბრბოდქცეული საზოგადოება, მას ცხოვრება უნდა მიუძღნა, ის მოისკანსანთელო უნდა.

შეიძლება, მის მიმართ გარეგნულად მე ყოველთვის არ ვიყავი თავაზიანი, მაგრამ იცოდა, რომ მე ის კაცი ვარ, რომელიც განცდებს საკუთარ თავში ხუფავს.

ჩემმა მოდგმამ უნდა იცოდეს, რომ მე დიდხანს ვიწვალე ბოროტმოქმედი გარემოს გამოცდილ და ქვეშქვეშურ ხალხში. ის ამ წვალებას თანამესანგრეობდა.

... ერთხელ, ჩაფიქრებულს წამომცდა, - არც საჯდომ-წარყვნილმა ლენინმა იცოდა კომუნიზმის შენება და არც სულ და ხორც გარყვნილ მიშას გაეგება მეთქი რაიმე დემოკრატიის ხუროთმოძღვრების (ამნაირი შედარების მიგნება და სიზუსტე (როგორც მან მიიჩნია) ძალიან გაუკვირდა): ფხიზლად ყოფნა არისო შენი ვინაობის მოცემულობა, მისი ცხრაკლიტულების ახსნა და გასაღები.

სწუხდა კი არა, უჯანყდებოდა იმ სიცხადეს, რომ ქართველი ერი ქრისტესმხედარი და გიორგიანელი მეურნის საზროვნო წესიდან გადაერთსულოვნდა მომხმარებელი ჯოგური სიმრავლის მენტალიტეტზე, ხოლო მომხმარებლური აზროვნებიდან ნაბიჯნახევარი რჩებაო უღირსებო ხელგაწვდენამდე „გვეხმარებიან“...

ქვეყნის შეგინებად მიაჩნდა, რომ ჩვენ კინაღამ ვცხოვრობთ საზღვარგარეთ მსოფლიოში უიაფეს მუშახელად გადინებული თანამემამულეების ხარჯზე: ევროპის იმ სასახლეებში, რომელიც ასე მოსწონს ხმაბაძვაში თვითდამკვიდრებულ „ჩვენს“ ლიბერასტობას, ისინი მხოლოდ ლაქიებად განიმწესდებიან და არა უმეტეს.

ისიც უნდა ვაღიაროთ, ქართველების ნაცვლად დედასაქართველოს მომავალზე დასკვნებს სხვები აკეთებენო...

ის იყო ქალბატონი, რომელიც თავის გვერდით მხდალსაც მთავარსარდლად აქცევდა. არადა, როგორ სჭირდება მისი სიფხიზლე ასეთ გამოთაყვანებას (ვიმეორებ): **„თბილისი ჭორების ქალაქიაო“** (პოსტ ტვ, „მელორამა“, 22. 11. 2020 წ,) და აქ, ამ - წესით წმინდა გამზირებზე სულნათელი ქალწულის - მარო მაყაშვილის სულიერება არ ეგულება, გალაკტიონის ნაფეხურები არ ესაკლისება, **„კოლხური კოშკის“** ღვთივწვდომილება არ ეიმედება მიზნობრივად გადმოინკუბატორებულ „ახალქართველს“!..

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ უდაოდ არის მთლიანად ერის თუ არა, სულ ცოტა, საზოგადოების უპირატესი ნაწილის სიყეყეჩე, როდესაც დავით გარეჯის საქმესთან დაკავშირებით, ნამესტნიკი და კომპრადორი ხელისუფლების თითისქნევა-

თა შესაბამისად, კიდევ დამატებით 3,500 ჰექტარი მიწის „მოძმე“ აზერბაიჯანისათვის გადამცემებს, ანუ დღეს მართლმსაჯულების წინაშე წარმდგარ ერის მოღალატე ბოროტმოქმედებს, ბრბოდქცეული სიმრავლე „სინდისის პატიმრებს“ უწოდებს (30. 11. 2020 წ.). ამასთან დაკავშირებით, თფუი, იმ საქართველოს, რომელიც საქართველოსთვის ვინმე გიგა მაქარაშვილის შიზოიდურ იერს, ყოვლისმკადრებლობით ბუნებას, ქვეყნისმარცხულ (პარაჟენცულ) სულისკვეთებას, უწმოხონო ხელმრუდობასა თუ გიჟის თავაწყვეტით აყროყინებას ემოწაფება (ღმერთო, წაღმა ატარე ის მამაცხონებული, ამ სულით მაწანწალასა და ძიქვაჩახდით გამორჩეულს, თავზე ნაღამისქოთნარით სავსე სათლი რომ გადმოამხო).

... და ერთიც: გეთანხმებით, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში გახლდათ საოკუპაციო დიქტატურა. ამის მიუხედავად, კვერს ვერ დაგიკრავთ იმაში, თითქოს, იმ ავადსახსენებელ სინამდვილეში ქართველ ერს საღათას ძილი მოერია. შედეგად, ქართული ლიტერატურა ან ხელოვნება გულხელდაკრეფილი იყო, ქართული მეცნიერება თვლემდა, ქართული განათლება წყვდიადობდა... გეკითხებით, როგორ ეძინა, საქართველოს, როცა „ჯაყოს ხიზნები“ და „მთვარის მოტაცება“ დაიწერა, „ჰაკი აძბა“ გამოქვეყნდა, გალაკტიონი გუგუნებდა... მიხეილ თუმანიშვილისა და თემურ ჩხეიძის სპექტაკლები გრიგალებდნენ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თავისი დარგობრივი ინსტიტუტებით მეცნიერობდა, თსუ-ს აუდიტორიებში საქართველო მარადიულიყოფობდა, 1991 წლის 9 აპრილი იჭედებოდა?!.

რა შექმნა დღევანდელმა ლიბერასტობამ მათ გატოლებული ან ამის თანაწონადია ზურაბგირჩჯაფარიძე, გიგამაქარაშვილი თუ ლაშა ბუღაძის ეგოპარანოია?!!

არადა, გემოვნება ქართულ სულიერებაში დღემდე ასეთი ხორხისმიერებით ილესება: **„ჩემს გარშემო ბურია, ჩემს გარშემო ნისლია, მოჩვენება შემოდის ღია თვალთა გუგებში. ყველაფერი ცივია, რაც კი მარადისია!.. აი, სწორედ ამიტომ არ ვიწამე ნუგეში.“** (ტერენტი გრანელი).

* * *

20: 2. 12. 2020 წ. <u>**თანამოსანგრეობა წუთშესვენებას ვერ იტანს:**</u> 2016 წლის 29 თებერვალი მისი ბოლო დაბადების დღე იყო, რომელსაც ჯანსაღი მეხსიერებით, გამართული მეტყველებითა და სიცოცხლის მიზანდასახული გასიგრძეგანებით შეხვდა.

დილით, სანამ ამ თარიღს ორიოდე სადღეგრძელოთი გავიდღესასწაულებდით, მთხოვა, გავსულყავით ჩვენს ნაჯაფ ბაღში და მის მიერ ხევიდან მოთადარიგებული ყოჩივარდას ბოლქვები და იის ძირები შესასვლელთან ერთ კვალად დაგვერგო.

ის იყო, რომ ეს საქმე მოდღესასწაულეებმა სულისამოუთქმელად მოვისტუმრეთ, <u>იქვე, უკვე ტანაყრილ ზეთისხილს მიუსათუთა, მერე სივრცეს მზერა მიუშურდულა, ორი წკონდა კურცხალი გადმოუგორდა და ამოოხვრას სულგულიც ამოაყოლა: - მომავალი დაბადების დღე ოთხ წელიწადში დადგება, იქნება ვერ მოვესწროო!..</u>

ღვინო, რომლითაც ვიდღესასწაულეთ, როგორც გითხარით, ჩვენი ერთობლივი გარჯით გაშენებულ ბაღუკაში მოკრეფილი ყურძნისგან იყო დაწურული.

ვუყურებდი და ვგრძნობდი თუ როგორ მემაჯისცემებოდა მისი ნაცემი, თითქოს გატეხილი, მაგრამ ვერგალახული სული, - ამ გვემაშიც მოდიადე და არა სახიჩარი გაშინაარსება!..

ცოტა ხანში ღვინო დაისხა და თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, დააყოლა: ვბერდებით, შენ ასე თბილ კაცს, მაინც გეტყობა, უხეშდები, მზერა ფოცხვერის გაგიხდაო.

- ეს ჩემდაუნებური თავდაცვაა-მეთქი, ვუპასუხე.

თვალი თვალში გამიყარა და თითქოს ვიღაცას უხსნისო, განაგრძო, - თანამოსანგრეობა წუთშესვენებას ვერ იტანს, სანამ ვსუნთქავ, მეც შენთან ვარ, მაგრამ როცა არ ვიქნები, იცოდე, ნიღაბი კი არაა იმდენად საშიში, მისი გამოცნობაა ძნელი, მაგრამ მაინც შეიძლება. აი, ნიღაბზე ნიღაბის ამფარებლის მიგნებააო უსაშველოდ საბედისწერო!.. იცი შენ, რომ ჩვენთვის თავსმოხვეულ გარემოს მისთვის გაპიროვნებული

სეზონი აქვს, მაგრამ ეროვნული შინაარსის ქართულ ხუროთ-მოძღვრებაში გადაწყვეტა, შენი სიტყვით რომ ვთქვა, ქრისტესმხედრული მონუმენტურობა, დავთმეთ, არ გაგვაჩნია. ეს ასეა, ისიც ცხადია, რომ მედროვეთა ისტერიული და დგუშით გაბერილი სახეები კი დაიჩუტებიან, მაგრამ გაძლებს მანამდე ეს ქვეყანა?!.

კი ბატონო, კაი ბიჭი ხარ შენ, თუმცა, დამეთანხმები, დავით აღმაშენებელი არ ხარ, ამიტომ მასზე ათგზის მეტად, ხმისჩახლეჩამდე უნდა იმეორო: **„რომლისაცა წინაშე ქედდადრეკილ არს ყოველი, მუხლი ყოველი მოდრკების და ენაი ყოველი შენს ხმობს აღსარებასა. მეცა, სიტყვაო, აღმსარებელსა მომხედენ...“** („გალობანი სინანულისანი“, დავით აღმაშენებელი).

* * *

21: 3. 12. 2020 წ. <u>**მიკლანჭება სასიცოცხლო ბაგირზე:**</u> *„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“,* - გაიქრისტესმხედრე და თავისუფლებისკენ გალაღდი, ჩემო სამშობლოვ!.. საკუთარი ვინაობისკენ აიწყვიტე ერის სატახტოვ!.. ერთსხეულებისკენ გათვალსაწიერდით ყოველნო ქართველნო!.. დავწერე ფურცელზე და დავიწყე ნარკვევზე მუშაობა, მაგრამ ვიგრძენი, ლოზუნგური გამომივიდა. დავიწყე ჯახირი მის დასახვეწად. არაფერი გამომდიოდა.

კარგა ხნის უშედეგო თავისმტვრევის შემდეგ ფურცელი გამომართვა, წაიკითხა და მთხოვა, ამ უბის წიგნაკში ჩამიწერეო. თხოვნა ავუსრულე. წიგნაკი გამომართვა.

... როდესაც ავადმყოფობა სხეულში ნაღმად აუფეთქდა, გაშმაგებით ჩაებღაუჭა არათუ ძაფს, იმედგაცრუებულ ხავსსაც კი. როგორც შეეძლო კი არა, შემართებით, ხმალჩაუგებლად იბრძოდა ყოველი „ხვალისათვის“.

რა მაგის პასუხია და, ერთხელ, სურამის ციხის თვალიერებისას გამანდო, - როცა აქ ჩემი ბავშვობის ნაფეხურთა კვალს დავეძებ, ასაკს კი არ მივსტირი, გულს ის მისერავს თუ რა სწრაფად გავიდა დრო. ისე მაწუხებენ გარდასულ დღეთა აჩრდილები, თითქოს მათი დანამიზნი ხიწვად ჩამერჭოო

სულში. თვალისდახამხამებაში გაიფლანგა, პირუმტკიცედ გაიპარა, თავაწყვეტილად გაჭენდა დრო!..

ის იყო წინამძღოლური თვისების, გასალკლდევებული ნებისყოფის, მტკიცე ხასიათის, გამრღვევი ძალისხმევის ქალი.

ერთბაშად თავზე გადმოემხო: პირუმტკიცობა, წყენა, გადამგდებლობა, დევნა КГБ-დან. არც ერთ მოიერიშებულ წინაღობასთან ღირსება არ შელახვია...

... დღეს, საღამოს დამირეკეს, ნეტავი არ შევხმიანებოდი! მდგომარეობა გაუარესდაო, მითხრეს! არადა, რაღაც ორი დღის წინ მახარეს, - გაბედნიერდაო, როდესაც „ღვინო“ ვუჩვენეთ და შენი საუბარი გაიგონაო (რეჟისორ შალვა შუბლაძის დოკუმენტური ფილმი „ღვინო“, რომელშიც მეც ვმონაწილეობ). რაღაც კაშკაშა გრძნობა გამოესახაო სახეზე...

არასოდეს ყოფილა ბედის ნებიერა: მისი გაცინებული სახის სიღრმეში მაინც ჩანდა ვერდამალული ტანჯვა და ნაღველი, ფორიაქი იმაზე, თითქოს ერთი წუთით გამოვნიავდი და ამისთვის სასტიკად არ მომკითხონ, - ყანა არ წამიხდინონო!..

... და მე მტკიოდა ამ ტანჯვაში ისიც, ჩემი უხანო თავიც და დედასაქართველოც.

მახსოვს, სულმნათი ზვიად გამსახურდიას მთაწმინდაზე აბრძანების დღეს მის მშვენიერებას ხაზგასმულად შემოცმული ხელმოკლეობა (ის წამწუთი დღემდე სასჯელად იქცა ჩემთვის). ამის მიუხედავად, მაინც დიადი იყო იქ!..

მეც, ამ ავადმყოფობასთან და სულიერ ფორიაქთან უზავოდ შერკინებული, მარტო დავრჩი აქ, მისგან დაშორებული, არავინა მყავს, ვისაც შემიძლია, გადავუშალო ჩემი გულის ბორბონჯია.

ვერანაირ გაბილიკებას ვერ ვხედავ, მისმა ვერც საპირადო და ვერც საქვეყნო სულისკვეთებამ, იმ ფორიაქმა, რაც მის საღ გონებას მაშინ აწუხებდა, მოშურდულებული განსაცდელი რომ უკუირიდოს დღეს. მისთვისაც და მისი მშობლიური, დედანი ვინაობისთვის სამართალი დღემდე მშიერია, რად-

განაც **„სასჯელს მდებენ იმისთვის კაცნი, რომ სათნოება მე ვისათნოე“** (სოფოკლე).

თვალნათლივ ვხედავ, რომ იმდენი ბოროტება შემოენაგვა ქვეყანას, ისე იხრწნება სიცხადე და თვალსაწიერი, რომ სწორედ ეს სიმყრალე მოუნდომებს აღგვას ჩვენს ვინაობას.

შეგახსენებთ, რომ ღვთისაგან განდგომით ხდება ადამიანის, საზოგადოების, მთლიანად ერის გაცხოველება (თუმცა, დავიბენი, არ ვიცი თუ რამდენად ესადაგება ცხოველი ამ გაუკუღმართებულ მდგომარეობას, რადგან ცხოველს (ტყიურობას) ძალიან მკაფიო წესრიგი გააჩნია, ხოლო ამათ ვულგარულ ხედვებს, შესქესებულთ ლიბერასტულ-ქვეყნისმარცხულ (პარაჟენცულ) სულისკვეთებასთან, რომლის მდგენელი დედანი ვინაობიდან განდგომა, უვიცობა, ანგარება, უინტელექტობა და ა. შ. გახლავთ, სამწუხაროა.

ასეთ გარემოში სათავზარო ისაა, რომ ყველანი თავსმოხვეული საოკუპაციო რეჟიმის მჭიდში აღმოვჩნდით. უფრო სწორად, თაობა ჩაამჭიდეს ერის სიწმინდეებზე <u>მისატყვიამფრქვეველად.</u>

აქ მთავარია, რამდენად შორს შეგვიძლია ამის გასაგებად ყურთასმენის გაწვდენა და თვალსაწიერის გაკიდითგანება ამ ღვთისწყრომის დასანახად.

ასეთ დროს იტყვიან, ყველა სიმართლეს თავისი დრო აქვსო, მაგრამ, ვაითუ, ეს დრო ცხრა მთას იქეთ, ჩვენი უგნურების გამო, ვერმონუგეშედ გადაიხვეწოს.

აქ საჭიროა, მოხერხდეს ზნეობრივ და ინსტრუქციულ ცხოვრებას შორის არჩევანი...

ნანა, სულ მარტო დავრჩი ამ საფიქრალზე ღამისტეხვის დროს!.. მოდი, ჩაეკლანჭე ჩემს ხელებს და წამოდი ჩემსკენ!.. - ილორის წმინდა გიორგი, დიდება შენს სახელს, შენ გაუკვლიე გზა!..

* * *

22: 10. 12. 2020 წ. <u>**სნეული სამშობლო, რომელსაც საკუთარი სული გაუსარეცლა:**</u> ჩემს მარტოობას ისე მივანდე თავი, როგორც დედისკალთას გულაჩუყებულმა ბავშვმა.

ვიმშობლიურებ მისი უღრანის თითოეულ ბიჯს და ასე მგონია, საკუთარ ჭრილობებთან განმარტოება ნაცადი დასტაქრობაა მათ დასაამებლად.

... წუხელ რაღაც ძველ ქაღალდებს გადავაწყდი მისი უჯრის დალაგებისას. ერთერთი მის სუფთა ცხვირსახოცსში გულდადებით გამონასკვნული ჩემი ძველი ნაჯღაბნი აღმოჩნდა: **„ნანა, არ ვიცი, არის საჭირო, აგიხსნა თუ რას ნიშნავს სიცარიელე, უკმელად რომ მომეერთბაშა აქ. უარავინოა ჩემთვის ირგვლივ ყველაფერი, რადგან შორსაა, წაგლეჯილია სამშობლოს დასაბამი ჩემგან (უაფხაზეთოდ გადაშენების დღეებს ვაკრიალოსნებთ მხოლოდ). ასე დროს გამონათებათა სუნთქვაა, დღესასწაულია შენი არსებობა, მაგრამ არც შენ ხარ ახლოს.**

მენატრები და მიყვარხარ აორთქლებამდი, ახანძრებამდი, საოცარი ხარ შენ, ასე საიმედო - სიშორესა თუ სიახლოვეში.

გეფერები!..

მხარზე ამბორით მომიკითხე ქალბატონი თინიკო, ჩემი მზერით მოათვალიერე იქაური ბილიკები, ხეები, შენს კატას - „სტრიფონას“ ხელი გადაუსვი, ბომბორას მიეალერსე, ჩაეკარი კომშის ხეს და მადლი მიაგე მის ტოტებს თინას ჩამოკრეფილი ნაყოფისათვის. კიდევ და კიდევ მადლობა მას, კომშის გამოგზავნისათვის, ყოველ წუთს მივდივარ ყუთთან, თითქოს ჩემს ბაღში გავდიოდე, დღეს რომ იავარქმნილია იქ.

თარაში იზრდება: *„მომკლეს ამ ლამაზმა გოგონებმაო“*, - მითხრა გუშინ. წერა კითხვა ისწავლა.

ახალი წელი ის დღეა, როცა შენ ჩამოხვალ... მაგრამ დედას მიხედე, ავადაა ის!..

სერგი საჯაია 6. 01. 04 წ.

* * *

მინაწერი: ამის შემდეგ, თვენახევარში დედა გარდაეცვალა მას.

ეს, რაც შეეხება ჩემი მარტოობის გუშინწინდელ დღეებს. ამჯერად მდგომარეობა გაუარესდა. ნანა უნუგეშოდ ჩალოგინდა მამისეულ სახლში, მე კი (მერამდენედ ვიმეორებ!) აქ ვღაფავ სულს უგნური საზოგადოების გადამშენებლური თავაწყვეტის წიაღში. ცხადია, ამ ქვეყნისა თუ ერის მარცხულ

ფეხაწყობათა საგზაო რუკასა და ცნობიერ სვლაგეზს არ უნდა მიელიანდაგოს ქართველი ერი. ამ ხროვამ ჩვენი ქვეყანა უკვე დააყენა მძიმე რეპუტაციული რისკის ქვეშ, - ეშმაკთან თანამეინახენი არ გაკვეთილობენ წმინდა წიგნს: **„მოისპობა ჩემი ერი უმეცრების გამო, რადგან შენ უარყავი ღვთის შემეცნება... დავიწყებული გაქვს ჩემი რჯული და მეც დავივიწყებ შენს შვილებს“** (ილია წინასწარმეტყველი - 4,6), ან კიდევ **„შეჭამენ და ვერ გაიგებენ გაძღომას, იბოზებენ და ვერ გამრავლდებიან, რადგან დაივიწყეს უფლის სამსახური“** (იქვე - 4, 10).

1992 წლიდან დღემდე ქართველი ერი არ ცხოვრობს სახალხო ნებაში. ამის გამო, **„მე ვარ კაცი ტანჯვის მნახველი მისი რისხვის კვერთხის ქვეშ...“** (გოდება იერემიასი -1,3).

დღეს ჩვენს გარშემო აგორებული „ქვეყნისშიდა“ დაპირისპირებები სინამდვილეში გარედან შემოშლიგინებული მართვადი და მიზნობრივი ქაოსი გახლავთ. ამ აქეთ-იქეთობაში არც ერთს ოდნავაც არ შერჩა დედოქართული შინაარსი. ორივე მათგანმა გადმოიმყნო ლიბერასტული ცნობიერება. აქედან გამომდინარე, თითოეული მათგანი ჩაძირვას უნდომებს სრულიად საქართველოს ეროვნული სიბეცისა და სოციალური სიბეჩავის წუმპეში.

ვხედავ, ჩემი სამშობლო მძიმე სენით დაავადდა. ამის შემხედვარე მამულს მშობელ დედასავით ვაფასებ ჩემს გულისფიცარზე და მჯერა, ამასვე აკეთებს დღეს ლოგინსმიჯაჭვული ჩემი შურიგე ნანაც!..

* * *

23: 13. 12. 2020 წ. <u>**როცა სულიდან სამშობლო ამონათდება:**</u> მგონი 2001 წლის იანვარი იყო, ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქუჩაზე, ყოფილი გამომცემლობების სასახლეში, რომელიც შემდგომ ავზნიანი მ. სააკაშვილის მაოხრობამ გაანადგურა, ცნობილი ჟურნალისტის, ჯემალ ნინუას (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ყოფილი რედაქტორის) სამუშაო ოთახში გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, ლიტერატორები, ხელოვა-

ნები და მოღვაწეები იყვნენ მოწვეულები. მათ შორის ეს პატივი მეც მხვდა წილად ნანასთან ერთად.

საუბარი შეეხო გამოსავლის ძიებას შემოთარეშებული სიდუხჭირიდან.

ჩემდა მოულოდნელად „მრგვალი მაგიდის“ სპიკერმა, პროფესორმა თენგიზ კიკაჩეიშვილმა წარმადგინა ეროვნული მოძრაობის ღირსეულ წევრად (რაც გადაჭარბებული შეფასება გახლდათ რიგითისთვის) და ითხოვა, სიტყვა გადმოეცათ ჩემთვის.

მე აღვნიშნე, რომ რფ-სა და აშშ-ს მიერ საქართველოში საწარმოო ინდუსტრიის სახით განხორციელებული ეთნოდივერსიებს შორის ტოლობის ნიშნები უნდა დაისვას (მაშინ აშშ „დემოკრატიის აკვნად“ დაუეჭვებლად განიხილებოდა“). იმაშიც უნდა გავერკვეთ, თუ რა განაპირობებს ამ ტოლობის ნიშანს, რაში გამოიხატება იგი, რანაირი ნიღბით ისაგნება, ამავე დროს რა ნიუანსური სხვადასხვაობაა მათ შორის მიზნის უეჭველად მისაღწევ ძალისხმევაში. აქვე უნდა დადგინდეს ის მეტნაკლები წვლილი თავთავიანთ შესაძლებლობათა კიდეგანის საზღვრებში, რითაც უკლებლივ ყველა მეზობელი (რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, არმენეთი) გვებაცაცება, გვეძალადება და გვინაგვიანებს დედან ვინაობას, გვისხვაქვეყნებს მამულს, გვიუკუღმართებს ღვთივბოძებულ ვინაობას და ა. შ.

ცხადია, ზუსტ პასუხსს მოითხოვს ისიც, თუ რა ძირგამომთხრელობამ განაპირობა შინერს-ვაშინერსის წესრიგს, ანუ გიორგიანელობის ძლევამოსილი ბუდე იბერიული ურარტუს შუაგულიდან შერჩენილიყო მხოლოდ კავკასიონის სამხრეთ კალთებს, როგორ მოხერხდა შუამდინარეთისა და პონტო-კავკასიის ცნობიერ სივრცეში ჩვენი გამოცალკევება დედანი შინაარსიდან ან რანაირად დავუშვით ჯიშისმიერი მეხსიერების გამიჯვნა დასაბამიდან, რითაც იგი აქ უფრო გვიან შემოხიზნულ ხალხებს მივუსამშობლოეთ...

საუბარი დავამთავრე თუ არა, ჩემთან მოვიდა ქალბატონი დენისა სუმბაძე და ლოყაზე მეამბორა, ასევე მომემარჯა მაშინ

ჩემთვის უცნობი პროფესორი ლევან ფრუიძე, არქეოლოგი, პროფესორი მალხაზ ბარამიძე, ხელი ჩამომართვა პროფესორმა ლორიკ მარშანიამ, მხარი დამიჭირა პროფესორმა ნოდარ ნათაძემ...

აქვე გამოვიდა იმხანად თსუ-ს უფროსი მასწავლებელი ბიჭი გვიშიანი (ოფიციალურ სახელს ვერ ვიხსენებ) და პროფესორ დიმიტრი ლეთოდიანს (რომელსაც წინა წლებში გამოცემული ჰქონდა წიგნი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შესახებ) და სხვა მეცნიერებს მოსთხოვა, - სერგი საჯაიას გამოსვლა მარტო ცნობად მისაღები კი არ არის, ის გახლავთო მსოფლმხედველობა, რომელიც ეფუძნებაო ჩვენს გიორგიანელობას და იგი ამ დარგში მომუშავეებმა მეცნიერული მტკიცებულებებით უნდა განამტკიცოთო.

ჩემდა დაუკითხავად და მოულოდნელად ამ რაგადობაში ნანაც ჩაერთო. მახსოვს მისი მიზანმიმართული, გამართული და უკანდაუხეველი მსჯელობა.

საუბარში მან იხმარა ტერმინები „პოლიტიკური სიმხდალე!“ „მეცნიერული წინგაუხედაობა“, „იდეოლოგიური გაუბედაობა“ და „დოყლაპიური კვლევა“.

ბატონო მეცნიერებოო, დასძინა ბოლოს, თქვენი კეთილსინდისიერი კვლევები ასეთ სულიერ ნაღვერდალზე უნდა აინთოსო: **„დაუკარით, ჯერ ხომ მცხეთის დიდ ტაძარში საქართველოს ცხელი გული ასვენია“** (ლადო ასათიანი), ამგვარი სიამაყით განუფინეთო მსოფლიოს ჩვენი ქართველობა, - **„მე ვარ სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა“** (შოთა რუსთაველი). სიმართლის მტკიცებას თქვენ თვით უილიამ შექსპირი გავალებთო: **„ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს“** (ჰამლეტი).

სხვა სახის მეცნიერებას ასე განმარტავსო ბიბლია - **„ამიტომ წყევლა ჭამს მიწასა და დაისჯებიან მისი მკვიდრნი“** (ესაია წინასწარმეტყველი -24,6).

მადლობა სამშობლოს, რომ ის იმსახურებს ჩვენგან ამის გაკეთებას. უნდა დავადგინოთ ასეთი მოთხოვნილება: **„ჩვენი**

მკაფიო ადგილი დედამიწაზე“. სერგი საჯაიამ ეს ცნობიერად ჩამოაყალიბა, სწორად აღინიშნა აქ, მაგრამ მეცნიერებმა იგი სახალხო მსოფლმხედველობად უნდა დაასაბუთონო.

დიდება ჩვენს წარსულსა და წინაპრებს, რომ ამ მხრივ იზრუნეს ჩვენი აწმყოსა და შთამომავლობის მომავლისათვის!.. სიტყვის დამთავრებისთანავე გადამეხვია!..

* * *

24: 14. 12. 2020 წ. **<u>ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, აჩუქე კიდევ ერთი დაბადების დღე:</u>** ... დამირეკეს. როდესაც ყურმილი დააკავეს და ჩემი ხმა გაიგონა, როგორც მეუბნებიან, ნეტარებისგან გაიტრუნა, სახეზე ღიმილი გაუსხივდა, შემდეგ ცრემლები გადმოუღაპაღუპდა, საწოლისკენ გადადგა ნაბიჯი და უგონოდ ჩაიკეცა...

<u>მინდა დავემხო იმ ერთი შესაძლო წუთის წინაშე და საოხარი მოვაცვა ჩემს ისედაც ავადმყოფ სხეულს. როდესაც ის გონზე მოდის, თავის მდგომარეობას აცნობიერებს, ვერ აგებინებს გარშემომყოფთ მის იმწამიერ ფიქრებს, თავსდამტყდარ ცისჩამოქცევას... შემაძრწუნებლად მეცოდება, როცა წარმოვიდგენ, რომ ტანჯვის ქურაში უმწეოდ მყოფს, თავზარდამცემი შიშის კლანჭებში არ შეუძლია, ამოიკივლოს, - დედა, მიშველე! სერგი, მიშველე!</u>

ბოლო წლებში უშუქობისას ფრთხილობდა, სიბნელე აშინებდა და შუქის ჩაქრობისას, სანამ სანთელს ავანთებდი, აფორიაქებული მეძახდა, სერგი, სადა ხარო!

აი, ესეც რომ არ შეუძლია ახლა, ამანაა, რომ მომკლა!.. მართლაცდა, ენით აუწერელი წამების წიაღში, წარმოიდგინეთ, თავად გონებით უხმობს ადამიანს, ხმას ვერ აჟღერებს, ყელში რაღაც აუჯანყდა, არ ემორჩილება და ცდილობს, ამ შეთქმულებას ამოენგრიოს, ხელფეხი შეეკრა, დაითრგუნა, სიზმარშიც კი გაშოროს ღმერთმა ასეთი განცდა!..

გულში ვიკრავ და ვუერთსხეულდები მის ასეთ წუთებს, იქნებ, შევუმსუბუქო, მე გადმოვიპიროვნო ეს სიწყეულე, როგორ გავასაგნო, როგორ გამოვსახო ან გაგაგონოთ მისი

უხმოდ მგმინავი შინაარსი?!. რანაირად ავეყავარჯნო მის უმწეობას?!.

მინდა, იქვე შემიწყდეს სუნთქვა, რა წუთსაც შევძლებ, მის ცნობიერ გამონათებაში წამგაევლებულ აზრებს შევავლო თვალი, გაუხმოვანებელ ყოფნა-არყოფნას თანავუგრძნო, თანავეხანძრო, მოვეფერო, მალამოდ მოვეცხო, ჩავკბიჩო, შემოვიგულისძგერო...

ასეთ წუთებში ჩემი მუხლზე დგომა ათგზის თვითმგვემია, გულწრფელია, ნებაყოფლობითია, მას მიმშობლიურებულია, ვიდრე რადიონ რასკოლნიკოვის გახსოვთ, სონია მარმელადოვას მდგომარეობისთვის საზოგადოებრივი სისასტიკის მაქუჩისფსკერებელ სიცხადეს მიახალა ეს, ამოგრგმინვაა: **„მე ქვეყნის ტანჯვას ვეცი პატივი“!..** (თ. დოსტოევსკი).

ის არ გახლდათ ისეთი სახეზოგადობა, რომლისთვისაც ამგვარ ხვედრს წარმოვიდგენდი. მისმა უნუგეშო მდგომარეობამ, მე, ჩემის მხრივ მისგან შორს, ასევე ლოგინად მყოფი, მის სარეცელთან წარმოსახვითად ჩამუხლილი, გულამოსკვნილი ხორხისმიერებით ვევედრები ყოვლადწმინდას: **„ღვთისმშობელო, აჩუქე მას კიდევ ერთი დაბადების დღე“!..**

* * *

25: 17 12. 2020 წ. **ჟამი, როდესაც თაობა უფალს უმედიდურდება:** ...ძალა მოვიკრიბე და ამ პანდემიის სიდუხჭირეში კვლავ მოვახერხე მისი მონახულება. როდესაც მასთან შევედი, ამონათებული თვალებით შემომხედა, მარცხენა ტუჩის გასწვრივ მისთვის ჩვეული ღიმილი გამოესახა, წამოდგომა მოინდომა, მაგრამ ბალიშზე მიასვენა უღონო სხეული. იმწამსვე ისე მტანჯავად ამოიგმინა, თითქოს დედამიწას ამოეხეთქა მკერდი და ცხრასკნელსქვემოთა გავარვარებული ამოქშენა დამხანძრავად მომეიერიშა უხანო გულში.

...და მაინც, მისი უმწეობაც კი, კიდევ და კიდევ გეტყვით და არ მომბეზრდება ეს, ჩემი კაცობის ღირსებაში გამშინაარსებელი და მტანჯველ მარტოობაში მხარდამჭერ იმედად შემრჩა.

მართალია, იგი, მძიმე სენის გამო, ვერ ახორხისმიერებდა თავის აზრებს, მაგრამ ის, მისდა სასახელოდ, ლოგინად ჩავარდნილი და ენაწართმეულიც კი, უფალთან მომედიდურე თაობის სახაზინო ყმუილით არ ემშობლიურებოდა ქვეყანას, - მისი დახანჯლური შინაგანი სამყარო თვალმეტყველი ენით ეკლანჭებოდა სიცხადეს და ამის მიხედვით ლოცავდა და ეფერებოდა ღირსებაში გადაწვიმებულ ნებისმიერს.

მოგეხსენებათ, თითოეული, რომელიც მსოფლმხედველობრივ სივრცეს ქმნის, ამდენად, კულტურის მდგენელად (სუბიექტად) იკვარცხლბეკებს თავს, მისი გულისცემა ფიქრს ელიანდაგება და გარდაცვალების გასიგრძეგანებით იწალდავს სავალს ვინაობად დარჩენისკენ. რა თქმა უნდა, სიკვდილზე ფიქრის ხარისხი განსაზღვრავს შენში (გნებავთ ერში) ღირებულებისა და კულტურის სინჯს. სწორედ ამიტომ გვიგაკვეთილებს შოთა რუსთაველი, **„სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად...“**

ამგვარ ფიქრთა უნარის გარეშე ადამიანი, საზოგადოება, თაობა, ერი შორდება საკუთარ თავს დედან შინაარსში, უმედიდურდება უფალს და პარაზიტდება ყოფით ყოველდღიურებაში.

ნანას სტკიოდა ის, რომ თაობა ზნეობისკენ კი არ იბილიკებდა სავალს, ეშმაკს ემოწაფებოდა: ის კი არ ცხოვრობდა სახალხო ნებაში, თვალსაწიერს კი არ იმდიდრებდა ასე ქედდადრეკილად გაფეტიშებული ე. წ. დასავლეთის სულიერი სიმდიდრით, მასთან კიდეგანითი მიმეცნიერებისთვის კი არ იკაპიწებდა ხელებს, არამედ მის ქუჩისფსკერულობას ხმაბაძვითა და თვითუარყოფით ეტმასნებოდა, ხელისბიჭად ეთანამგზავრებოდა.

ასეთ შემთხვევაში მათთვის ე. წ. პროდასავლეთობა ან პრორუსობა (გნებავთ, პროთურქობა) კვლავ „მეგობრის“, „უფროსი ძმის“ და „სტრატეგიული მოკავშირის“ ფეხქვეშ გართხმა და „ახალი პატრონის“ ძიებაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ხალხთაშორის, ქვეყანათშორის და სახელმწი-

ფოთა შორის ასე აუცილებელ თანამშრომლობასთან. ასეთ შემთხვევაში მიზნობრივი, ზედაპირული და სქემატური, რაც მთავარია, დივერსიული სტერეოტიპი, ყველაფერი საბჭოთა სატანური, ხოლო ვითომ დასვლური უფლისკენ გამძღოლი ან პირიქით, გახლავთ გეოპოლიტიკური სიჩლუნგე. ეს ერთი, მეორეც და საბედისწერო: ამგვარად ხელგამოღებული სიმრავლისთვის წინაპარი, წარსული, მშობლიური, სამშობლო და ა. შ. გასაძევებელი ქვეყნის ცნობიერებიდან და საჯაროდ „გასაშოლტი“ ცნებებია, რადგანაც ცხოვრობენ დებულებით **„შენი ასაკი უკვე დანაშაულია“.**

ამავე დროს, მათ არ იციან, რომ ის, რაც წინაპართაგან გადმოგვეცა, ჩვენი განსაკარგი იმდენადაა, თუ რაოდენი პატივმიგებითა და შეურყვნელობით შევძლებთ მის გადაცემას მომავალი თაობისათვის, ამდენად, ჩვენ მხოლოდ მის მცველებად (ქრისტესმხედრებად) უნდა ვრჩებოდეთ.

სამშობლოსთან და დედან შინაარსთან დამოკიდებულებაში მათი ზნეობრივი სვლაგეზი გაშინაარსებულია სურვილში **„ვიცხოვროთ ყოველდღიური კორტნის ყოფაქცევაში“.**

ასეთ დროს საგანგაშო ისაა, რომ მათთვის საადამიანო ურთიერთობა და მშობლიური სახე, შესაბამისად, ენა არ არის ზნეობის გახმოვანების, ანუ ყოფიერების არსი.

* * *

26: 18. 12. 2020 წ. <u>**მოგონებათა ჩაკრიალოსნება, ანუ დროთა კავშირი სიცოცხლეა:**</u> დავრეკე, ტელეფონი ყურთან მიუტანეს. ბუნებრივია, ვერ მიპასუხა, მაგრამ სიხარულიცა და ეშმაკური ღიმილიც სახეზე გაუნუშისყვავილდა, თურმე.

* * *

... იმ დროს სუსტად კი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ შეეძლო სიტყვის ნაკუწ-ნაკუწად გაჯახირება. ჩვენი ბაღის ბროწეულები ავუტანე. მთელი დღე არ მომცილებია, დაღამებულზე, აღტაცებებით დაღლილს, ძილი მოერია და ადრე დაწვა. ქათქათა საწოლში ჩავენებივრე. ვაკოცე და ხელი გადავუსვი რძეზე

უთეთრეს მკერდზე. გაწითლდა, ცელქობაზე წასწრებული ბავშვივით და ქალწულებრივი სიწმინდით მითხრა, - **სირცხვილია!..**

* * *

სულთა სანთიობოდ: ნურვის გაუკვირდება და ნურც განმსჯის, რომ ამგვარად დავადგინე, - სურამთან ახლოს, ოძისში, ჩემი ოდაბადის მსგავს მიდამოში მოვინიშნე სამუდამო ყებური. საფლავი ნახევრად გაკეთებულია (ჩასხმულია ბეტონი, ჯვარი ჩამაგრებული), მხოლოდ მარმალილოს ნიში და ფილებით ბეტონის მოპირკეთება დარჩა მოსამთავრებელი. სამარეც ამოსათხრელი იქნება.

თუ გადავრჩი და ვიცოცხლე, გაზაფხულზე მე თვითონ მივხედავ ამას. იმ შემთხვევაში, თუ ამ უბედურებამ მიმსხვერპლა, თქვენ მოგიწევთ აღსრულება, საჭირო თანხას ამისთვის ამ ბარათთან ვტოვებ.

არანაირი აურზაური და ქელეხი მე არ მჭირდება, <u>რადგან ჩემს ვინაობას მარადი მარტოობა უხდება. უნდა ვეგდო იქ, სადაც ორიოდეჯერ ათანამგზავრებული თანაგრძნობა ამეყავარჯნა...</u>

ერთ ბოთლ ღვინოს თუ დამაცრემლებთ და სამ-ოთხ სანთელს ამინთებთ, უფალი სიკეთედ ჩაგითვლით.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა და ილორის წმინდა გიორგიმ დალოცოს სრულიად საქართველო, ქართველი ერი, ჩემი შთამომავლობა და ნებისმიერი, ვისაც დავაკლდები!

სერგი (გიორგი) საჯაია. 13. 12. 2020 წ.

* * *

ურთიერთობა იოლი და სწორხაზოვანი, უმოსახვევო არ არის. ის ხან აღტაცებითია, ხანაც მწუხარე. ნანაზე საუბრისას სიტყვები სუნთქვაში მიშლიან ხელს.

... იმ დღეს ხევში ჩავედი, რათა ურიკით მიწა ამომეტანა ყვავილებისთვის. შემაგვიანდა. ამან ააფორიაქა და ჩემს საძებნელად გამოიქცა, სასოწარკვეთილი მეძახდა...

იგი, გადამდები სიხარულისა და აყოლიების უნარის მქონე, მხოლოდ მას უშვებდა თავისი სულის ცხრაკლიტულში, ვის გულწრფელობასაც ნაცადად თვლიდა.

ბოლო დროს, როდესაც წყეული სენი შემოეპარა, ბაღში მიმყავდა, ჯორკოზე დავსვამდი და საბაღო საქმეს ვაყოლებდი გულს. შიგადაშიგ, ვამჩნევდი, თვალები უცრემლდებოდა. ერთხელ, მეზობლის ქალმა უზრდელად შენიშნა: მთელი დღე გიყურებ, შენ ზიხარ და არაფერს აკეთებო!..

არაფერი უთქვამს, გმინვა **ამო-ი-გლიჯა** მხოლოდ.

როდესაც სამსახურიდან ჩემი შეხედულებების გამო გამომაძევეს, სახლში მოსულს აუღელვებლად მითხრა: წადი, დაიძინე, ხვალ კი ვნახოთო!.. ჩემს წინ იდგა უკანდაუხეველი თანამებრძოლი, თანამესანგრე, თანამესუნთქე... იგი არ გახლდათ ის კნინი, ვინც ქვემოდან ახედავდა ვინმეს.

... იმ დღესაც ბაღში ვიყავით, სამსახურიდან ჩემს დათხოვნას ჩხირკედელაობით ვიქარვებდი. ამ დროს ბიჭები მესტუმრნენ, ღვინოს რაღაც-რაღაცეები მოაყოლეს, ეს ყველაფერი კი ტაბაკზე გაშალეს.

ჩვენდა უნებურად, შორიახლო ჩამოვსხედით და ხმაგაკმენდილად მივაშტერდით სივრცეს. უცებ, **- ეჰ, კარგად ვსხედვართ, ბიჭებოო, წამით დაყოვნდა და ზარის რეკვასავით დასძინა, ჩემს სერგის გაუმარჯოსო!..**

მერე ცოტაოდენ ყოვნს მოაყოლა, - ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ამ კაცის მტერთა ფეხაწყობას არ გააჩნიაო და არც შეიძლება, გააჩნდეს (უბრალოდ, ამის მოთხოვნილება არ აქვთო) პოლიტიკური და რელიგიური მრწამსი, მოშლილი აქვთო მშობლიური სააზროვნო წესი და მოერღვათო ბუნებრივად ამმეტყველებელი ორგანოები. ისინი არ გახლავანო განნათლულები პურ-ღვინოში. ყოველივე ეს მათ ერეკება არაავთენტური მდგომარეობისკენ, რის გამოც ცრუმორწმუნეები ხდებიან. ამიტომ ქართულმა ხორხისმიერებამ (ენამ) მოიკვეთა ეს აგვართა, რადგან მათ არ გამოუდით მამულისთვის გასაგები ლაპარაკი. ისინი გადაიქცნენ არამშობლიურად გაწვრთნილ და დაგეშილ თვითმსპობებად, რომლებიც საზოგადოებაში

რაღაცის გახმოვანებას კი ცდილობენ, მაგრამ საამისოდ დედა ენა არ გააჩნიათო.

... ახლა კი ვიჯექი მის სასთუმალთან, უხმოდ მოქვითინეს მისი ხელი მეკავა და მგრგვინავი მდუმარებით ჟამი ამ სათავზარო თავსატეხების გაოთხივკუთხებას მიპიროვნებდა...

* * *

27: 19. 12. 2020 წ. <u>**სიმრავლე, რომელსაც „ცრემლები ლოყას არ უსველებს“:**</u> 1969-70 სასწავლო წლისათვის ქ. სოხუმის ა. მ. გორკის (ადრე ლ. პ. ბერიას) სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის განხრაზე უახლეს ქართულ ლიტერატურას გვიკითხავდა იმ-ხანად დოცენტი და შემდგომში პროფესორი დავით თევ-ზაძე.

მანამდე ბატონი დავითი სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ქართული დასის წამყვანი მსახიობი გახლ-დათ, შემდგომში იგი თბილისში გადმოვიდა, სამეცნიერო მუშაობას შეუდგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

დავუბრუნდეთ ხსენებებულ სასწავლო წელს: პირველი სემესტრის ბოლო კვირეებში პატივისცემულმა დავით თევ-ზაძემ სემინარზე გამომიძახა და მთხოვა, განმეხილა მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ე. წ. ქართული დეკადენტური პოეზია. ეს საკითხი კარგად მქონდა დამუშავებული და თავს ლაღად ვგრძნობდი. მიმოვიხილე იმ დროის არათუ ცნო-ბილი, მივიწყებული, მაგრამ სანაქებო პოეტების შემოქმე-დება. ბოლოს შეპირისპირების ხერხით ერთმანეთს შევადარე დიდი გალაკტიონისა და უსამართლოდ მიცრაკლიტულე-ბული ტერენტი გრანელის საუკეთესოთა შორის საუკეთესო შედევრები. ამავე დროს ვცადე ტანჯული შემოქმედის გამო-სარჩლება.

შევამჩნიე, რომ ლექტორს სახე მოეღუშა. ცოტაოდენი ყოვ-ნის შემდეგ მითხრა, - ყმაწვილო, რამდენად შეეფერება საბ-

ჭოთა ახალგაზრდას დეკადენტი, სიკვდილის მეხოტბე პოეტით გატაცება? ეს შენს კომკავშირის კომიტეტის მდივანს უნდა მოვახსენოო.

მკაფიოდ გავიცხადე, რომ მორიგი შარი აქ, სადაც სულ არ ველოდი, შემომეხაფანგა (ორიოდე კვირის წინ ჰიგიენის ლექციაზე ლექტორმა „გაგვანათლა“ და აგვიხსნა, რომ არა-ჰიგიენურობის კლასიკური მაგალითიაო ზიარება. აქაც ამაოდ ვცადე განმემარტა, რომ წმინდა ზიარების ასეთი ქვეტექსტით წარმოჩენა სინდისის თავისუფლების დარღვევაა და ამდენად, სულ ცოტა, არაკორექტული გახლავთ მეთქი. ცხადია, ამაზე მეტს ვერ ვიტყოდი მაშინ).

ახლაც, ჩემდა დაუკითხავად, ვიღაცამ ჩემში ამის საპასუხოდ ხმამაღლა, მხატვრულად წაიკითხა ტერენტი გრანელის ორი უადამიანურესი, გულშიჩამწვდომი და უმაღალმხატვრულესი ლექსი: **„... ახლა რა ვქნა, არ ვიცი, მე როდესაც ასე ვარ, როცა სულს ეპარება აჩრდილები სიბერის. მე, ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება, ჩემი ნაზი სამშობლო - ლაჟვარდები ცისფერი. რა ვქნა, შავი ღამეა, მძიმე და უსაშველო, მახსოვს ჩემი სოფელი, მისი ყრუ ადგილები. ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა, უსახელო, რომ დაღუპვა მომელის, ვიცი დანამდვილებით. ნელა გადის დღეები და ძნელია გარჩევა, მე ძვირფასო, ვერ მოვალ, გზა შენამდე შორია. ჩემი გვარი - გრანელი, პოეზიას დარჩება, ჩემი გული და სისხლი - ეს „MEMENTO MORI“-ა“...**

და მეორეც: **„რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი, უფსკრულია და შენ მარტი ჰკივი, მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს. როგორც ოხვრა შორეული გედის, ანდა როგორც მარმარილო ცივი, - მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს“...**

დასასრულ, ბატონ დავითს მტკიცებითი სახით შევბედე, რომ მხატვრული და ადამიანთმოყვარეობითი თვალსაზრისითაც ეს სტრიქონები უტოლდება უდიდესი გალაკტიონის

„მესაფლავეს“, „მთაწმინდის მთვარეს“, „გურიის მთებს“, „მერის“, „სილაჟვარდეს“ და ა. შ.

მათში თავაწყვეტილად დაგრიგალობს მეთქი, „მაროს ტირილის“ (ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“) ცრემლთა ცადწვდომილება, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებადან“ ერთბაშად მოხუცი მებორნის, თარაშ ჰემხვარის, თამარ შერვაშიძის, კაც ზვამბაიას, ლუკაია ლაბახუასა და ქორა მახვშის საკაცობრიო თავსატეხებით დასერილ გულთა ფორიაქი... ანტონ ჩეხოვის „ნაღველი“, მიტკა კარამაზოვისა და სონია მარმელადოვას წუთისოფლური ტანჯვა (თ. დოსტოევსკი)...

აქედან გამომდინარე, ხაზგასმით განვაცხადე, რომ ტერენტი გრანელის მსოფლიო სევდა სიკვდილს არ ასხამს ხოტბას, ისინი გენიალური შოთა რუსთაველის ასეთ სწავლებას ემოწაფებიან: **„სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“...** მისი სტრიქონებით ამოქარიშხლებულია დაჭრილი, სიკვდილისთვის თვალში თვალჩანახედი, უკანდაუხეველი, ხმალჩაუგები კაცის ძალისხმევა, მეთქი!.. (თუ როგორ გაგრძელდა ეს საუბარი, ეს აქ სალაპარაკო არაა, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ნეტა, იმ დროს!).

2006 წლის ზაფხულში სურამთან, სოფელ ოძისში, ნანას მამისეულ სახლში, მამა-პაპისეულ მუხის მაგიდასთან, აივანზე ვნადიმობდით.

მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა სახელმწიფო თეატრის მსახიობმა პაატა ბარათაშვილმა შესაშური ოსტატობით გადასჭექა მიდამოს გალაკტიონის „გურიის მთებს“, მას აჰყვა და კითხვის რიტმს თავისი საცეკვაო ეტიუდი მიუსადაგა ქალბატონმა ლია ომიაძემ - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის ყოფილმა ბალერინამ. პაატას მეუღლემ, ირინამ, მისმა დამ - მარიკამ, ადგილობრივმა მღვდელმა იობმა და მონადიმეებმა გულშიჩამწვდომად ააჰანგეს **„სერი იშენ სერი რე დო უკუმელა მაფუ დღაში!..“** ლუიზამ თავისი ლექსები წაიკითხა და ნაქარგები გამოფინა...

მე ვისარგებლე თამადის ხელშეუხლებელი უფლებით და წავიკითხე: **„... ყოველდღე ვიღებ ძვირფას ბარათებს, ბაღში მივდივარ, ეს დღე ცივია, გალაკტიონში მიწა ანათებს და ჩემში უფრო ზეცის სხივია“** (ტერენტი)...

ამ დროს თონიდან ახალჯერად გამომცხვარი, დაბრაწული შოთებით ამოვიდა ნანა, ცხელი პური ზოგი მაგიდას, ზოგიც იქვე ტაბაკზე გაშალა, შემოგვიერთდა და სიტყვა ითხოვა: „თქვენ იცითო, რომ მე ამ სოფლიდან თბილისის მათემატიკურ სკოლაში სულ პატარა, გორს იქით არნამყოფი ბავშვი წამიყვანესო. იქ ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა სახელგანთქმული სიმონ სხირტლაძე. ერთხელ მან ლიტერატურული საღამოსთვის დამასწავლა ტერენტი გრანელის ეს ლექსი, მირჩია ჩემი სულიერი სამყარო გამემდიდრებინა და გემოვნება დამეხვეწა მისი გენიალური ქმნილებებით. გენიალურიო, არ წამომცდენია, ასე ბრძანა დიდმა სიმონმა და ის ჰაიჰარად არაფერს იტყოდა.

ამ სადღეგრძელოთი მე სულის ცხონებას ვუსურვებ ჩემს მშობელივით დამკვალიანებელს სიმონ სხირტლაძეს და შესანდობრით მივმართავ უფალს, ნათელში ამყოფოს ამ სტრიქონთა შემქმნელის მიწიერ ცხოვრებაში ტანჯული სული: **„...ახლა დედის აჩრდილი დებს და მამას მაბარებს, (ახლა უფრო ხშირია დარდი და უძილობა). მზერას მტაცებს საყდარი. ველზე გათხრილ სამარეს ვაკვირდები შორიდან, როგორც მიწის ჭრილობას. ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად: მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება. ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა, ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება... ახლა მინდა ამ მზეში იმედები გახშირდეს (თუმცა რაა იმედი? - წამიერი ფარ-ხმალი). მელანდება სიკვდილი და სოფელი მამშვიდებს, ჩემი ტკბილი ოცნების ლურჯი ნამოსახლარი.“**

* * *

27: 20 12. 2020 წ. <u>**თხილისგულივით გასაყოფი გულისყური:**</u> ჯერ კიდევ ე. შევარდნაძის უზნეობა დათარეშობდა. მეტრო „რუსთაველთან“ ერთი ფორმიანი პოლიციელი გაზე-

თის გამყიდველ ქალს წაეკამათა, - აქ ნუ ყიდიო პრესას. „წადი-დავრჩების“ კინკლავმა საწყალი და დაუცველი ქალის დარბევის ხასიათი მიიღო.

ორივემ იქითკენ გავინაბიჯეთ. მან მიმასწრო, პოლიციელს მკლავში მოქაჩა და მკაცრად უთხრა: ვერა გრძნობთ, რომ თქვენი ბათინკით ადამიანის სულს აბიჯებთო?!.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინ მას წავუკითხე ინტერვიუ იმ დროს ჯერ კიდევ მოქმედ ფეხბურთელ კახი კალაძესთან. ის ამბობდა, რომ მას ტვინი არა მისი ბედკრულ სამშობლოს რაიმე ეროვნულ-სახალხო ღირებულებაზე ან სიწმინდეზე, არამედ, რომელიღაც უცხოურ მანქანაზე „ეკეტებოდა“...

მაშინ აღვნიშნე, რომ ასეთი შეგნებისა და სულისკვეთების ფეხბურთელით, მით უფრო, კაპიტნით, ქართული ფეხბურთი წინ ვერ წაიწევს მეთქი, ეს ასეც მოხდა. ქართული ფეხბურთის პარტახს, ისევე, როგორც ქვეყნის სხვა სასიცოცხლო დარგებისას, ეროვნულ-სახალხო გულისყურისა და გამარჯვებათა მიზანმიმართული გამოჭედვის მსოფლმხედველობა დღემდე არ გააჩნია და მოთხოვნილებაც არ უჩანს საამისოდ.

ბუნებრივია, ამგვარი თვითშეგნებით ყოფილი ფეხბურთელი, როდესაც ქალაქისთავობას „მოიჩალიჩებს“, მას ამ დროსაც არ ჰყოფნის გულისყური გარეთ მძვინვარე საყოველთაო სახალხო გმინვის მოსათვალსაწიერებლად და სისასტიკით იხშობს ყურთასმენას. მიმდინარე (2020) წლის 15 დეკემბერს ბატონი კახის ბრძანებით სამგორის რ-ნის ე. წ. „აფრიკის“ დასახლებაში 12 უთავშესაფრო კომლს, რომელთაც, მიუხედავად სიდუხჭირისა, ვერ გამოუყო საცხოვრებელი და მათ თავიანთი ჯახირით, მართალია, კანონთან წინააღმდეგობით, მაგრამ უკიდურესად გამოუვალი მდგომარეობის (ღია ცის ქვეშ ცოლშვილით ყოფნის) გამო თავად თავბედისწყევლით როგორღაც მოიხერხეს ჭერი, სპეცრაზმით გამაგრებულმა და მძიმე ტეკნიკით შეიარაღებულმა პოლიციამ ეს სიმწრის ნაჯაფი მიწასთან გაუსწორა ენით უთქმელი დაუნდობლობით, გაშმაგებით, სიძულვილით...

წინასაახლაწლოდ, წინასაშობაოდ, წმინდა ბარბარესა და წმინდა ნიკოლოზის წინა დღეებში ხელისუფლებამ ეს ღატაკი, დაუცველი და მშიერი ადამიანები თავიანთი წვრილშვილებით ქუჩაში გამორეკა...

იმავე დღეს ქალაქის მერმა კახი კალაძემ უსაშველო და ზღვარსგამცდარი ცინიზმით ამ საცოდავებს თაღლითები უწოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გამძვინვარებულმა პოლიციამ ეს ხალხი, მათ შორის ქალები და ბავშვები სცემა, ხოლო ერთი ორსული ქალბატონი შეხლა-შემოხლისას წუმპეში აღმოჩნდა...

აქ შემზარავი ისაა, რომ წინა საარჩევნო პერიოდში, როდესაც ეს „უკანონო“ მშენებლობა სათანადო სამსახურებს არათუ არ აღუკვეთავთ, უფრო მეტიც, დეპუტატობის კანდიდატი სოზარ სუბარი შეპირდა, რომ ყველა ღონეს იხმარდა, დახმარებოდა მათ საკარმიდამოს გაფორმებაში.

სამწუხაროდ, 15 დეკემბერს, საღამოს ბატონმა სოზარმა საჯაროდ და სამარცხვინოდ აღაღადებული ორპირობით უარყო თავისი დაპირება და მხარი დაუჭირა „კანონის დაცვას“, ანუ უმწეო მოსახლეობის უბოდიშოდ გამეტებას უსახლკარობისთვის.

* * *

27: 23. 12. 2020წ. **<u>ისევ და ისევ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, აჩუქე კიდევ ერთი დაბადების დღე ნანას:</u>** გაიხსენეთ **ანტონ ჩეხოვის** გენიალური ნოველა **„ნაღველი“:** მეეტლემ წინადღეს შვილი დამარხა. უნდა ეს მაფორიაქებელი, ვერდამალული ტანჯვა ვინმეს გაუზიაროს. სამწუხაროდ, შემხვედრთაგან ყველას თავისი საფიქრალ-საზრუნავი აქვს, ამიტომ, არავინ ეგულისყურება მის გადმოკოკისპირებულ უჩინარ ცრემლებსა და ვითომ ჩვეულებრივ თხრობას მიკემსებულ უხმო ქვითინსა თუ ადამიანურ გმინვას. არადა, უნდა ახნძრებული გულიდან ამოიქშინოს, ადამიანებთან გასაუბრებას ამაოდ ცდილობს, ამ გულქვა ყოველდღიურობის პირისპირ ეს არავის მიაქვს სულთან, ბეზრდებათ, უხეშად

აწვეტინებენ... მხოლოდ ერთადერთმა სულიერმა, - საკუთარმა ცხენმა უთანაუგრძნო და გულდასმით მოუსმინა!..

გეთანხმებით, ამ ოცდაათი წლის მანძილზე ათასობით დაუმარხავი ცხედრის მომსწრე საქართველოში ჩემს სადღისმზისო აცრემლებას არავინ აიგულისძგერებს, მით უფრო, წინამდებარე უსუსური რაგადობებით, უნიჭო მოთქმითა და უბედურების უუნარო გასახეზოგადებით (ნანა, როგორც შინაარსი, იმსახურებს დიდოსტატთა ფუნჯსა და კალამს), მაგრამ ფეხთამტვერი მისი ტანჯვის, მე ვწერ იმ ერთადერთი სულიერისთვის, **„ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს“** ან **„მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის ჩაფიქრდება“** (ტერენტი გრანელი), ან კიდევ **„ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება და ეს მეყოფა გამოსარჩლებად“** (ტიციან ტაბიძე), ანუ ნებისმიერი ღვთივქმნილისთვის, რომელიც გულთან გულწრფელად მიიტანს ჩემს „ახავაის“ და თუნდაც ზრდილობის გულისთვის, მოსასმენად შეუჩერდება ხანძარმოდებულ რაგადს.

მე კი არა, ნანა იმსახურებს ამას, რადგან საუკუნის გულქვაობათა მორევში ის დაუცველი აღმოჩნდა არა იმიტომ, რომ ციცქნა, ადვილად გადასალახი იყო, პირიქით, თავისი უზარმაზარი ზეპურობის (ინტელიგენტურობის) გამო მოხდა ეს!.. **მაღალი ზნეობა ხომ დასჯადი თვისებაა!..**

... და მაინც, ამის მიუხედავად, ის გახლდათ მგრგვინავი სისწორე, ზნეობის უმცდარი ათვლა... ბუნებრივია, ხანდაზმულობისკენ ლამაზად, ნარნარით განაბიჯება, უნატიფესი ხელოვნებაა და ის დახვეწილ გემოვნებას მოითხოვს. მან ეს თემშარა, ამ ვერაგი ავადმყოფობის შემოთარეშებამდე თავსაფრიანი დედაკაცის (ნიკო ლორთქიფანიძე) ზნეობით გაიარა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამ უმწეობაშიც (საპირფარეშომდე ორ კაცს მიჰყავს), როცა ცნობიერება ხელყოფილი აქვს, ღირსებაში დარჩა, თუმცა, დიდი ხანია, მტანჯველ მდგომარეობას გაშმაგებით ებრძვის.

მას, ხმაგანძარცულს, სიცოცხლის ბოლო ამოქშინვამდე არ ეთმობა მასზე უფრო ნაგვემი სამშობლოს ჭრილობებზე თუნდაც წამიერად თვალშევლების საშუალება, რადგანაც ცხადია, **„მდუმარესაც უსმენს ღმერთი“** (მეოთხე მაკაბალთა - 10,18). სიცხადე სასტიკია, ვერაფერს შეცვლი, მითხრა მისმა ექიმმა. ის იყო უსაშველოდ კეთილი და... ჰოი, უმადურობავ! - ამ სიკეთისგან უბედური.

მისი სულის თვალშევლებაც კი ინტელექტუალური მოვლენა გახლდათ. მამულზე მოპიროვნებული ფეხსაბიჯით მას შეეძლო, სამშობლოთი აღფრთოვანებულიყო. მე ამ წკონდა გრძნობებისა და ურთიერთობათა წიაღში ვცხოვრობდი.

მასში წმინდა მკერდისმიერებიდან გულსმომწყდარი ტანჯვის შეკაშხალებით გამოუთქმელობა მთელი ძალით აწვებოდა გაქვავებულ ხორხს და მაინც ძვრაუქნელი განაჩენის აღსრულებად იდგა წყეული დამბლა.

ამნაირ დროს, თუ შენ უფლის წინაშე გულწრფელი ხარ, არ შეიძლება, ასეთ მიწისძვრულ სიცხადეს ზურგშექცევით ედგე.

... და მე მთის გადამწევი ძალით ვევედრები ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს (დიდება მის სახელს), აჩუქე მეთქი, კიდევ ერთი დაბადების დღე ნანას!

შემაძლებინე მის სულში მოქარიშხლე ქარბორიის მომშობლიურება!.. ამ უღმერთობის, გამძაფრებული ჩასაფრებისა და აულაგმავი ავყიობის დროს შემიწყალე, უფალო ჩემო!..

* * *

28: 31. 12. 2020 წ. <u>**როცა თავზარი ჩემი წილია!..**</u> მიიწურა ეს უხანო 2020 წელი. ჩემდაუნებურად ვაშინაარსებ იმ წამწუთებს, როდესაც მე, ჩემს თაობასთან ერთად, მოვკვდები ისტორიისთვის. ამასთან ერთად და ერთსხეულად უნდა გასიგრძეგანდეს ის დროც, როცა მიწიერ მოცემულობას გარდავეცვლებით საპირადო თვალსაწიერში.

ამგვარი ვითარება სწორედაც რომ შექსპირულ ამოგმინვას მოითხოვს: **„რად არ მეშლება ეს სხეული ესრეთ მყარი? რად არ გადნება და ცის ნამად რად არ იქცევა?!.“**

... ის ისევ უმწეოდ კი არა, ახლა უმწეოზე უარესად არის: **„მიჩვენე ხმის ხატი და მეც გიჩვენებ ტანჯვას, რომლის ხილვასაც ითხოვ“** (მესამე ეზრა - 5,37).

აი, ეს ხმის ხატი დაუდუმდა უნუგეშოდ, ამიტომ სიბრაზემ იგი ლოგინს მიაარტახა. ამის მიუხედავად, წამგაელვებულ მზერაში დედანი მსოფლმხედველობა ილანდებოდა. ეს იყო მზერა, რომელიც, მიუხედავად მდუმარებისა, სივრცეს ქართულ შინაარსში აგულისძგერებდა.

ვაი და ახავაი! კიდევ და კიდევ ახავაი მეთქი, ახლა რა საცოდავია ეს მიდამო, შენი ხმა რომ არ ესმის მას!.. მართლა ახავაი მე, რადგან შენს გულისხანძარს რაკრაკა ქართულით რომ ვერ მითხილისგულებ.

გუშინ მარიამმა ტელეფონით ჩემი ხმა გააგონა, ჯერ გასხივოსნებული მზერით გაიოცა, მერე კი ამოუგმინია. ნეტა, ამ ამოგმინვის ძეგლად გამაქვავა: **„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“...** (შოთა).

... ყოველთვის, როცა ამ სოფელში ამოვდიოდი (და ამოვდიოდი ხშირად), ზამთარში თუ ზაფხულში, მისი ბავშვობის ნაფეხურებზე ამოსულ ყოჩივარდებს ჯიუტად დავეძებდი. ამავე დროს, იმ მაჯისცემას მინდა მივაყურადო, დიახ, იმ პირველ სექტემბერს მსურს მკერდში ჩაკვრით მოვეფერო, თანაგრძნობით შევბღავლო, როდესაც პირველ კლასში გააცილეს პატარა, კუდრაჭა, ჩითისკაბიანი, ნაწნავებზე შინგამოჭრილი ბაფთა მილამაზებული ნანა: - როგორც უკვე გითხარით, მისი ძუძუწმინდა დედიკოს მიერ მთებში წვალებით ნაკრეფი და სახელმწიფო დამზადებისთვის ჩაბარებული მოცვი დროზე ვერ აუნაზღაურეს, ამიტომ ჩანთა ვერ უყიდეს და ტილოს ნაჭრისგან დედამ შეუკერა იგი. ამ ჩანთით და დედის ნაღვლიანი მზერის დამგზავრებით თავმომწონედ შეაღო პირველი კლასის კარები (სხვებს ისიც არ ჰქონდათ). ვიცი, მინახავს, დედამისის ის სასექტემბრო გაწ-

ბილება და გულისაჩუყება თუ როგორ გაშმაგებით უსერავდა გულს ბოლო დრომდე...

... მან სილაღედ გაჰფინა ჩემი მგმინავი სული. იმხანად ავიკვიატე და ხშირად ვიმეორებდი, მას კი მოსწონდა: ***კარგად დაფიქრდი, სანამ შემხვედრს ხელს ჩამოართმევ, ხოლო მაშინ, როცა ზურგით მობრუნდები და გზას განაგრძობ, იარაღი უცებ არ დაუშვა.***

ის იყო დედაკაცი, ოთარაანთ ქვრივისა და თავსაფრიანი დედაკაცის ამოგმინვითა და უხმო ქვითინით, თითქოს მის დასახასიათებლად გადმოაქართულა უფალსწვდომილმა ვანო მაჩაბელმა დიადი შექსპირის მიწიერი ცისფარდობა: **„მარტო მთვარეს რომ გადუშალოს ქალმა გულმკერდი, უბიწოებას თვისას იგი მითაც შებღალავს“...**

რა ვქნა, მარტის თოვლივით დნება და ვერ ვშველი!

ის ხშირად იყო ცხოვრებაში გარიყული, გულნატკენი, გაუგებრობისგან სულში სილამიწნული. გმინვის საწყაო მხოლოდ გულისძგერაა. მინდა მისი გმინვის მარტო კი არა, თვით ამ გულისძგერის საწყაო ვიყო. მისი უთქმელად აგრგვინვებული საუბარი ამ ყოფნა-არყოფნაში გზამკვლევია ჩემი.

წყნარად ბიჭო, ნუ მიფრთხობ ფიქრთა წამგარინდებას, ამ ოთხკედელში დიდი ადამიანი ეკლანჭება სიცოცხლეს!..

* * *

29: 15. 01. 2021 წ. <u>ოჰ, სარეცელო, შენ ჯაჭვით ბმავ ძალისხმევათა!..</u> ლოგინს საბოლოოდ ჩაექვეშაგა. ნელა და უნუგეშოდ, თვალსა და ხელს შუა დნება. რა ვქნა, რა ქვას ვახალო თავი?!.

ყოველდღიურობა დაუნდობლად მირტყამს, თითქოსდა ამოწმებს, რომელი ნაკვთის გვემისას ვავლენ უფრო მეტ ტკივილს, სისუსტეს და ტანჯვას.

იმ წუთებში, როცა აზრზე მოდის და იცხადებს თავის მდგომარეობას, როდესაც მოიერიშებული შიშისგან სისხლი ეყინება, როგორ მინდა გვერდში ვედგე და მივუალერსო...

თითქოს უსაქციელობისთვის დამსაჯეს და წამერთვა საშუალება მის უმწეობათა მედღეურობისა და ღამისტეხვის...

* * *

30: 17. 01. 2021 წ. **<u>ჩუმად, ბრბოდქცეულნო, ცადწვდომილებას ნუ ქუსლავთ აქ თქვენ!..</u>** როდესაც დროის დამჩექმებლობა სასტიკად გირტყამს, უნდა მოახერხო და მიხვდე თუ სად გეტკინა ყველაზე უფრო.

ნანა ჩემი ვინაობის, ზნეობრივი ლასკარის, რჯულიერი ჭერქვეშეთის ყველაზე ხმლითნაკუწი ნაწილია. უნდა ვუსაყვედურო: **რად მოგრიგალდი, ნანა, ამ ვერაგ წუთისოფელში ჩემთან და გული რატომ გამიადამიანურე?!.**

ერთადერთი, რაც ხელს მიშლის ახლა, ეს ავმოსურნე ჩასაფრებით შემოთავხედებული გარემოა. გარემო, რომელშიც ჩემი ნანა სარეცელს მიარტახებული მისდაუნებური უძლურებაა.

ამ ხმაბაძვაში მოდილაუთენიე, სამშობლოს დედან შინაარსთან სისხლამღრევი და სახალხო გმინვასთან ყურდახშობილი თაობა არაა იმის ღირსი, მათ თვალსასეიროდ გავფინო ბრძმედადქცეული გულიდან ამოხანძრებული ალი...

მათ ღვთისსათნოებას ეშმას ხელისბიჭობა არჩიეს. ასეთ დროს ჩემი ვარამის საწყაო თოლიგე ნანას გაქვავებული ხორხი და სიცოცხლეს ჩაკლანჭებული წამგაუცდენლობაა.

ყველა დიადი პიროვნება ისე მოულოდნელად მიბრძანდება, ეტყობა, ზემდგომი ხელშეწყობით თავს არიდებს რიგში დგომას.

... და მაინც, ის ჯერჯერობით მიწაზეა... ღმერთო, დიდხანს ამყოფე!..

* * *

31: 19. 01. 2021 წ. **<u>სიწყნარე მეთქი, გადით აბარწაზე, მარტოს მატირეთ ჩემი მილევადობა!..</u>** დიახ, დიახ, გაჩუმდი შვილო, აბარწაზე გაიყვანე ყველა, სინათლე გამორთე აქ. მარტოს მინდა უხმო კივილი. ჩვენებური, - აკაფური გმინვითა და ახ-

ავაით მივუღიღინებ ამ თვალუასაც: **„იშენი ვეპიქ გაჭირებუ-ლი, ნა�ა...“**

მაკეთილშობლად ცადატყორცნილი განცდები მიაქვს მას თან. ის არ იყო სახასიათო რიგითი. მოკლდეკარე პიროვნება გახლდათ.

ახლა კი ცხრასკნელად ქვესკნელდება: სთქვი, რა გაწუ-ხებს, რა ვერ მითხარი, რა ვერ მოასწარი, ნანა?!.

<u>წყნარად მეთქი, თქვენ გეუბნებით, მანდ, ნუ ეთავზარე-ბით ჩემს ფიქრებს!</u>

ცხადია, ყველანაირი სამიწიერო თვითდადგენა ხანმოკ-ლეა, ქრება, ნადგურდება, გარდა სიყვარულისა. ჩემს ფეხნა-ბიჯზე მეც ვცოდვილობდი რაღაცას. ნიჭიც მომემადლა, მაგ-რამ შრომაც მიყვარდა, ... და კიდევ, - პირუმტკიცე ცდუნებ-ებში არ გამომიჭირავს თავი. რაც მთავარია, ყოველთვის მახს-ოვდა, ხიბლში ჩავარდნა დიდი ცოდვაა, ღვთისუნებური საქმე...

- ჩანს, ბევრი გინახავს, თან ანაყუ რამ იცი, ბიჭო, ფრთხი-ლად, ასეთ დროს კლავენ, - გინდოდათ გეთქვათ.

მოცემულობა უღმერთობაში რომ არ ყოველდღიურო-ბდეს, მისმა ტანჯვამ, წესით, უნდა გააკეთილშობილოს გარ-შემო ყველა, რადგან ის, თავისი გულწრფელობით ხომ თქვენ გაკლდებათ?!

ამაოა მოლოდინი: ასე სასტიკად, შემპარავად, ნელ-ნელა გაილია ფიზიკურადაც და გონებრივადაც... ჩაყინული თვა-ლები ათასში ერთხელ თუ გაკვესავენ და აუჯანყდებიან უნდობარ სიცხადეს...

მახსოვს იმ მძიმე წლებში, ჩემი დევნაში ყოფნის დროს, მის ხელმოკლეობასთან და უქონლობასთან მოგასწვრივე სა-ჩემო ხელგაშლილობა, მისგან სიალალე, თანგადაყოლა. არა, ეს გულუბრყვილობა არ იყო, ადამიანთმოყვარეობა ერქვა ამას, რამაც ასე ერთბაშად გაიწყალუხვა მასში სოფოკლეს, ევ-რიპიდეს, შექსპირის, გრანელის ტრაგედიად: **„ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია...“** (ტერენტი).

როგორც წესი, ტრაგედია საზოგადოებას წკონდა ცრემლით უნდა განუბანდეს სულს. სამწუხაროდ, ასეთ საადამიანო ტკივილებს გულთან არ იერთსხეულებს თაობა, რომელიც ცხოვრობს ცოდვაში. არც ის ერი დაიბანს სულს ამ ცრემლებით, რომელმაც ბინადრობა ქუჩისფსკერულობაში მოიძია. ეს ბოროტებაა და იგი, ჩვენი ყოფიდან გამომდინარე, ხალხის სულიერ გამოცარიელებას მოჰყვა.

ამგვარმა გაშინაარსებამ მოუშხამა ცხოვრება. <u>შენს გულისტკივილს შემოვევლე, ნანა!</u>

არადა, თუ თანაგრძობის ნიჭი და მოთხოვნილება არ გამოაფხიზლებს, არ გააქუდზეკაცებს ქართველ ერს, ის გადაშენებისკენ გახრიგინდება: ნანა, შენმა (ან შენნაირთა) მდუმარე ტანჯვამ უნდა შესძრას... აახანძროს, გაალღოს ადამიანთა გულქვაობა, დაამუხრუჭოს თავაწყვეტა გადაშენებისაკენ.

მაგრამ თქვენ, არა სათნოებით მოაზროვნე ფეხაწყობას, ეს არ გსურთ და ვერც ახლა გამიგებთ მე, რადგან, თქვენგან განსხვავებით, ჩემი ქვეყნის დედან ვინაობაში, რწმენაში, სიყვარულში, გემოვნებაში, მსოფლმხედველობასა თუ თვალსაწიერში ვიცხოვრე.

რა თქმა უნდა, ის ღირებულება, რომელიც შენში ადიადე, თუ გარეთ არ გამოიტანე და არ გაუსაჯარისე ქვეყანას, ის მოკვდება. ამიტომ ამ ჯიშისმიერების გადასარჩენად მოგახლით: თქვენ ნანას ახანძრებულ სულს ვერ გაიმშობლიურებთ, არც გტკივათ იგი, რადგან ის ნაძირლობა ბრძანდებით, ადამიანის უფლებების ვითომ დაცვის ქვეშ რომ მოიძიეთ უკანასკნელი ჭერქვეშეთი იმ დროს, როცა უფლის წინააღმდეგ ამბოხს მიულიანდაგეთ თქვენი ცხოვრებისეული სვლაგეზი.

ამიტომ არ გვაქვს მოთხოვნილება, ქვეყანაში აღრიცხული გქონდეთ ღირებულება.

მე ეს სწორედ ახლა უნდა მეთქვა. ნუ ხართ გულარხეინად, - ჩემი სისუსტის ზეძლიერების გეშინოდეთ!..

* * *

32: 31. 01. 2021 წ. **<u>სთქვი, რა გაწუხებს, ნანა?!</u>** - ხიფათი უვერაგესი ილეთით მოგეპარა, არასწორად აღმოვჩნდით, არასწორ დროში. ჩვენს თვალწინ გამოიქარხნა უვინაოთა სიმრავლე, როგორც ერთსხეული ურჩხული, რომელსაც ყოველგვარი ზნეობრივი ყოფაქცევისგან და საზოგადოებრივი სუბორდინაციისგან დაცლილს, არ დარჩა ფეხსაბიჯი თუნდაც უბრალო, აკაბუცხა ზრდილობისათვის.

იმ ანდაზისა არ იყოს, **„ერთი გამოყრუებული დედაბერი სოფლის საწუხარმა გადაიყოლაო“,** გვაწუხებდა ის, რომ წინგაუხედავი ზეპურობა არარსებული მტრის წინააღმდეგ იმწყობრებოდა, - იგი ჩვენში ელანდებოდა, ამასობაში კი ნამდვილი მტერი ძმაკაცად შემოუნადიმდა უნუგეშოდ გამოთაყვანებულთა ბრბოდქცეულ ინახს.

ამ დარაზმულობას შეეძლო მოკეთისთვის ისე ჩაეცა სასიკვდილოდ მახვილი, არც შეემჩნია ეს და არც რაიმე დააკლდებოდა.

ამ აგვართაში (კლასტერიო, იტყვიან ახალქართველები) სიყვარული ვერ იქცა სულის მაკეთილშობილებელ თვისებად. იგი აქ მხოლოდ ხორცის ამძუვნებად შერჩათ, რამაც დაასაფუძვლა კიდეც საყოველთაო სიგიჟეში ცხოვრების მოთხოვნილება და ამის თავსმოხვევად ქვეყანაში საგანგაშოდ სახიფათო გარემოებას შემოუძღვნენ.

ზნეობის ასეთ უსიერშიც კი შენ ზუსტად ისეთი იყავი, იმ სიმღერაში რომაა, **„- დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“...**

რა ღრმაა დღეს ეს ნაბებუთარივით უღვთო გულდაწყვეტა: რა უღრანია შენს გარეშე ირგვლივ?!.

ესეც ბედისწერაა: ჩვენი გზები, როგორც შეგვეძლო, ისეთი ბრძოლით გადაიკვეთა, ხმალთაკვეთა ერთმანეთის თანამოსანგრეებად განვაგრძეთ, თუმცა, უთანასწორო მოიერიშება ჯერჯერობით აგვეჯებირა: გულგრილი ჯოგის უხვალდღეო სიმრავლემ ხიდი ჩაგვიტეხა.

... და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი ერთსხეულება იყო ლოცვა, იმ წყევლის წინააღმდეგ, ჩვენს სამშობლოს რომ მოათავზარა უმადურმა და რეგვენმა ხელგამოღებამ.

ყველაზე უფრო იმის მეშინია, შენ რომ არ იქნები. ცხოვრება იქ, სადაც შენ არ იყოველდღიურებ, ვერ წარმომიდგენია და არც მჭირდება.

არადა, ვიცოდი, შენთან ყოფნის ბედნიერება წელში გამწყვეტ გადასახადს მომთხოვდა.

... იმ დღეს, კიდევ უფრო ცუდად გამხდარს, ჩემი სახელი გიხსენეს. შენ მწარედ ამოიგმინე, წამოდგომა მოინდომე და მერამდენედ, კვლავ უმწეოდ დაეცი ბალიშზე. ალუბლისფერი თვალებიდან წკონდა ცრემლები გადმოგემძივა. შფოთავდი, იძაბებოდი, რაღაც სასტიკად გტანჯავდა, თურმე. იქნებ ამოკივლება გინდოდა, ნანა, მაგრამ არ შეგეძლო.

ახლა გულს ნუ მომიკლავ, საფლავზე უპასუხოდ ნუ გამილოდებ ამ კითხვას, გამაგებინე, მითხარი, მითხარი, ქუგგალე, რა გაწუხებს, ნანა, ჩემო თოლიგე და შურიგე?!.

გებრალებოდე...

ახლა იმ ამბავს მოგიყვები, შენ რომ გახარხარებდა...

არადა, მართლა დავიქანცე: *ისეთი დაღლილი ვარ, როგორც ის ახალნაქორწილევი მეგრელი გლეხი, შებინდებულზე სათოხრიდან რომ მოვიდა ცოცხალ-მკვდარი. თოხი ლასლასით მიაყუდა ფაცხას, ჯირკვზე ჩამოჯდა და ინატრა, - ნეტავ, ახლა ფეხის დაბანა მოსტუმრებული და საცოლო ბეგარა მოთავებული მქონდეს (მან ეს უფრო ზუსტი შესატყვისებით გაიფიქრა) და არ მინდა ვახშამი, დავიძინემდიო!*

* * *

33: 28. 02. 2021 წ. <u>**მშვიდად, რეგვენნო! ნუ ცდილობთ, გულდაწყვეტაში ჩამირწყიოთ...**</u> უფრო დიდი წყევლა, ჩამოეგლიჯო საყვარელ ადამიანს და მისგან შემოხლეჩილმა იმას, ვინც სიბნელე გაგინათა, თან ასე შორმანძილიდან უსურვო ჯანის სიმრთელე და სიხარული, არ არსებობს.

ცხადია, სადაც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა იყოს, მას ჩემი ლოცვა არ მოაკლდება.

<u>ვიხვეწებოდი:</u> ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, მიაგებე საკუთარი დაბადების თარიღს, მიეცი ამ დღეს საშუალება, კიდევ ერთხელ მოედღესასწაულოს მეთქი (ვითომ? – 29 თებერვლამდე ხომ ოთხი წელია კიდევ?!).

დროის ამ მდუმარე მონაკვეთში, სადაც თაობას ეროვნული მაჯისცემა არ ესინჯება, მისი ცრემლების სიწკონდე შემრჩა სიმდიდრედ. დიახ, ესაა სიჩუმე, რომელიც ხმაურზე მეტყველია.

... როდესაც მას მიუტანეს ჩემი ბოლო წიგნი, მან დიდხანს უყურა გარეკანზე მისურათებულ ძაღლს, ამოიოხრა, შემდეგ გულზე დაიბრძანა, მილეული, მაგრამ ლამაზი ხელები მზრუნველად გადაუსვა, გმინვით „ვაი დედას“ მიამსგავსა ნატანჯ ბგერათა ამოხველება, უმწეობისგან ცრემლები ამოუმიმდა, თუმცა, იმწამსვე, თითქოს მაბედნიერებელი გაახსენდაო, ნებიერ სიკეკლუცეში გაიტრუნა.

<u>ნანა წუთისოფლის პასუხია ჩემი ცხოვრების რაობაზე. იგი ღვთივნებადართული დებულების გასაგნება გახლავთ ღირსებაში ცხოვრების წესზე. მინდა იცოდეთ, ასეთად დავიმახსოვრე.</u>

...თქვენ გეუბნებით, არასოდეს გიცხოვრიათ ასეთი ყოფაქცევით, ანუ არ განგიცდიათ ღვთისმშობლისწილხვედრილობა. თქვენი საძეგლო კვარცხლბეკი ის ძვირადღირებული უნიტაზია, რომელზე ქშენითაც ნებიერად ითვალსაწიერებთ ყოველდღიურობას. ესა ხართ სულ მთელს ამ კიდეგანში!..

კიდევ და კიდევ წყნარად მეთქი, რეგვენნო! ნუ ცდილობთ, გულდაწყვეტაში ჩამირწყიოთ!..

* * *

34: 10. 03. 2021 წ. **<u>რა გტკივა, ამ წუთში, ნანა?!. მინდა, იცოდე, ასეთი დაგიმახსოვრე:</u>** გასული (2020) წლის 21 სექტემბრის შემდეგ არ მინახავს, - ხან გზები იყო ჩაკეტილი, ხანაც ფეხზე ვერ ვდგებოდი, ავადმყოფობამ მეც ლოგინს მიმათოკა.

გეთანხმებით, ის - იქ, მე - აქ, დამატებითი სასჯელია ესეც.

ვიცოდი, - უკვე მეოთხე თვეა, რაც ვერ დგება საერთოდ, ნაწოლი დაუჩირქდა, იტანჯება, ქირურგი ჩაერია...

ამ დღეებში უფლის ხელი შემეშველა, - მანქანით წამიყვანეს.

სანამ შარაფართოს დავადგებოდი, ქუჩის ყურფირნიშიანი ძაღლი სადარბაზოსთან მომეგულითადა, მეფერა, რაღაცაზე სხაპასხუპით მეწკმუტუნა, მოკლედ, მიფეხმადლა. იგი საოცრად ჰგავდა ჩემს სოხუმურ ლასკარში ბინადარ მურგვას!..

... ნანასთან სახლში რომ შევედი, ღრმად ეძინა.

ცოტახანში, განგებ, ხმამაღლა დავიწყე ლაპარაკი, რათა გაღვიძებოდა. ძილბურანიდან უჭირდა გამოსვლა, სასთუმალთან მივუჯექი და მას რომ უყვარდა ის ჰანგი წავუღიღინე. ძვლად და ტყავად დარჩენილი მისი ხელის მტევანი ჩავიკარი, მკერდი დადნობოდა, სადღა იყო მისი თავმოსაწონი ძუძუკები.

მეტწილად თვალებს არ ახელდა, თუმცა მგრძნობდა და აშკარად სიამოვნებდა ჩემთან სიახლოვე. ამ წიგნის ხელნაწერები დავუდე მკერდზე და ვუთხარი, შენზეა მეთქი.

მილეული ხელი მოჰკიდა, დიდხანს ეჭირა მაგრად.

ღიღინი განვაგრძე: **„იშენი ვეპიქ გაჭირებული...“**

მკერდზე გაშლილად დავადე ხელის მტევანი. მახსოვს, ამ ერთი წლის წინ, ამაზე, გოგუნასავით დაიმორცხვა, გაუჭირდა, მაგრამ ამოიხავლასავით, მიმახვედრა: **„სირცხვილია, დაგვინახავენო!..“**

ამჯერად ამის თავი არ ჰქონდა, ისე უმწეოდ იყო.

შიგადაშიგ, თავის მხრივაც ცდილობდა, როგორმე გაეხილა თვალი, შემოეხედა, ძალა არ ეყო საამისოდ.

ღიღინი სიმწრით განვაგრძე, მაგრამ ცრემლები მაღრჩობდა, მაინც არ შევწყვიტე: **„იშენი ვეპიქ გაჭირებული...“** უცებ სასოწარკვეთილი კვნესა უკანასკნელ ძალამოკრებასავით ამაყოლა. ხელები მომხვია... უკვე ვღრიალებდი, ცრემლებს ვეღარ ვეკაშხალებოდი. მასაც კოკისპირულივით ჩამოსდიოდა დახუჭული თვალებიდან **„კაცისა და პირუტყვის გასარჩევი!“** (ილია) სიწკონდე.

ხელებს თავზე მისვამდა, მეფერებოდა, ასე უმწეო ზოგ-ჯერ ამოიგმინავდა. რაღაცნაირად მომეჩვენა კი არა, ნამდვი-ლად დავინახე, დიახ, ის სულისშემძვრელი სტრიქონები გამიწიერდნენ: **„კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთის-მშობელი [ჩვენზე] ტიროდა“**... (ტერენტი). გამწარებულმა ყურებში ჩავუღრიალე: **„მითხარი, სად გტკივა, ნანა, რომ აგკბიჩო ის ტკივილი და ამოგწოვო შხამი“...**

ამოიკივლა, შუბლი გაუოფლიანდა. ხელზე ხელი მო-მხვია, მომიჭირა და რაღაც ჰანგისმაგვარად წაიკნესასავით. თავი მივუსხეულე და ღიღინი განვაგრძე. რაღაც დროს ჩაეძინა.

წასვლის დროა, გადასხმა გიგვიანდებაო, შემახსენეს.

კი არ წამოვედი, ზუსტად ისე მოხდა, როგორც გრანელმა წარმოისახა: **„მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღოდა“...**

* * *

35: 17. 03. 2021 წ. <u>**არა, ნანა, როგორ იფიქრე ეს, არავისგან წყენას არ ჩავიხვევ გულში, ღმერთმა დაგილოცოს ყველა!..**</u> მკითხველის ფხიზელი მზერა უკვე შეატყობდა, რომ წინა-მდებარე დღიური არ გახლავთ თანმიმდევრული თხრობა „ა“-დან „ჰ“-ემდე, ის ჩემი მოთქმისა და თვითდატირების ჩან-აწერებია, დიახ, იგი გახლავთ ზოგ შემთხვევაში გმინვა, ხან მდუმარე შეოწამაფაა, ხანაც ტირილი დროიდან დრომდე. ახავაი და თავშიცემა, უმეტესად კი უხმო კივილი და სასო-წარკვეთისას ცისჩამოქცევამდე მიბღავლება სასტიკ სინამდ-ვილეზე. მინონგარაფა ჰქვია ამას აფხაზეთ-სამეგრელოში...

აქ ქართული ასობგერები თავად ირაზმებიან წყობილსი-ტყვურ სიმწყობრედ, იმის მიხედვით, თუ რა სიდუხჭირით ახერხებს ჩემი მოზარე გულისძგერა ვერაგულ ყურ-დახშობათა განგრევას...

ეს ყველაფერი ისე, დათქმისთვის. თავსათქმელი კი ესაა: უფალმა ნებისმიერს შეუნდოს და შეარგოს, ვისთვისაც მან (ჩემმა თოლიგე ნანამ) შეუძლებელი შესძლო, თავად მოი-კლო, არ დაიშურა, გაიღო და საპასუხოდ, ძალიან რბილად

რომ ვთქვა, წესით მოყვასმა მზერა გაიბურუსა, დასანახი არ დაინახა და ხელი შუბლის ძარღვგაუწყვეტლად მოითბო მისი უანგარობისგან. მე ვიტყოდი, წინგაუხედავი ხელგაშლილობითაც კი, ხშირ შემთხვევაში არიგებდა თავის სულსაც და ნაჭირნახულევსაც!..

ამ მხრივ რამდენიც გინდა, იმდენი მისთვის სწორედ თავანკარა სულში ჩაფურთხების მომსწრე ვარ დიახაც რომ იმათგან, ვისი მიზნობრივი ბრუციანობა მის მიმართ ჩემს გულწრფელობას „არ გჭირდებას“ წესით ვერ ხედავდა და თავისი უტიფრობით, უჭკუობით, უზრდელობით, წინგაუხედაობითა და შიზოიდური ეგოიზმით სულს მიწამლავდა. ამის გამო, საბედნიერო სივრცეში წიხლუკრავი არც ერთი დღე არ მქონია.

ილორის წმინდა გიორგიმ (დიდება მის სახელს), ნებისმიერ მათგანს მიწიერი სიხარული და ზეცაში ცხონება მისცეს. <u>ჩემს ანაყუ წყლულს, მათგან მონაჯახებულს, თავად მივხედავ.</u>

რაც მთავარია, ღმერთმა დალოცოს ეს ჭერი, რომლის ქვეშაც მან სიცოცხლის ბოლო, ტანჯული წლები გაატარა. აქ მას მოუარეს, უფალმა ყველას შეუწიროს შრომა და ღვაწლი, მათ შთამომავლობას სიკეთედ მიაგებოს ეს ყველაფერი, ეგაა ოღონდ, სანამ მძიმედ დაავადდებოდა, ნეტავ, გაცოდინათ თუ რა დამრთგუნავად აკლდა გულისხმიერება იმათგან, ვისთვისაც ასე უშურველად შემოიფლანგა ყველაფერი (თვითონ იტყოდა ხოლმე ერთ ანდაზას მწარე ღიმილით: **„მოზვერს თავი წააგდებინეს და თივა მერე დაუყარესო!..“**). ცხადია, უმადურობა წამგაუცდენლად აეთანამგზავრა და ჩასაფრებულივით გაესასტიკა იმხანად მის ცისმარეებს... როგორი ვირეშმაკობები უხაფანგდებოდა, რა გულქვაობა და ქვეშქვეშობა სტკენდა გულს... არც ერთი არ გამოპარვია, მეც, სხვათაშორის, თუმცა, სიკეთედ მოუბრუნდეს მეთქი მაინც სუყველას... სხვა საქმეა, რა შევიმჩნიე და რა არა ან როგორ მეჭირა თავი, მაგრამ გულისტკივილს ხომ უნდოდა ატანა და გაძლება.

... არაფერი ახსოვდა ბოლოს. ერთი კვირა კაცს თუ ვერ ნახავდა, უჭირდა ცნობა, მე ტელეფონზეც მცნობდა და წამებასთან შერკინებით ცდილობდა, როგორმე „ჩემოო...“ ამოეგმინა. ეეე, ნანა, შენი კი ვარ, რაში გჭირდები, თორემ... მან ამ სიყვარულისთვის იქაც, სადაც ახლა ასე უმწეოდ წევს, მთლად ვარდფენილი როდი გამოიარა.

ასეთი იყო მისი მიწიერ ყოველდღიურობათა განაწესი და კანონზომიერება. მას შვილი არ რჩება, ხოლო ამ თაობიდან მისგან ხელშე-ვლებულთაგან ცოტა ვინმე თუ გაიხსენებს ან შეავედრებს უფალს მის მიწიერ ტანჯვას... მარიამი? ის სხვა დონეა, ღვთივსათნო.

მეც ვიტვირთე მისი წკონდა ვინაობის შემოსხეულება ჩემი მოთქმების გასტრიქონება-გამხედრულებით. ამავე დროს, ნურავინ მომთხოვს ამ ნაწერებში საცნობისმოყვარეო მოთხრობებს, მე ამ ხნის მანძილზე ვწერე ის, რაც სულს მიხანძრავდა, მაფორიაქებდა, მტკიოდა, მაწუხებდა...

... და თუ ვინმე ამ ასობგერათა დარაზმულობაში ორიოდე გულწრფელ ამოცრემლებას დალანდავს, მიაგნებს სათანაგრძნობოს, მისამგზავრებელს, მაშინ მშვიდად ამოვისუნთქავ, რადგან მიმესვლება იმ საკურთხეველთან, სადაც მადლს მივაგებ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და ყველას შევავედრებ მის უმწეობას, რომელთანაც მისხეულებითა და მიცნობიერებით უნდა გავიშარაგზო ზეციური საქართველოსკენ.

ახლა, ამ წამს, გაცოდინათ, როგორ მინდა, სამარეში ვიწვე და ეს საქმე მოსტუმრებული მქონდეს!..

* * *

36: 18. 03. 2021 წ. <u>**კმარა, მატირეთ ჩემი უძლურება, მის სასთუმალთან!..**</u> ის იმ დროს მედგა გვერდით, როცა ჩემს მარტოობას მომიზნებულ ავმოსურნეობასთან სწორედ პირისპირ მისი თანამოსანგრეობა მჭირდებოდა.

ეს გახლდათ დრობორჯი როდესაც ადამიანი, რომელსაც შეეძლო, უტიფრად და სახალხოდ მოესაქმა სრულიად საქარ-

თველოს ნატანჯი დევნილი მოსახლეობის ჯვარცმულობაზე, გარემოება გმირად აცხადებდა და სამთავრობო ორდენებით აჯილდოებდა.

<u>მეტიც, ნებისმიერ ხელნაცდურს, თუ კი ის სახალხო ქუდ-ზეკაცობის თვალწინ ერის შეუგინებლობას მიუმასტურ-ებდა, მას პოლიტიკოსად, უფლებადამცველად, არასამთა-ვრობოდ, დემოკრატად, ჟურნალისტად ან კიდევ „პროდ-ვინუტ ტიპად“ ააკვარცხლბეკებდნენ, დროის მოცემულობა იყო ეს.</u>

დიახაც ამგვარ ვითარებაში თითქოს იმ ბავშვს ჩამჭიდა ხელი, რომელიც ხუთი წლისა, 37 წლის ასაკში გარდაცვლი-ლი მამის ხვალეს გაუაზრებლად ეთხოვებოდა და უხაროდა, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად რომ მოდიოდა, ხოლო მათგან უმეტე-სობა თავზე ხელს თუ გადაუსვამდა...

არც ახლა მინდა, მარტო დამტოვოს, თან წამიყვანე თქვა, ვიხვეწები, ბავშვივით მკერდში ჩაკრული, ჩემი გულამო-სკვნის მეურვეს ვეძებ ამ უსულგულობის უღრანში.

ჟამთან შერკინებისას, მას არ მივუტოვებივარ, ჩემი წამე-ბის გზას დაელიანდაგა მოხალისედ, უყოყმანოდ, გაცნობიე-რებულად.

... ახლა კი, შენს ნაქარბორბალარ, მაგრამ ლამაზ სახეზე შენდაუკითხავად შემოთავხედებულ კრთომას, შიშს და თავ-ზარს ვკითხულობ, ნანა... ყოვლადწმინდა ღვთისმშობელო, მიმაქვეშაგებინე სითბო მისი ჩაყინული მეხსიერებისათვის. ღმერთო, მიმაკოცონებინე ჩემი გული მის თავს დამტყდარ ასე ნაადრევი შემოსუსხებისთვის!..

* * *

37: 20. 03. 2021 წ. **<u>„ჩვენ“:</u>** არის ჭერი, რომლის ქვეშაც „შენ“ და „მე“-ს შორის შინაარსი „ჩვენ“ თითქოს არ არსებობს.

ამჯერად მე აქედან ვითვალსაწიერებ საზეციურო ვიწ-როებს, შენ კი იქ ეკლანჭები სასიცოცხლო ხავსს, ცალ-ცალკე ვიმყოფებით და მაინც „ჩვენ“ ვართ.

... შემდეგ ერთი წამგაევლება, ცისჩამოქცევა და ეს „ჩვენ“ აღარ იქნება!..

სიცხადე იმ სახით გაყოველდღიურდება, როგორც ჩვენი ძვირფასი ტერენტი ასურათხატებს: **„შენ ვერ მიხილავ და ნურც დამეძებ, სადღაც წამიღეს ბნელი მკლავებით, მე წუხელ მოვკვდი შუაღამეზე, როდსაც კრთოდნენ ცის ვარსკვლავები“...**

* * *

38: 25. 03. 2021 წ. **ვავა, ჩქიმშენი!..** მიზანდასახული გახლდათ, მაგრამ ზედმეტს არ ლაპარაკობდა: ქვეყანას ლენინური ათაშანგი მართავდა.

გზა, რომელზეც ამემგზავრა, სატანჯი იყო, ტრაგიკულიც კი. ამის მიუხედავად, ყველაფერს მოულოდნელად და სწრაფად ადღესასწაულებდა, აი, ისე უცებ და სულმოუთქმელად, როგორც წავიდა, დამტოვა, გაუჩინარდა.

იცოდა, მანამდე დამთრგუნველ სიმარტოვეში კენტმა გავიწალდე გზა. მხოლოდყოფნა მთელი თავისი კიდეგანით შემომეხავსა, სულში სისხლიანი ცრემლის ღვარი ჩამინაკადულდა, მხოლოდ იმედი შემრჩა მაშინ, სხვა არაფერი და თუ მას დავკარგავდი, გავნადგურდებოდი. იმხანად მისი მოფერება და თანადგომა, უკანდაუხევლობისკენ მოწოდება იყო ჩემთვის.

... ახლა კი, რადგან თვალები ვერ უდღესასწაულდებოდა, მისი გადარჩენა შეუძლებელი გახდა: სიცოცხლის ბოლოს ანაყუ ხალხში მარტოსულობა შემომიყებურდა.

ჩემი იმდღევანდელი გულაჩუყების შემოხანძრება, ცრემლთა სურნელი და ამონახველი სისხლის ოხშივარი მეთავზარება ახლაც, - **კი არ ტიროდი, ბღაოდიო, მითხრა, როცა მოსაკითხად შემომეხმიანა, მისმა დამ.**

„- იშენი ვეპიქ გაჭირებული“, - შენ გიღიღინებ, - როგორ გამშვიდებდა ეს შესიმღერებასავით, ნანა!..

* * *

39: 09. 04. 2021 წ. **მიყვარს ეს ადგილი, რადგან აქ აიდგი ფეხი:** ეს ერთბაშად არ დაწყებულა, ნელ-ნელა მეცლებოდა ხელიდან.

ბუნებრივია, ძალიან ბევრი რამ დამავიწყდა, მაგრამ კაცურ ძალისხმევათა ნიშანსვეტად გამახსენდება ამ აღმართის ზებაქანი, - შენი ცნობიერი ფეხადგმის სათავე, სადაც ძუძუწმინდა დედამ, იქვე, დაბლა მოქვითკირე სკოლის პირველ კლასში შენაბიჯებისას რომ დაგასაგზალა: არასოდეს არავინ დააბეზღოო!..

ეს გახლდათ გზის ათვლა დიდი საქართველოსკენ გასალიანდაგებლად.

ამ წუთში, შეუძლებელია, შენი გული არ გრძნობდეს ამ ფიქრებს. არ მჯერა, რომ არ ეფესვებოდე ამ განცდას!..

მერამდენედ ვთქვა: წამგაუცდენლად, კიდევ და კიდევ მახსენდება და მტკივა, სათანაგრძობო ამოხანძრება და გულდაწყვეტაა ის წუთებიც, როდესაც წარმოვიდგენ ნაჯაფ დედამისს, - გაღმა, ოძისის მთის ტყეებში თუ რა წვალებით კრეფდა მოცვს, როგორი იმედით აბარებდა სახელმწიფო დამზადებას ორიოდე გროშად, რა იმედით ელოდა ამ თანხას შვილებთან ერთად, ასე სანატრელს, საიმედოს, მწირს, მაგრამ სულისმომთქმელს!..

ნეტავ, გცოდნოდა, რომ მშობლიურია ბავშვობის ასე ცრემლნარევი განცდა ჩემთვისაც, იმ განსხვავებით, ჩემი დედაც აკაფის ტყეებში მოკრეფილი ეკალას გაყიდვით ეზურგისქარებოდა ჩემს ააღმართებას.

ამგვარი წუთშეხსენების დროს ღმერთს ვეხვეწები: ღმერთო, მისი უმწეობის წინაშე ერთ გულამოსკვნად ან ამოკივლებად გამასაგნე, რათა ჩვენი სულიერი თუ მსოფლმხედველობრივი ხელკავის მარადისობად გავქვავდე!

ჩემი მარტოობის სანთიობოში საქართველოს გმინვას ნუ შემომითავზარებ:**„კაცს და პირუტყვის გასარჩევად ღმერთმა შექმნა მხოლოდ ცრემლიო“**-ო, განმარტა-მეთქი წმინდა ილია მართალმა.

„მწყურის“, აღმოხდა ჯვარცმაზე მილურსმნულ იესოს, ხოლო მიწიერთა ყურდახშობამ უმალ, დაუგვიანებლად, უყოყმანოდ ძმარი მიაწოდა.

ეს ყველაფერი სასტიკი სინამდვილეა. ვიცი, როგორ არ ვიცი ამ უალო ხანძრის გულჩამწველობა, - ეგაა ოღონდ, ღვთისმშობელო, შენ მოედედაშვილე უმწეო და სნეული ნანას სიმუნჯედ გაფესვებულ ტკივილებს და მიეც ძალა, აღმოთქვას საწუხარი მისი!..

* * *

40: 12. 04. 2021 წ. **<u>ჩემი ბავშვობის შროშანი!..</u>** იგი ჩემში ეძებდა და იჭერქვეშებდა იმ ტილოსშარვლიან ბიჭუნას, რომელმაც 1961 წლის ივლისში, - რა დროს შარვალ-კოსტუმის ყიდვაა, ქართი არ მაქვს ნანახიო და თბილისს ეახლა. დედა არ გაწყრომია, სასჯელი ის იყო, რომ კინაღამ მეორე წლამდე წინა წელს ნაყიდი შარვალი მეცვა, სანამ უფროსი ძმის გამონაცვალი ძიქვა არ გამომიკერეს.

1963 წელს საქართველოს დათვალიერება თელავიდან დავიწყე, უფრო სწორად, განვაგრძე...

ასეთ ძნელადაღსაზრდელობებს 1961 წელს, როგორც გითხარით, აკაფის ტყეებსა და ეკალ-ბარდებში დედაჩემის ჯაფით ნაკრეფი ეკალათი სოხუმის საკოლმეურნეო ბაზარში სიმწრით ნაგროვები საკოსტუმე ფული, ხოლო 1963 წელს ჩემი სოფლის ხილის მიმღებ წერტში საჭირო ყუთების შეჭედვისთვის დახელფასებული თანხა შემოეფლანგა.

მისი ჩითისკაბიანი ბავშვობის ნაკვალევზე მივლიანდაგობ ჩემი სადაურობა-ვინაობით: ჩემო გულდამწვარო, ის დღენათელი წარმომიდგენია, როდესაც შენს სკოლაში ამბავი მოვიდა, - თბილისში მათემატიკის სკოლა ყოფილაო, სადაც ნიჭიერ ბავშვებს ღებულობენო, თურმე!

ჰოდა, იმდენი ქნა, მამა დაითანხმა, წამოსულიყვნენ მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. მატარებელში ნათესავი შეხვდათ, რომელმაც აუხსნათ, რომ ტყუილად მიდიოდნენ, რადგან იმ სკოლაში ისე ვერავინ ჩაირიცხებოდა, თუ

საქართველოს კპ ცკ-ის სამდივნოდან არ წაგეშველებოდა ვინმე.

გულგატეხილმა მამამ გორში დააპირა ჩასვლა და უკან გაბრუნება. - მამაჩემოო, - მიმართა, - ბილეთი ხომ მაინც აღებული გვაქვს, წავიდეთ, ვნახოთ თუ რა ხდებაო!..

როგორც იქნა, სკოლამდე მიაღწიეს.

ციცქნა, გამხდარი და სიფრიფანა გოგონა იმ დღეს ცკ-ის ყურადღებამიპიროვნებულებზე ნახევარი საათით ადრე გამოვიდა გამოცდიდან გამოცდაჩაბარებული, სკოლაში ჩარიცხული!..

ამით რა დღესასწაული აჩუქა მშობლებს, და-ძმებს, მასწავლებლებს!.. მთელი ცხოვრება აბედნიერებდა და ახარებდა ეს ამბავი დედ-მამას განსაკუთრებით.

ჩვენს ცხოვრებაში საფუფუნებო არაფერი იყო, მაგრამ, რაც მთავარია, ტყეილი არ ჭაჭანებდა. ისიც ჩემსავით ნატანჯი, ჩითის კაბით გაზრდილი, თავად იწალდავდა საღირსებო გზას.

ო, რამხელა იარად მიტკივილებს გულს ის, რომ არც ერთ სურათზე ქურქმოცმული არ მინახავს თოვლიანი და ყინულისსუსხიანი ქალაქების ბაღ-სკვერებში რომ აქვს გადაღებული!..

* * *

41. 15. 04. 2021 წ. **<u>მაგრამ ეს იყო სიდიადე:</u>** მახსოვს, ერთ მივიწყებულ ეროვნულ-სახალხო გმირზე - ქელე ეხვაიაზე ვსაუბრობდით, რომელმაც წმინდა თევდორე მღვდლის მსგავსი თავდადებით გაიმარადისა სახელი...

როგორც მოგეხსენებათ, 1855 წლის ოქტომბერში გათურქებული ხორვატის - ომარ ფაშას მეთაურობით ოსმალებმა სამეგრელოში, - სანარმანიოს სანგრები გადმოლახეს და განაგრძეს მოსახლეობის აწიოკება.

მომხდურ ოსმალთა ერთმა ჯგუფმა (12 ოსმალომ) დაატყვევა ქელე ეხვაია და მოსთხოვა მდინარე ენგურზე ფონით

გაყვანა. ამ შემთხვევაში გზა ეხსნებოდა ომარ ფაშას ძირითად ლაშქარს.

ქელემ ისინი შეიტყუა მდინარე ენგურის ყველაზე ღრმა მორევში და თორმეტივე ჩაახრჩო შიგ. ასე ჩაეწერა ჟამთაბე-რის სამარადისო რვეულში.

ნანამ, რომელიც ყურადღებით მისმენდა, ერთი ამოიგმინა და ნაღვლიანად მითხრა: სხვანაირადაც ხდებაო ერის მახსოვრობაში სამუდამო ჩატენება, - მაგალითად, საეჭვო სულისა და ჯიშის გიგა მაქარაშვილმა საკუთარი საკაცო ვინაობა მოისპო, ამაზე დიდი სასჯელი არ არსებობს, ის ტრაკჩახდილობით გახდა დაუვიწყებელი.

ეს თქვენც იცით. 2018 წლის 10 ნოემბერს, სოფელ ატოცში ამ ვიგინდარამ მისნაირ შარლატანებთან ერთად, ე. წ. „გირ-ჩის“ აქციაზე „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად“ ძიქვა და ნიფხავი ჩაიხადა, უკანალი მოიშიშვლა და რუსი ოკუპანტებისკენ გაიშვირა (ასეთი ქალაჩუნური საქციელისთვის მას, კიდევ ერთხელ გეუბნებით, ქ. გორში ერთი ნაღამისქოთნევი სათლი თავზე გადმოამხო ვიღაცის მადლიანმა მარჯვენამ).

დიახ, იმ მიმართულებით გაიშვირეს უკანალი, საითაც ძვრაუქმნელობენ და ამ მხარეს დედანში აშინაარსებენ აქაური ქართული სიწმინდეები (დიდება მათ სახელს).

ასეთი ცნობიერება ხანგრძლივ პერსპექტივაში უფრო ბუნდოვანს ხდის იმ გეოპოლიტიკურ სივრცეს, რომელიც შეიქმნა 1991 წლის დეკემბრის სისხლიანი პუტჩის შემდეგ ჩვენს გარშემო.

... ნანა, ჩემო თოლიგე, ნანა!..

აქ თავშისაცემო ისაა, რომ ქართველ ერის თვალწინ ხდება ეს და ამით თავს შეურაცხყოფილად არ გრძნობს საზო-გადოება, რადგან მან უკვე დაკარგა ქრისტესმხედრული ვინაობა.

ის ამ მდგომარეობაშიც ისე უკიდეგანოა, რაც არ უნდა ჩიჩქნონ, მჯერა, გულს ვერ მისწვდებიან, ვერ გაუმხდა-

ლებენ... ვერც სულს შეავლებენ გამთვალავ და დამზაკვავ მზერას!..

მისი მშფოთვარე სუნთქვაც კი ჩემთვის არამატერიალური კულტურის ძეგლია!

* * *

42: 21. 04. 2021 წ. **<u>მისი უმწეო „ااااااا“... რამხელაზე მშობლიურია ჩემთვის!..</u>** *„დიდოუ, ნანა, ჩქიმ ტორონჯი გატყარეგე, ნااა!..“* დილიდანვე ამეკვიატა (ამჯერად საფარსაგოდ) ეს ბავშვობის გამიავნანებელი ჰანგი.

... მთელი სახლობა ხელგამოღებულად ცდილობდა, როგორმე, ორიოდე ლუკმა, ბოლოსდაბოლოს, გადაეყლაპებინა. მისი საცოდაობით მისავათებულებმა „დაუცაცხანეს“, - რადა გვკლავ, რაა ორი ლუკმა, გადაყლაპე და დაისვენებ შენც და ჩვენც გული გამოგვიკეთდებაო.

ჰოდა, ამ გაწამაწიაში იყვნენ, როდესაც დავრეკე. ჩემი ხმა გააგონეს. იმ წამსვე, იფიქრებდი, აიწყვიტაო დაბმულმა, „ხსნა“ დაიგულა, დამხმარე მიემაშველა, იგრძნო, შეიიმედა, - **„ესეც თქვენ“**-ოს ნიშნავდა მისი საქციელი, სად ხარ, მოდი, მომაცილე ეს „არამკითხეებიო“, უნდოდა, ალბათ, ეთქვა, მაგრამ მხოლოდ გულამოსკვნით ამოიგმინა ისევ მისი უმწეო „ااااااا...“ რამხელაზე მშობლიურია ჩემთვის, რამხელად გასაგები, რამდენგზის სათოლიგეო, რა ტობა შურიგედ გადმოცრემლებული, პირველი ღამის ჩაკვრასავით წკონდა და შეუგინებელი!.. თითქოს, ყებურის პირზე - პაპაჩემის გამოთლილ კველაზე ნებივრად ჩათვლემილს, სათბუნი მზრუნველად მომახურაო, გავიმკაფიოე ერთ წამად, კი არ მომეჩვენა, ცხადად დავინახე და მისთვის ჩემმა ვერ მიშველებამ ურისავით დამარტყა.

არადა, თითქოს გუშინ იყო, სამსახურში მომაკითხა (იმ დროს ე. წ. იმელის შენობაში ვიყავით), მისი მეგობრის დღეობაზე მიგვიპატიჟეს. ხელფასი დილით მქონდა აღებული, რაღაც თანხა მივეცი და ვუთხარი, შედი სალონში, თმები გაიდღესასწაულე, აქეთობას რაიმე საჩუქარიც იყიდე, ამასობაში სამსახურიც დამთავრდება და წავიდეთ მეთქი.

მალე შენობიდან საქმეზე გამოვედი, ჩემდა უნებურად, რაღაცა ძალამ მიმახედა: გამომცემლობა „მერნის“ მხრიდან, ხალხში, ვიღაც ულამაზესი ქალბატონი ცდილობდა გადმოსვლას. დავაკვირდი, ჩემი ნანა, მართლაც თოლიგე და შურიგე ნანა იყო. სასწრაფოდ მოირბინა, - საჩუქარი ერთად შევათვალიერეთო.

მივხვდი, ჩემთან ერთად გასეირნება უნდოდა გამზირზე. ტაქსი ავიყვანე. სიონამდე გავედით. იქედან ფეხით, ნება-ნება კონსტანტინე ლესელიძის ქუჩით გამოვიგამზირეთ რუსთაველზე. იგი ლამაზი, ამაყი, ბედნიერი და ჯიშისმიერ სიხარულად მოიღვრებოდა.

* * *

43: 25. 04. 2021 წ. <u>**შექსპირისეული „ყოფნა - არყოფნა“.. უმთავრესი შეკითხვა ამ ცისქვეშეთში:**</u> 2007 წლის ოქტომბრის ერთ მზიან დღეს ქ. რუსთავის ერთერთ კეთილმოწყობილ რესტორანში მისი სანათესაო სანადიმოდ შეიკრიბა: აშშ-დან ჩამოვიდა ნანას ბიძაშვილი მაია, რომელიც სიდუხჭირემ სამშობლოდან გააქცია, დამკვიდრდა მსოფლიოს ერთერთ ზესახელმწიფოში და გათხოვდა იქაურ ინდიელზე, რითაც აშშ-ს მოქალაქეობაც მიიღო.

წვეულების მასპინძელი, თავის ქმარ-შვილთან ერთად, ქალბატონი მაიკო გახლდათ. სტუმრობის პატივი ნანასთან ერთად მეც მხვდა კი არა, თამადის მოადგილედაც დამაწინაურეს.

ქ. რუსთავის ერთ მოხდენილ რესტორანში ასამდე სტუმარი ნადიმობდა. ჩემთვის პირადად ეს „დღესასწაული“ თავისი შინაარსით ასახეზოგადებდა დედა საქართველოს საპარტახო მდგომარეობას, მის ყოფით, სულიერ თუ სახელმწიფოებრივ მდგომარეობათა კიდეგანს.

აქ უნდა შევნიშნო, რომ მონადიმენი, რომლებიც ძირითადად ერთმანეთს სისხლით ენათესავებოდნენ, ქალ-კაციანად საოცარი, - დედანი ქართული ჯიშისმიერებით, გარეგნული მშვენიერებითა და სულიერი სათნოებით, ჩვენი ერის

თავისებური ტანადობით, მიხვრა-მოხვრით, გონიერი სიტყვა-პასუხით, მეტყველებით გამოირჩეოდნენ. აქ იყვნენ თბილისლები, რუსთაველები, გორელები, ფოთელები, სურამელები, აბაშელები და ა. შ. მათგან ორი - ნანას დისშვილი (იმავდროულად ნათლულიც) და დისშვილისშვილი სუხიშვილების ანსამბლის ულამაზესი მარტო კი არა, უმშვენიერესი სოლისტები იყვნენ. რაც შეეხება თვითონ ქალბატონ მაიკოს, თავისი საოცრად ქართული (მეგრულ-იმერული) იერით (სახის ნაკვთებით, ტან-ფეხით, სიარულით და ა. შ.) მართლაც რომ ლამაზი გახლდათ.

მოკლედ აქ გამომზიურდა ჯიში (რასა), რომელსაც გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ სახეებში თუ დალანდავდი.

სიძე ჩუმად იჯდა, უგრძნობელი სახით ჭამდა, შიგადაშიგ თავისთვის სვამდა კიდეც, მომეჩვენა, თითქოს არ აინტერესებდა, ირგვლივ რაც ხდებოდა.

მე ჩემს სადღეგრძელოში მივმართე სიძეს (შეიძლება, ითქვას - ქვისლს), ვადღეგრძელე მისი ქვეყანა, ხალხი და გავიხსენე, რომ ორი საუკუნის წინ, დღევანდელი ვაშინგტონის ადგილზე მცხოვრები დუვამიშელი ინდიელური ტომი მათთვის მოსაზღვრულ რეზერვაციაში შერეკეს, რის გამოც მათმა ბელადმა, სასოწარკვეთილი ხალხის სახელით, შემზარავი წერილი გაუგზავნა ხელისუფლებას, თუმცა, ამაოდ!..

აქვე, ხაზგასმით აღვნიშნე, რომ მე, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის, წმინდა ილია მართლის, წმინდა ამბროსი ხელაიას, დიდოსტატ კონსტანტინეს და მიხეილ ჯავახიშვილის წარმომშობი ერის შვილს, სულნათელი ზვიადისა და ცხონებული მერაბის მეგობარს (ასე ისინი მეძახდნენ თვითონ), ძალიან ცოტა მაქვს სხვისთვის მისაბაძი, მაგრამ დუვამიშელი ტომის ბელადის სიტყვა აშკარად ღვთივწვდომილი ადამიანის ღაღადია, დღესაც საგაკვეთილო კაცობრიობისათვის... დავძინე ბოლოს.

... ნადიმის დამთავრების შემდეგ, იქვე, ახლოს, სკვერში ჩამოვსხედით, აშკარად მოწყენილი იყო კი არა, შევამჩნიე, მალულად თვალებზე ცრემლებიც კი მოიწმინდა...

ორიოდე თვეში ქალბატონი მაიკო ქმარ-შვილთან ერთად დაბრუნდა თავის ახალ სამკვიდროში. იგი ძალიან ხშირად სკაიპით ესაუბრებოდა ნანას. ყველა მისი საუბარი საქართველოს გამოტირება იყო.

... დავუბრუნდეთ სკვერს. საკმაო ხანს მდუმარედ ვისხედით. მერე მკითხა, - რაიმე ხომ არა გსურს, მითხრაო?!.

მინდა გითხრა, რომ ის, რაც ჩვენს ქვეყანას მოახვიეს თავს, ამას ერის მილევადი მდგომარეობა ჰქვია, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ვერ ხედავს მეთქი.

მაიკო ჩემთვის ზუსტად ისეთივე ზესნა და ხვიჩაა, რომლებსაც მტრები იტაცებდნენ და ცალკეულ ქვეყნებში, იქაურთა ჯიშის გასაკეთილშობილებლად ყიდიდნენ, მეთქი.

... რა იქნებოდა დღეს მისი უმთავრესი შეკითხვა ჩემდამი, როდესაც ერთგულება საერთოდ და განსაკუთრებით სამშობლოსადმი არ წარმოადგენს ღირებულებას?!

მეტის თქმაც შეიძლება: თითქმის ნახევარი წელია, ქვეყნის ე. წ. ხელისუფლება სიღატაკეში მიზნობრივად შეთრეულ ქართველებს ყოველმხრივ „ეხმარება“, გერმანიაში, ისრაელში და ა. შ. წავიდეს, მოსწყდეს სახლობას, სამშობლოს და ორიოდე თეთრისთვის კატორღული შრომა გაიპიროვნოს, რათა თავის ჭერქვეშეთს პური და წყლის საშუალება მაინც ჰქონდეს...

* * *

44: 27.04, 2021 წ. **ისევ ყებურთან ნაცრის ქექვაში:** ერთხელ მითხრა, - შენ გლანძღავენ გასალანძღი ადამიანები, რასაც ვაკვირდები, მართალია, ჩასაფრებულთა გარემოცვაში საგანგებოდ შეგიქმნეს პირობები ღირსების გასაფლანგად, თითქოს ყველა ხსნა გადაგეკეტა პატივის გადასარჩენად, თუმცაღა, ამის გამკლავება შეძელიო.

ცუდია, რომ ახალგაზრდობა არ ცდილობს, ჩაუღრმავდეს მარტო შენსა კი არა, შენი თაობის ღირებულებებს, შეხვედ-რებს, საბჭოთა იმპერიის პირობებში საბჭოთა კანონებით საბჭოთა ოკუპაციის დიქტატურისგან დაფარულად ქართუ-ლი საქმის კეთების ილეთებს, ხერხებს, გამოცდილებას და ა. შ. არ ეცნობა ან კიდევ ნაკლებად იხედება მისკენ.

მხოლოდ ასე შეიმშობლიურებენ და არ დაავიწყდებათ, მეტიც, იგაკვეთილებენ სამშობლოს შინაარსს. იმას, რითაც იგი ცხოვრობდა გუშინ, რა საპირწონით ეჯებირებოდა იმ დროის გამოწვევებს.

როდესაც ამას ამბობდა, თავად აფრქვევდა თავის მომხიბ-ლავ ქალბატონურ და იმავდროულად საადამიანო ხიბლს. რა კეთილშობილება იკითხებოდა ამ დროს მის გამოხედვაში, რამდენად გულშიჩამწვდომი იყო მისი მეტყველება, ჯდომა, გამოხედვა, კეთილმოსურნეობა!..

... ვზივარ და ვფიქრობ, რას შევწირეთ ჩვენი ცხოვრება? (და აქ უპირველესია, უდიადესია, ღვთივწვდომილია ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გზანი განსაცდელისანი). ვინ წარმოიდგენდა იმ დროს, რომ ქვეყანას ეყოლებოდა ერთმანეთის მიყოლებით საგარეო საქმეთა სამი ქალბატონი მინისტრი (სამწუხაროდ, არც მამაკაცებს გამოუჩენიათ თავი უკეთესი საქმით), დიახ, სამი ხურუშიანი... (ჭაკი მინდოდა მეთქვა, მაგრამ ჭაკი მოწესრიგებული ცხოველია), რომელთა-გან პირველი იმდენს სვამდა, თითქმის ყოველდღე გადარ-წყეული ჰქონდა სამუშაო მაგიდა, მეორე სხვებს იმით სჯობ-და, რომ ჯიშიან და ეგზოტიკურ ულაყებს ენაგადმოგდებუ-ლი დაეძებდა საზღვარგარეთ მოგზაურობისას, ხოლო მესა-მე, - ყველა ამ სიკეთესთან ერთად, იცით რით გახლდათ გა-მორჩეული? სქემატურ რუკასაც ვერ კითხულობდა და მსოფ-ლიო პოლიტიკურ რუკაზე საქართველოს ვერ შემოხაზავდა.

ვის მოუვიდა აზრად, რომ იმ წმინდა ადგილზე, სადაც ოკუპანტის ტყვიით განგმირული თვრამეტი წლის უსათ-ნოესი ქალწული ნინო მაყაშვილი თავის ტოლ, მაგრამ უკვე ქრისტესმხედრობაში ჩაუჭრელ გმირებთან ერთად განისვე-

ნებდა, კი მეთქი, სწორედ იმ ფეხსაბიჯზე, 9 აპრილის სიდიადეები რომ გამოიჭედა შეუგინებლობის, თავისუფლებისა და ეროვნული მარადიულყოფის ნიშანსვეტად, ამძუვნებული ქართველი კაბოსნები „საპროტესტო აქციაზე“ უწესო კატებივით იღნავებლდნენ **„ფუჩუ ჩემია და ვისაც მინდა, იმას მივცემო!..“** (ბოდიში ჩემს ულამაზეს კატებთან - ღაზოსთან და ცაქვასთან, მათიანებს რომ შევადარე ესენი).

არა, ეს ჩემი აკვიატება არაა, აი, რა იწერება ამჟამად, თითქმის ყოველდღე: **„თქვენ, ზონდერ მამათმავლებს უამრავი ადამიანი გააუბედურებინეთ, კაცები და ქალები გააბახებინეთ, მთელი ეს სიბინძურე 26 ათას ფაილად შეკარით და ახლა ცასა და ქვეყანას აშანტაჟებთ. იცოდეთ, ქართველი კაცის მოთმინების ფიალა ივსება და** (აქ ვერ გავიმეორებ იმას, რაც წერია)... შემდეგ: **... დაოკდით და საქართველოს ნგრევას შეეშვით“!..** იქვე: **„... 9 აპრილს მე დავინახე გამძვინვარებული ქართველობა, რომელსაც ვერავითარი პოლიციის კორდონი და ევროსაბჭოს რეზოლუციები ვერ შეაჩერებს და თუ ამ ხალხის მოთმინების გამოცდას კვლავ უსინდისოდ და პროვოკაციულად გააგრძელებთ, აუცილებლად მოხდება ის, რის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ“...** (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2021 წ. 12-18 აპრილი).

... სისხლი ლამისაა სიბრაზისგან ამეორთქლოს, ჩემმა თაობამ (მათ შორის მეც)! განა იმისთვის დავაყენეთ სამშობლო ყველაფერზე მაღლა, რათა ერთ მშვენიერ დღეს წმინდაზე წმინდა დავით გარეჯის გასაყიდად დახლთან ქორვაჭრებად გამწესებულები ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა, სულნათელი ზვიადისა და ცხონებული მერაბის მსგავსად, პოლიტიკურ პატიმრებად და ტანჯულ გმირებად შეგვერაცხა და 9 აპრილის ღვთივკურთხეულ ადგილზე მათი „პოლიტპატიმრობიდან“ გათავისუფლების მოთხოვნა გვეღრიანცელა?!.

დიახ, იმას გეკითხები, გამოთაყვანების გზაზე მდგარო ერო, რად გაიარე გზანი წამებისანი და რად გაიღე ასეთი მსხვერპლი თუ ლგბტ თემის (აგრესიული უმცირესობის)

შტურმი გძლევდა, მრავალათასწლოვან ქრისტესმხედრულ სულსა და შინერს-ვაშინერსის წესრიგს დაგინაგვიანებდა, ამოგიყირავებდა ქართულ ლასკარსა თუ სახლობას, ღირსებას გაგიუპატიურებდა, მერე აღვირს უბოდიშოდ ამოგდებდა და 2021 წლის 25 მარტს „გადღესასწაულებდა“, რადგან ტრანსგენდერ კაცს ქალის პასპორტი მისცესო!.. ამ „ბედნიერებას“ ისე მოგილოცავდა, თითქოს 1121 წლის 12 აგვისტოს „ძლევაᲘ საკვირველი“ გვყოლოდა ჭერქვეშ, არადა, ასე გაყიჟინების მიზეზი ის იყო, რომ „ამხდარა ქართული ოცნება“: საქართველოში კაცი ქალად აღიარეს, ახლა ქალადქცეული, კაცზე თხოვდება და საოცნებო „ქართულ“ სახლობას, გნებავთ ლასკარს ადუღაბებს!..

ამაზე მეტი რაღა უნდა დაგმართნოდა, შე ჩვენი ცოდვით სავსე, რომ გაგეღვიძა და ფეხზე წამოდგომა მოგენდომებინა!..

მას, ნანას - ჩემს თოლიგეს, საკუთარი შვილი არ ჰყავდა (იცით ეს), დედა საქართველო ჩაისხეულა მკერდში, მას ეიავნანებოდა.

აი, რატომაა ის ამის გასწვრივ ცოდვა და მე კიდევ უფრო საწყალი!

... და კიდევ, იცით, რატომ ვართ სამათრახო?! **„ზვიად გამსახურდია ცოცხალი როგორ გაუშვითო“**, უსაყვედურა გოგი ხოშტარიამ ზვიადის მოსაკლავად გადევნებულ გიორგი შენგელაიას. დღეს ამ კაცის დაგეშილ შვილიკოს, საქართველოსთვის ვინმე ელენეს, თითს რომ ვაქნევინებთ ღვთისმშობლისწილხვედრილობისათვის... ეს კიდევ რაა, უფრო უარესიცაა: 1993 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ სისხლიანი ხუნტის შეკრებაზე წუნკალმა იმნაირმა, - ირინა სარიშვილმა აღშფოთება ვერ დამალა: **„ზვიად გამსახურდია ცოცხალი რატომ გაუშვით საქართველოდანო!..“** თუ გახსოვთ, დარბაზი „დაინგრა“ ტაშით ამის თქმისთანავე!..

<u>რა გაახარებს ამხელა ცოდვაში ჩაფლულ ქვეყანას?!. ვავა, ჩქინ ცოდა!...</u>

* * *

45: 27. 04. 2021 წ. **<u>ცირა:</u>** ცხადია, ქეთევან დედოფალს შეეძლო, სატანჯველის ხვედრი აერიდებინა, მან დაასკვნა: ძალიან ძნელია, სათავზაროა, შემაძრწუნებელია, მაგრამ მაინც გაცილებით ჯობია, კოცონზე დაიწვა და ერის შეუგინებლობად დადგინდე, ვიდრე გადარჩე, თუმცა, სიცარიელედ დარჩე...

არავინ იცის, ვინ სად და როგორ გაისაგნებს თავის ვინაობას ღირებულებაში. ამას მარტო მისი ჩადენა არ ჰყოფნის, - მის დანახვაშიც უნდა ერიოს უფლის ხელი.

სოხუმის რაიონის ბესლეთის ხეობაში ჩემს ბავშვობაში ერთი უბედური და იმხანად მარტოხელა ქალი ცხოვრობდა. როგორც უფროსებისაგან მსმენია, იგი თავის დროზე ულამაზესი, ზრდილი და განათლებული, პატივმიგებული სახლობის შვილი ყოფილა, - სოხუმის ლ.პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა აფხაზეთის ერთერთ უპირველეს და სახელგანთქმულ ბესლეთის # 1 საშუალო სკოლაში.

მისი საქმრო, რომელთანაც იმ შემოდგომაზე უნდა შეუღლებულიყო, სოხუმის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ აგრონომად მუშაობდა. იგი ომის დაწყებიდან ორიოდ თვეში გერმანია - საბჭოთა კავშირის ომში გაიწვიეს. სამწუხაროდ და საუბედუროდ, 1942 წელს, სადღაც ჩრდილო კავკასიის რომელიღაც გადასარბენზე, გააფთრებულ ბრძოლებში დაღუპულა.

ამის გაგებისთანავე ეს ქალი კარგა ხანს ოთახში ჩაკეტილა, მხოლოდ დედასღა თუ შეუშვებდა მასთან და მისი მოტანილი სანოვაგიდან ღომსა და ყველს თუ მოციცქნიდა, წყალს დააყოლებდა და სარკმლიდან ხმაამოუღებლად გაიხედავდა მისთვის თალხებმოცმულ სივრცეში. ათასში ერთხელ გარეთაც გაინაბიჯებდა...

ასე გვარიანხანს გაგრძელებულა, მაგრამ ერთ დილაუთენიას გამოსულა და ჩვეულებრივ შედგომია საქალო საქ-

მეებს. როგორც მეზობლები იხსენებდნენ, მართალია, სკოლაში მუშაობა არც მოუნდომებია, ეზო-კარმიდამოთი შემორაგულა, მაგრამ ქათამ-ინდაურისა და საქონლის მოვლა, თოხნა, სარეცხი, ეზოსა და სახლის დასუფთავება-დალაგება არ ეშლებოდა კი არა, გაკრიალებულ-გაქათქათებული ჰქონდა ჭერქვეშეთიც და სახლის შემოგარენიც.

ასე ჩვეულებრივ მიიზლაზნებოდა დრო, სანამ ერთ დღეს სამეზობლოში მორიგი საწყენი ამბავი არ გახმაურდა, - **გინიკუნუა** (ე. ი. გონება აერიაოს მნიშვნელობით იტყოდნენ ჩვენთან): წინა დღეს სხვენიდან მისი ბავშვობის აკვანი ჩამოუტანია, გაურეცხავს, სუფთა სააკვნე ქვეშაგები გაუმართავს და ასევე თავისი ბავშვობის თოჯინა - „ცირა“ ჩაუწვენია შიგ, სამაფშალიო იავნანა, აკაფაში რომ იციან, წაუგალობა, „დაა-ძინა“, შუქი ჩააქრო და თავადაც ჩაიძინა. მეორე დილით, ისევ ადგა, იგივე განმეორდა და ა. შ.

ის კი არადა, ეს წლობით, აგერ ჩემს წამობიჭებამდე გაგრძელდა, ანუ უკვე თანმიმდევრულობად იქცა: **მას სული სტკიოდა!..**

გასაგებია, სახლობამ საფარსაგო ვითარება სოფლის ექიმს აუწყა, მიუყვანეს იგი და გაასინჯეს ეს უბედური, ამავდროულად, თუ სადმე ექიმბაში და მკითხავი იყო, მოაქუდზეკაცეს, კი არა, აკაფაში ნადიაკვნარ ამბროსი არონიას გამოალოცინეს კიდეც, მაგრამ არაფერი შეცვლილა, იგი თავისთვის ცხოვრობდა, საქმეში ყოველდღიურობდა, „ცირას“ უვლიდა, ან აკვანში „ჩააძინებდა“ ან ამოიყვანდა და მკერდში ჩაკრულს დაასეირნებდა, საუბარი არ ეშლებოდა, გონიერი სიტყვა-პასუხი შერჩა, საქციელიც შესაბამისი შემოიპერანგა. გეთანხმებით, მის უცნაურობას და „გინოკუნას“ ის ანივთმტკიცებდა, რომ თოჯინას ჩვილი ბავშვივით უვლიდა, წამგაუცდენლად მზრუნველობდა, ეს იყო უბედურება, თორემ, სხვა მხრივ დედმამას საიმედოდ ედგა მხარში, კი მეთქი, თოჯინას, რომელსაც „ცირას“ ეძახდა და შიგადაშიგ საგანგაშო ხმით მოიკითხავდა, მთელი ქალური მონდომებითა და დედობრივი მზრუნველობით უვლიდა: ფედუა საჯახეს, ბეს-

ლეთის ხეობის ჭეშმარიტად დადის (დიდედას) მონაყოლი ვიცი, - ხომ ცნობილიაო ჩონგურზე ჩემი დანამღერები, ის რომ თავის თოჯინას, აკვანში ჩაწოლილს წაუმაფშალიებდა, მე არაფერი ვიყავიო მასთან შედარებით.

... და ერთიც: როცა აკვანში ჩაწოლილ „ცირას“ სათოხარში წამოიყვანდა, აკვანს მაქერე მსხლის ჩრდილქვეშ დააბრძანებდა, თოხნას შეუდგებოდა და ცოტას გაიმანძილებდა, უცებ, შეკრთაო თითქოს, ისეთი დედაშვილობით გასძახებდა, **„ვაგაშქურინას, სკუა, ამარ ვორექ, ქუგგალუ დიდაქ!“** - გული ჩაგიყებურდებოდა კაცს!..

ხო და იმ დღეს ეზოში, საუკუნოვანი აფხაზური ვაშლის ხის ქვეშ „აკვანში „ჩააძინა“ შუადღეზე „ცირა“. მთელი დღის ნაჯაფს და თაკარა მზეს გამოქცეულს, თვითონაც ჩაეძინა სასიამოვნოდ ჩრდილქვეშ.

ხიფათი იქ გამოჩნდება, ხოლმე, სადაც არ ელი: შემდგომში არამზადობის სახეზოგადობამ და მაშინ ჯერ კიდევ დამწყებმა გაიძვერამ, - ვენე გობეჩიამ მის ეზოსთან გამოიარა, ჭიშკრიდან შეიხედა, რატომღაც მოესურვილა სიგლახე და არც დააყოვნა, შეაღო ჭიშკარი, უბედურს ღრმად ეძინა, ლაწირაკმა კი თოჯინას დაავლო ხელი და მდინარისკენ გაიქცა, საბანაო მორევში გადააგდო და წიოკობაში თავგართულს, არც კი გაუსიგრძეგანებია მისი საქციელის საავდღეო შედეგი.

ხიფათი მოხდა: გაღვიძებულმა ქალმა მოიკითხა „ცირა“ და როცა ვერ დახვდა აკვანში გულისშემძვრელი კივილით შეჰყარა მიდამო, აგანგაშებული სამეზობლო მოჩოჩქოლდა, მაგრამ რას იზამდა, „ცირა“ არ იყო, ხოლო ქალი თავს უხათქუნებდა ასწლოვან ვაშლის ხეს. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ყოველდღე, ამ ადგილზე, უბედური ქალი მოსთქვამდა და დასტიროდა თავის ცირას - **„დაღუპულ შვილს“.** სამეზობლო კი სწუხდა, მაგრამ ვერაფრით აწყნარებდა, ვერანაირად ვერ ამშვიდებდა.

დღემდე ჩამესმის და ასე მგონია, ჩემი ოდაბადის შეოწამაფაა სასოწარკვეთილის გულსა და სულს ამოგლეჯილი **„დიდუუუ, დობჭვიო, ცირა, სორექ“?!.**

ერთ დღეს თადას წისქვილში საფქვავით მოსულმა რაცი თოლორაიამ, მას შემდეგ, რაც ცხენს ტვირთი ჩამოხსნა, ნაღვლიანად აუწყა დამხვდურებს, ის ქალი ამ დილით მკვდარი ვნახეო თავის ეზოში, აფხაზური ვამლის ქვეშ, აკვანთან.

* * *

46: 1. 05. 2021 წ. <u>**მეშარე პატენი, დამილოცე ჩემი შურიგე!..**</u> მახსოვს, გზადგამვლელი ჭიშკართან შეჩერდა, წყალი ითხოვა. ის ამ დროს კაკლის ჩრდილში, მისთვის გაწყობილ სავარძელში იჯდა უმწეო და ხუნკი, მაგრამ იერით მაინც ქალბატონი, მშვენიერი, თავმოვლილი, სუფთა (და-ძმა და დის შვილი, დის შვილიშვილი დღეში ორჯერ ბანდნენ დილა-საღამოს). მდუმარედ გაჰყურებდა სივრცეს, მისთვის მშობლიურს, ოდაბადეს, გონითი განფენის დასაბამს.

მეშარემ ინანა, ასე უმწეოს რომ სთხოვა წყალი, ის იყო, წასვლა დააპირა, რომ ქალმა შემზარავი შორისდებულებით ამოიგმინა, - მიხედეთო სტუმარს!..

მისი თვალებიდან ყველა სიავემოგერიებული, კეთილმოსურნეობა ლამობდა თავაწყვეტას. თონიდან გამოვიხედე.

სტუმარი შემოვიპატიჟე, იქვე კაკლის ჩრდილში დავდგი ტაბაკი, წყლით, ღვინოთი, ცხელი პურითა და ყველით.

გაირკვა, რომ მეშარეს წინასაარჩევნოდ დავალებული ჰქონდა ერთი, ჩვენთვის ცოტა „იმნაირი“ პარტიის მომხრეები აღერიცხა.

ყური რომ მოჰკრა, ნანა აცახცახდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ შესძლო, მარჯვენა ხელი მაგრად ჩაავლო ყავარჯენს, საავდღეო გაფრთხილებასავით ამოიხრიალა... თვალებში ერთდროულად ჩავხედეთ მეც და მეშარემაც.

მის მრისხანე მზერაში ცხადად იკითხებოდა სათქმელი: მათთვის საქართველო არასოდეს ყოფილაო არც ღვთისმშობლისწილხვედრილობა, ანუ სამშობლო, არც ქვეყნის მარადიულმყოფელი სახელმწიფო. პირიქით, საქართველო მათ გადააქციეს საეთნოდივერსიო პოლიგონად, სადაც ძალაუფ-

ლებისა და ამძუვნებელი ჟინის დასაკმაყოფილებლად ყველაფერს იკადრებენო.

ამიტომ იყო, რომ უადვილდებოდათ მამულის გასხვისება, წმინდა დავით გარეჯის გაფეშქაშება, დედა ეკლესიასთან მიიერიშება, მათი ნგრევა, ქართველთა რბევა, ცნობიერი გენოციდი, ხანგრძლივ დროში გაწერილი ქვეყნის ეთნიკური წმენდა მისი დედანში გამშინაარსებელი ხალხისაგან, ციხე, წამება, გაუპატიურება და ა. შ.

ამ უხმო ამრისხანებით სათქმელი მკაფიოდ ითქვა. მეტიც, ის განწყობას ასხივებდა.

ყველაფერი გასაგებიაო, ჩუმად ჩაირაგადა მგზავრმა. წამოდგა და წასვლა დააპირა.

საიდან ხარ მეთქი, ვკითხე გზად გავლილს. სოხუმიდანო, მიპასუხა ჩემთვის მშობლიური კილოთი.

ჭიქა ავიღე და მეც იმავე კილოთი მივმართე, - მეშარე პატენი, დამილოცე ჩემი შურიგე!..

* * *

47: 06. 05. 2021 წ. <u>**მწუხრი დაიწყო...**</u> გეთანხმებით, ერის დედან ვინაობას, ანუ შინერს-ვაშინერსის წესრიგს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ვითომ ევროპეიზმში შენიღბული თაობის ჩლუნგი ფანატიზმი.

აქედან გამომდინარე, თანმიმდევრულად, მეტიც, შთაგონებული მიზანსწრაფვით ვდგინდებით ისეთ ერად რომლისთვისაც შეცდომის საგაკვეთილო გასიგრძეგანება, წარსულთან მიმოწაფება და მომავლის წინგახედული შეთვალიერება მოთხოვნილება არაა.

შეტევა და ომის მდგომარეობაში ყოფნა ეროვნულ ღირებულებებთან, გენერალური თავდასხმა ქართველთა ვინაობაზე (იდენტობაზე) ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკა გახდა. მეტიც, გარეთ გახედვა მართლა არ მინდა, როდესაც ვხედავ ერის სულიერებად გაშინაარსებულ ღვთისმშობლისწილხვედრილობას, რომლისთვისაც ყოველდღიური ჯაფა ათასწლეულების წამგაუცდენლობით ხვავრიელდებოდა,

მამული, რომელსაც მახვილით ვიცავდით გასხვისებისაგან, გაპარტახებისგან, წაბილწვისაგან, დღეს თავაუტკივებლად მიაქვს თურქს, აზერბაიჯანელს, არმენს, რუსს...

ღირებულებათა დანაგვიანება ყოველთვის არ იკიდებს ფეხს ყოფნა-არყოფნის დარი შეტევით, ზოგჯერ იგი **„რა მოხდა მერეს“** ნაირი შემპარეობითაც ხდება კი არა, მეტწილად ამგვარად ეძებს ფეხსაბიჯს. ამის მაგალითად შევაპირისპიროთ ყველასათვის ხელმისაწვდომი ორი მაგალითი: მოგეხსენებათ, აკადემიკოსები ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და მათი თაობა, როდესაც დედაუნივერსიტეტს მიუახლოვდებოდნენ, ქუდს იხდიდნენ და თავდადრეკით ემარჯებოდნენ საქართველოს ცნობიერებას, - ეს იყო ზრდილობა, ყოველდღიური ყოფაქცევა, მაღალი სახალხო თვითშეგნება, სისხლში გამჯდარი მოწიწება ერის სიწმინდეებისადმი. ახლა ამას შეადარეთ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი (ვავაშო, სკუა), ქართველი ერისთვის ვინმე გიორგი (იერით „ჟორიკა“) კეკეკლიძე (თავისი თვითგამოსახვით, მართლაც, ბიჭუნა („მალჩიშკა“), ტელესტუდია „ერთსულოვნების“ გადაცემაში „წიგნიერების გაკვეთილები“ (უი და ათასგზის უი, სწორედ, ესაა!) სავარძელში ჩაესკვაჭა ხელისბიჭური ქუდით (უფრო სწორად, ამას ჩაუზრდელება ჰქვია)! და ასეთი „პაცნური“ უტიფრობით გაესაუბრა სრულიად საქართველოს (2021 წ. 25 აპრილი), თითქოს ცის სვეტად დაიდგინაო თავი.

აი, ესაა სწორედ ის ზემოთხსენებული უზრდელობა, რომელსაც ჩემს მშობლიურ აკაფაში, სოხუმიდან კარგა შორს, უღრან და უსიერ ტყეშიც არ დაუშვებდა მეჯოგე ალექსი ფიფია, წერა-კითხვის უცოდინარი, **მაგრამ საქონელთანაც ქუდმოხდით მოურთიერთე კაცი, დიახ მეთქი, არათუ ოდაში ან საბზადში, ბოსელშიც არავის უნახავს იგი ქუდით შესული. ესაა-მეთქი მოწიწება რომელიც მხოლოდ ღვთივწვდომილთა ღირსებაა!..**

ახლა მითხარით, რომელი ვითავშიცემო?!. ვინაობა მენგრევა, ჩემი თოლიგე თითქმის უგრძნობლადაა, გეთანხმებით, ასეთსავე დღეშია დედასაქართველო, რა ვქნა, საით მივბრუნდე?!.

... და მაინც, ჰო, მეთქი, აქეთ მივიხედე: ჩემს სატელეფონო მოფერებას თუ წაღიღინებას, - **„ახ, ცოროფა, სი ჭვილ დღაში, გური მუჭო დომიხაში, სერი იშენ სერი რე დო უკუმელა მაფუ დღაში“...** როგორც კი მოასმენინებენ, ცისჩამოქცევის ტოლფარდად (გითხარით ეს უკვე) ამოიგმინავს ჩემთვის სულის დამმზებუდებელ „ااااااا“-ს.

ეს ამოგმინვა ძალიან მკაფიოდ (დიახ, დიახ, ჩემთვის მხოლოდ) აზრთა წყობად ხმიანდება ჩემი ყურდაუხშობი მოლოდინისთვის. თუნდაც ასეთად: **„შენ ლიახვის კლდეზე დგეხარ, ძველი მოსასხამით, ოლე, ოლე, მარტოხეო, დღისითა და ღამით“... „რაშო მიწას მიჭედილო, ვეღარ აიქროლე, პარტახო და ნამეხარო, მარტოხეო ოლე!..“ „მოდი ჩემთან, ვიდრე მეხი დაგკრავს, აგაბოლებს, ტყავდამსკდარო, ნამეხარო, მარტოხეო ოლე!..“** (გიორგი ლეონიძე). ეს მარადქართული ცხინვალის საქრისტესმხედრო ხმალთაქნევაა, მას მოძახილივით მერკიაფად მოჰყვება დიდი პატარძლეულელის საჰერეთო დაუზავებლობაც: **„კესანე, შემომკვნესარებ“... „პატარა, თეთრო ყვავილო, გაზრდილო საინგილოში!..“**

... ასლან აბაშიძე, მრავალი მიზეზის გამო,ჩემთვის მემედ აბაშიძე ან გულო-აღა კაიკაციშვილი არაა, მაგრამ ერთი საყოველთაო სიბრძნე კი გაახმოვანა, ყურისგდება უნდა მხოლოდ: **თურქებს ხუთი მეტრით თუ შემოუშვებ, მერე 25 მეტრზე შემოვლენ და საქართველო აჭარას დაკარგავსო!..**

იცით, იყო ასეთი სულთანი - აზიზიე, რომელიც ოსმალეთის იმპერიას მართავდა 1861-1876 წლებში, ის ქართველებს აჭარაში თუ არ გაქრისტიანდებოდნენ, ცოცხლად ატყავებდა და თავს აჭრიდა.

თქვენ კი აზიზიეს მეჩეთი შუა ბათუმში გვინდაო, გაჰკივით! თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარაში მედრესეები, ჯამეები, პანსიონები და ა. შ. თურქისაა და თურქული ფუ-

ლით თურქულ სულისკვეთებას ემსახურება. ოსმალეთის სასულთნოს აღორძინებას ცდილობს.

არა, ეს სახუმარო არაა. გაიხსენეთ დღეს, ჩვენს თვალწინ ქართულ გვარ-სახელს თავშეჩურთული ოსმალო - ფირუზ წულუკიძე და მისი აგვართა (კლასტერი). ისიც იცით, ჩოხოტაურთან, სოფელ ბუკნარში რომ აქეზებდა აქ ჩასახლებულ მუსლიმ ქართველებს ქრისტიანების წინააღმდეგ. აი, იგი ვინმე ტარიელ ნაკაშიძესთან ერთად გახლავთ თვალსაჩინო შედეგი „რა მოხდა მერეს“ მსგავსი დოყლაპიობის. დიდი თურქეთის (თურანის) ამღორძინებელ ძალისხმევას და საერთოდ, ხალიფატის სახელმწიფოს შესაქმნელად ხელებდაკაპიწებულებს საქართველოში ქართული სახელმწიფოს საძირგამომთხრელოდ ისა ჰყავთ და სალაფიტური დივერსიების თავკაცობაც ანდეს.

ამასობაში ისევ თავზარდამცემად გაისმა ის შემზარავი „ااااااا...“ რომელი იარა გამეხსნა, სად წავისვა აკაფელი ფედუა საჯახეს მაკურნებელი მალამო: **„მე ზღვის ზვირთებს გადავყევი და მთებს მივეფარე... ვეღარ ვნახე შენი სახე, ვეღარ მოგისწარი, ისლის სახლი, ისლის სახლი! ქარი! ქარი! ქარი“** (დიდოსტატი კონსტანტინე).

ეს კი ჩემი სააფხაზეთო, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქარბორიაა, დიახ, სწორედ ამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს დედოქართულად, ანუ დედანში, თავის ბუნებრივ მდგომარეობაში ამღაღადებელი: **„ვაი საშოსა ჩემსა, რამეთუ გშობე, ვაი ძუძუთა ჩემთა, რამეთუ გზარდე, ვაი, ბაგეთა ჩემთა, რამეთუ გიძახოდი და არ გამეც ხმაი, ვაი თვალთა ჩემთა, რამეთუ გიტირე“...** ან კიდევ - **„დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული. ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოველისთვის შეეწირა იგი:**

უთენია ჩამოვიდა ფხოვიდან დედა და როცა მორიელებისგან დაკბენილი შვილი დაინახა, გაქვავდა თურმე“...

აი, რას ნიშნავს, რა ღირებულება, რა უნჯთშესალაგია დიდოსტატ კონსტანტინეს „კოლხური კოშკის“ ღვთისმშობ-

ლისწვდომილურ სივრცეში საშო და შეადარეთ ეს ლოცვა-სავით აღმოთქმული ხორხისმიერება ამძუვნებულთა იმ ღნავილს (ვთქვი ეს უკვე), ცხრა აპრილის ნიშთან რომ გაიკნა-ვლებენ ურცხვი მუნდუკურთენი: „ფუჩუ ჩემია, ვისაც მინდა მას მ . . . . . ნებო!..“

ეს ჩემი საქართველოს ცისჩამოქცევაა, ჩემი აკაფელობის გმინვაა: გამისხვაქვეყნეს ბიჭვინთა, ილორი, ლიხნი, კომანი, ანაკოფია, მოქვი, დრანდა, ილორი და ბედია, - ჩემი ქართ-ველობის, ანუ დედანი აფხაზობის (მეგრელობის ე. ი. თავან-კარა ქართველობის) ნიშანსვეტი, დიდი ბაგრატ მესამისა და მისი დედაწმინდის ძვალთშესალაგი, ვინაობა, რომელმაც სულით ხორცამდე ქრისტესმიერი თარაშ ჰემხვარის ბაგეებს გაამეხთატეხებინა: **„მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევიაო!..“**

... და ისევ ამ მეხთატეხის მსგავსი „ააااااა...“ იგი ტერენტი გრანელის ღვთივმწდომილურ სიცხადეში ძალიან მკაფიოდ დამისამართებული აღაღადებაა: **„.. და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან. კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა.**

არც შორეული დების ლოცვები ჩემს გადარჩენას ხელს არ უწყობდა. მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღოდა.

ირგვლივ სიკვდილის ხელი მეხვია, რა მექნა, სულო, დაუცხრომელო! მსურდა სიბნელე რომ გამერღვია და კვლავ ქვეყნისთვის თვალი მომევლო...“

უნდა დამეთანხმოთ, ნანას, ჩემს თოლიგეს, შურიგესა და ასგზის სულის ყებურის „ااااااა“ გახლავთ ლოცვა დედაღვთისმშობლის წინაშე, - **„ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება, უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები, მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება, მზეო თიბათვისა, ამას გევედრები!..“** (გალაკტიონი).

ესაა გამაადამიანებელი სურვილი, რათა **„... და თუ რო-გორმე ისევ გათენდა, - ღამენათევი და ნამთვრალევი დაღ-ლილ ქალივით მივალ ხატებთან!..“** (მისივე).

... ნანა, ისევ გამაგონე შენი ბაგეებით გახმოვანებული „ააااااა“, როგორც მოწოდება წმინდა გიორგის ქრისტეს-მხედრული ბორზალისა და წმინდა დავით აღმაშენებლის დროშის ქვეშ დასარაზმად, გაერთსხეულებად „ძლევაჲ საკ-ვირველის“ გამომჭედის ძალისხმევასთან... იგი მომზადებაა ჩემი სამარტოო ლოცვისთვისაც, როცა **„ჟამი რაი წვლილთა და ხმელთა აღმოფშინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტდეს, შვებანი უქმ იქმნენ, ყვავი-ლობნებაი დაჭნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრაი, სხვასა შეუდ-გნენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო, ჩემო!..“** („გალობანი სინანულისანი“, დავით აღმაშენებელი).

რა თქმა უნდა, ეს „ააااااა“, როგორც ერთდროულად მუ-დარაც და ამრისხანებაც, ჩემი ყოფნა-არყოფნის შურობუ-მუსთან მისაგნებაა მიწიერი ვინაობის მარადიულსაყოფად. იგი გაფრთხილებაცაა იმათთვის, ვისაც ავიწყდება, რომ მიწიერ ყოველდღიურობაში ისეც ხდება, რომ **„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი რკინისა ლბილისა“** (შოთა რუსთაველი), ამიტომ ნუ იჩქარებთ, შეიხსენეთ, - ის ხომ ჩვენდა საგაკვეთილოდ წმინდა ილია მართლის გულის ახანძრებაცაა: **„ვაჟკაცს ცრემლსა რად უძრახვენ, ტყვიაც ტყდება, რომ სცემს გრდემლი, კაცს და პირუტყვს გასარ-ჩევად, ღმერთმა შექმნა მხოლოდ ცრემლი...“**

ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ რად გინდა, თაობა არც კითხულობს მას. მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს თვითმავალ ორფეხებთან, რომელთაც სამამულო ცრემლის სათავე არ გააჩნიათ. ამის გამო, ისინი ქართველი ერის სტრატეგიული ინტერესებით, ჩვენი ისტორიული ბედითა და ერის შეუგი-ნებელი ფასეულობებით ვაჭრობენ, ანუ უხვალდღეობაში ნებივრობენ.

ასეთი გაუკუღმართებული სიცხადის გასწვრივ, ჩემთვის ნანა დიახაც გახლავთ ეროვნული ვინაობა (ჯიში, ხასიათი, აზროვნების წესი და ა. შ.) იგი, როგორც სახეზოგადება, თა-ვისი მენტალობით, თვითგამოსახვით, ყოფაქცევით ჩემთვის კოლხია, უფრო სწორად, აფხაზი (მეგრელი) გახლავთ იმ

გაგებით, როგორც ეს ბაგრატ მესამეს, გიორგი შარვაშიძეს, ამბროსი ხელაიას და ა. შ. ესმოდათ.

* * *

<u>სამწუხარო განმარტება საამწუთოდ:</u> ჩვენდა საუბედუროდ, ისტორიამ იცის საბედისწერო გაუგებრობათა შემოგამზირება ერის ცნობიერებაში, რაც იწვევს ერის მსოფლმხედველობრივ დანაგვიანებას.

ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს: - საქართველოს ცნობიერ ღამეში, როცა მიზნობრივად შექმნილი ეთნოდივერსიული სტერეოტიპებისა და ტერმინების თარეშის პირობებში (არა მხოლოდ რუსულმა ეთნოფაბრიკაციამ გამოიღო ამ მხრივ ხელი), უდიდეს ქართველ მოღვაწეს, სულმნათ იაკობ გოგებაშვილს რაიმე უსაყვედურო, კი ბატონო, ეპოქა იყო მეთქი დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული, მაგრამ „აი იას“ – „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადის ტოლფარდი ღირებულების შემოქმედი საბედისწეროდ შეცდა, - მან ცნება „აფხაზი“ განმარტა იმგვარად, როგორც ამას მიზნობრივად რუსიზმი აკეთებდა: დიდმა პედაგოგმა, მართლაცდა, უფლის სახლისთვის შესაფერის „ბუნების კარში“ (1912 წ.), ოსმალიზმისა თუ რუსიზმის ეთნოდივერსიულ წყვდიადში მიიჩნია, რომ აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო არაა და იგი მიმოიხილა მეზობელ, ანუ „არაქართულ ქვეყნად“.

გეთანხმებით, დასანანი იყო აფხაზეთის ამგვარად დადგენა დიდი იაკობის დროს, მაგრამ დღეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ასეთნაირად მოაზრება ბოროტმოქმედებაა, რადგან აფხაზეთის ქართულობაზე ამჟამად იქიდან შემოფრენილი ჩიტიც კი ჟღურტულებს, ყურისგდება უნდა მხოლოდ.

* * *

ჩემი დაკვირვებით, ნანა თავისი სულიერი შინაარსით, მიწიერ სივრცეში გაყოველდღიურებული თავადის ქალი მაიაა (ლეო ქიაჩელი). ნახეთ, სიკეთის რაოდენ აურაცხელი საწყობი გადაუწვა წუთისოფლურმა სიავემ მას, ამის მიუხედა-

ვად, სათნოება არ შემოფლანგვია, მოიძია, მოიჩხრიკა, შერჩა, ეგაა ოღონდ, ასე ულმობლად დაქუსლული სული მოურჩენლად სტკივა: **„უცებ მთრთოლვალე ხელი გაშალა, დაწვდა დაფინოს ხელს და ისეთი სახით ჩაიკრა გულში, თითქოს მიუწვდომელი განძი მოიტაცა და გულთან დაიმალაო...“**

ახლა კი, ამ უხანო წამწუთში დროის სისასტიკეს უმწეოდ, მაგრამ გაულახავი, ღირსეულად წარუდგა: **„... აღარ მჭირია, შიში დამიფრთხე მხოლოდ, ის მირჩევნია. აი, გაიხედე, როგორ ამოდიან ზღვის უფსკრულიდან ტალღები. შავები, ლურჯები, შეუპოვრები: შეხედე, ჩემკენ მოდიან, შემომცქერიან, ყური დაუგდე, რა ხმაზე გაიძახიან ჩემს სახელს კიდით კიდემდე! მიხმობენ, დაფი. მოდი, თავადის ქალო, დროა, ეზიარო არყოფნის მარადიული სიჩუმის საიდუმლოებასო. ნუთუ არ გესმის, დაფინო? მოდი, წინ დამიჯექი. როგორ დავიჯერო, არ გემეტება ჩემთვის შენი უმწიკვლოების ნათელი, რომელიც შენს ცოდვილ ქალბატონს წინ გაუძღვება ცხოვრების უკანასკნელ გადასასვლელზე“...**

... იმას ვამბობდი, დიახ, გარეგნობითაც, მენტალობითაც, სულიერად, ჯიშისმიერებით, ვინაობით იგი მიწაზე სათნოებად და სიყვარულადაა ფეხადგმული, მაგრამ გათვალული, ზაკვისგან გამოხრული ბედით... ორივე უკვარცხლბეკო სიდიადეა, თავთავიანთი სასიმაღლო წესით... ბედისწერის სისასტიკით ნატანჯს, როდესაც საქონდაქრესთან მიბორკილს სულახანძრების გაგანია მოაწყურებს, გულქვა სიცხადე, ადამიანის სახე მიღებული, ქერძაფით სავსე ჩაყვას მიაგებებს მოყვასის იერსახით და ჩვეულებრივ მოუნდომებს თვალებში ნაცრის მიყრას, - დალიე, უკვდავების წყალია, დედის ხსენივით შეგერგებაო!.. (ჰმ, დედა, - არადა, რა ძუძუწმინდა ჰყავდა იგი ნანას!)

... და ეს აღმართზე ქვის წამოწევები და თემშარაზე ხაფანგები მხოლოდ იმიტომ მიეფეთა, რომ მან სამშობლო ღვთისმშობლის წილხვდომილებად დაიდგინა, მისთვის საქართველო შინერს-ვაშინერსის წესრიგში და ქრისტესმხედრული ყოფაქცევით მოსათვალსაწიერებული ზნეობრივ-მო-

რალური სივრცე გახლდათ, ხოლო ქართველობა - სულის მოთხოვნილება კდემამოსილ მდგომარეობაში...

ზურგში მოხვედრილი ისარივით მტკივა ეს სიცხადე: მისი სადღეისო წამება ჩემთვის ისეთივე იგივეობაა, როგორც იმ წყეულ ომში, გუმისთაზე პირტიტველა შვილდახოცილი დედების მეგრული (აფხაზური) მერკიაფა, მენარღება, მინონგარაფა, შეოწამაფა, თვალუა...

თვალუამ გამახსენა: გახსოვთ, ლეო ქიაჩელის მოთხრობა (უფრო სწორად - იამბე, ანუ повесть) „თავადის ქალი მაია“ დიდებულ კინოფილმად გადაიღო ლანა ღოღობერიძემ (სამწუხაროდ და საბედისწეროდ, სხვა დროს შეცდა კი არა, მიეზოროტმოქმედა „კოლხურ კოშკს“!). იმას გეუბნებოდით, დასასრული სულისშემძვრელი აქვს ამ ფილმს, - სწორედ მეგრელი ქალის თვალუა მიაცილებს მაიას, - ქართულ ღვთივსათნოებათა ჯიშისმიერების ფეხდებას დროსა და სივრცეში და ნურავის დააბნევს მისი მიწიერი ჩამუხლება ზოგჯერ, ეს სწორედ ის დაკვირვებაა, დიდი შოთა რომ გვეღაღადება საუკუნეების მიღმიდან: **„გასტეხს ქვასაცა მაგარსა...“**

ტყუპისცალური მსგავსებაა ნანას ყოფით ვინაობასა და თავადის ქალი მაიას მხატვრულ სახეზოგადობაში. ერთიდაიგივე გემოვნებით ნახვეწი ესტეტიზმი განაპირობებს ორივეს სამყაროსეულ მზერას.

საცოდაობა როგორ არ მინახავს, ულმობელი ტანჯვაც ცხრამთას იქით მომხდარი ჭერჩამოქცევა არ გახლავთ ჩემთვის. შექსპირისეული ტრაგედიაარ, შემაშველებთ შედარებას თქვენც. ცოტაა, მიახლოებითაც არაა წინამდებარე მიმსგავსება. არც ევრიპიდეს ან სოფიკლეს გმირებს მიმშვილდისრებული მოირას ბედისმდევრობაა ეს. ამაშიც ქართველად დარჩა, - უდიდესი ტერენტი გრანელის (კვირკველიას) ცასწვდომილი ტანჯვაა მისი განსაცდელი, აი, ისეთი, წეღან რომ გაგიხორხისმიერეთ: **„ირგვლივ სიკვდილის ხელი მეხვია, რა მექნა, სულო, დაუცხრომელო! მსურდა, სიბნელე რომ გამერღვია და კვლავ ქვეყნისთვის თვალი მომევლო...“**

... თითქოს რა კავშირი აქვსო ამასთან, მაგრამ სურამის ციხე ჩემი ბესლეთის ხეობური ბავშვობის თავსატეხი გახდა, შემ-ზარა პატარა ზურაბის ცოცხლად კედელში ჩატანებამ, მეტიც, სული ამიფორიაქა ქვითკირიდან უწყვეტად გამომ-დინარე მისმა სიმწრის ცრემლებმა.

... თუმცა, ერთ დღეს კიდევ უფრო დამსეტყვა იმის გაგებამ, რომ როგორც მასწავლებელმა ამიხსნა (იყო ასეთი დრო, როდესაც ამ დონის ხალხს ებარა ჩვენი ცნობიერება), - **„ეს ცრუმორწმუნეობაა. სურამის ციხეს მტკვარი ჩომოუდის, კედლებს ანესტიანებს და უსწავლელ ხალხს ცრემლი ჰგონიაო...“**

უკვე ნათქვამი მაქვს რომელიღაც წერილში, მტკაველ-მტკაველ მაქვს დავლილი სურამის ციხის შემოგარენი, ისიც ვიცი, რა სიშორეზეცაა აქედან მტკვარი, მაგრამ ბავშვობის შთაბეჭდილება ისე მტკიცედ ჩამედუღაბა, მოვშორდები თუ არა იქაურობას, ასე მგონია ახლაც, აი, ამ წუთში მტკვარს გადაჰყურებს საბედისწერო სურამის ციხე!..

წელან ტერენტიზე ვლაპარაკობდი: საოცარია, მანაც იტან-ჯა სურამის სნეულთა სახლში. ეპოქის გულქვაობამ აღმგვე-ლად გადაუარა, დასცინა, გიჟიც უწოდა, ბოლოს კი სანაგვე ყუთი მიუჩინა ბინად: **„... და მაგონდება ისევ ის ღამე, როცა მეძინა სანაგვე ყუთში. ახლა ქარია, ტირის არღანი და მოწყენილი ზის თუთიყუში.**

შენ, დედამიწავ უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მო-ვიარ, წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!.“

ისევ მიწაზე ვარ მიჯაჭვული (სადღაც შიშია, ვიღაც ფით-რდება). მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება.

და ასე ფიქრი უფრო ძნელია, როცა თვალები ნათელს უც-დიან. ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა, ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა ბურუსია?!.“

ამის გასწვრივ „უტაქტობად“ მეჩვენება შალვა დადიანის „მზრუნველობაც“: **„ჩაიცვი, ყმაწვილო, ჩაიცვიო!..“** ამის საპი-

რწონედ ზედმიწევნით უმცდარ სასწორზე აიწონა ბედშავის პასუხიც: „**ბატონო, შალვა, არა თუ კაცმა, ბავშვმაც კი იცის ჭამა და ჩაცმა, შენ სიღატაკეს არ იცნობ, ალბათ, რომელიც არის პატარა ჯვარცმა!..**“

სხვათაშორის, როდესაც შალვა დადიანმა ლავრენტი ბერიას უთხრა, რომ ტერენტი გრანელმა ცხოვრებას ვერ გაუგოო, ლავრენტიმ კინაღამ თითისქნევის წესით განუმარტა, **„თვითონ ცხოვრებამ ვერ გაუგოო ტერენტი გრანელს!..“**

დღეს ჩემი თოლიგე ნანაც თავისი მშობლიური სურამის სანახებში იკრიალოსნებს ავმოსურნე დღეებს.

მტკივა, ვის ვუთხრა ან ვიღას გავაკვირვებ ამით, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ანუ **„წელსაც ზღვაზეა თავადის ქალი მაია!..“** <u>მაშასადამე, ნანა კვლავ სურამშია.</u>

სწორედ ისეთი აბორჯეებაა და თან ფარსაგი მოიპარება, როდესაც გენიალური ზაქარია ფალიაშვილის „მწუხრი დაიწყო“...

* * *

<u>**... და ბოლოს, ჩაღიღინება პროზად, მალხაზის არიის ნაცვლად:**</u> ნანა, მე შენთვის ოდესმე მითქვამს, - მიყვარხარ?

- შენ მიპასუხებ, არა!

გიდასტურებ.

... და მაინც, როგორ ფიქრობ?

... ?!

როცა გარდუვალი წამ-წუთი ასე გაშმაგებით მოგრიგალობს, გულწრფელი ადამიანები ამგვარ უმწეობაშიც, - ჩალოგინებულნი ჩვენსავით, ღირსებით ეთხოვებიან ერთმანეთს.

ცხადია, გულის ახანძრებას ჩემი სახასიათო მდუმარე კივილი ვერ ჩააქრობს, მაგრამ ასატანამდე გააყუჩებს ტკივილს, ესეცაა: ცრემლსაც სიჩუმეში უნარჩუნდება „პირუტყვისაგან განმასხვავებელი“ სინჯი.

მშვიდობით, ჩემო თოლიგე!

... ასეთი უბედური ერთხელ უკვე ვიყავი, როდესაც უშქარმა მტერმა ბორბონჯია ცეცხლს მისცა ჩემი ოდაბადე და მეც

სიცოცხლესთან ჩაკლანჭებამ საენგურსაქეთო სვლაგეზით გამომალიანდაგა. მე ნუ გეცოდებით, ნურც დამიტირებთ, მისი წკონდა გრძნობები და ლაგამამოუდები სიყვარული დაიტირეთ საადამიანო წესით, ასე უხვალდღეოდ რომ ჩაიქუსლა მოცლილ მოსეირეთა ჩასაფრებულმა ავმოსურნეობამ.

უკვე ჩალოგინებული, სამიწიეროდ დარჩენილი კაცობის საწყაოდ ვიდგენ მას და სიკვდილის წინა სურვილია ჩემი, - ხმაგაუბზარავად შევძლო ამის თქმა: **მიყვარხარ, ნანა!..**

* * *

შთამომავალო, თავის დროზე, უკვე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს) მიერთსხეულებული, საბედნიეროდ, სურამთან ახლოს, ჩვენს საფლავებთან თუ ჩაივლი და რამდენიმე სამადლო წამს ჩვენთვისაც გამოიმეტებ, სამაფშალიო ეს ჰანგი - ზაქარია ფალიაშვილის „**მწუხრი დაიწყო**“, - როგორც შეგიძლია, ისე ჩაიღიღინე ჩვენთვის, ორივეს გვიყვარდა იგი. ამას ქველმოქმედებად, ე. ი. მადლად და შენდობად ჩაგითვლის ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი. დიდება მის სახელს!..

<u>**მინაწერი ეკოჭიშაფად:**</u> *ასეც ხდება, ამ ოცდახუთი წლის წინ ერთმა ჩემმა „კეთილისმსურველმა“ მოინდომა და მთელი ათი წლის განმავლობაში დაჟინებით ცდილობდა „გონს მოვეყვანე“. სწორედ ამ მიზნით უნდოდა ჩემთვის მოეყოლა ნანას განაბიჯებული აღმართ-დაღმართის მისეული აღქმა. ეტყობა, მას მიამიტი, გულუბრყვილოდ მიმდომი და წინგაუხედავი ვეგონე.*

ბოლოს ეს ამაოდ მოგულითადე გავრიცხე საახლობლო ადამიანთა სიიდან.

რა იცოდა იმ (ვთქვათ ასე) ღრმადპატივცემულმა, რომ ის შარა, რომელზეც ცხოვრებისეული სიმახინჯე, შური, გადაგდება, თაღლითობა, პირუმტკიცობა, გაუტანლობა, ნდობის გაცამტვერება და ბევრი რამ კიდევ უარესი ნანას, მისი გამოუცდელობისა და მიმდომლობის გამო, შემოესარეველიანა, ეს ყველაფერი (რა თქვენი საქმეა საიდან და როგორ) მე

წამგამოუტოვებლად ვიცოდი იმ სიზუსტით, ჟამთაბერსაც რომ გააოცებდა.

მართლა ვყოფილვარ ძლიერი კაცი. *ჩემთვის ეს შუქ-ჩრდილი ყოფითი ყოველდღიურობის ნაგავსაყრელია, რომელშიც ქექვა კაცუნათა თავგართობაა. ამ სისასტიკესა და ავმოსურნეობას არაფერი აკავშირებს, არანაირი შემხებლობა არ აქვს ნანას ვინაობის დედან შინაარსთან: ის წკონდა ცრემლებით სულგანბანილი თანამოსანგრე იყო ჩემი და მისი გულამოხანძრული „ვაიმე“ (2021 წლის 2 ივნისი), როცა მის სასთუმალთან კიდევ ერთხელ მისი სიდიადის საკვარცხლ-ბეკოდ წარვდექი, უფალსწვდომილი საპირწონეა უმადურთა ჩასაფრებისათვის. ქვისმგროვებლებისა და თუ ლაფმძებნელებისათვის, ის ამ ქვეშაგებშიც ცადწვდომილება იყო, რასაც ვერასოდეს აუწვდენს თვალს ასე საძრახად გარჯილთა ხროვა.*

იმედია, გეხსომებათ: გადმოცემით, ძველ საბერძნეთში გასამართლებულ ერთ ბედშავ კაცს ლომთან გალიაში შეგდება მიუსაჯეს.

„ცხოვეთა მეფე“ მზრუნველად დაუხვდა დასაფლეთად გამეტებულ ტუსაღს. აღმოჩნდა, რომ ოდესღაც ამ მხეცისთვის წინამდებარედ დასჯილს თათში მტანჯველად ჩარჭობილი ხიწვი ამოეძრო.

აი, ასეთი ხიწვი ამომაძრო მე სულიდან ნანამ.

... და თუ მაინცადამაინც ეს არამკითხე „კეთილმოსურნენი“ დაჟინებით მომთხოვენ მისი ფსიქოლოგიური პროფილის მათ თარგზე შედგენას, ისინი უნდა გავაწბილო!.. იგი აი, ასეთია: ***მართლის იერსახით ბოროტი და ცრუ დაბეჯითებით უქნევდა თითს მის ქვეყანას, ამიტომ არასოდეს ავიწყდებოდა თავისი ერის დაჩექმილი, დღემდე აუხდენელი ოცნებები, ტკივილი, იარა და მარტოობა. აქედან გამომდინარე, იგი რეჟიმისთვის შემაწუხებლად, მეტიც, შემაშფოთებლად ანათებდა. ესაა ჩემთვის უმთავრესი.***

... და ერთიც: ნურავინ მოინდომებს წმინდა წერილზე მეტს. მას მიემოწაფეთ, მაცხოვარმა ხომ მხოლოდ იმას დარ-

თო ნება ქვა ესროლა თითმიშვერილი დედაკაცისთვის, ვისაც ამ ცისქვეშეთში არღარა შეუცოდავს!..

*ეს ისე, იმათ გასაგონად, ვისაც ჩასაფრებულად ცხოვრების წესი **„მე ყველაფერს ვხედავ, მე ყველაფერი ვიცი“**, ღვთივ-სათნო საქმე ჰქონია.*

ვაი, მოდგმაო, აღშფოთებავ - ჩვენთა ტკივილთა!..

* * *



<u>მინაქვითინები:</u> იმ დილით (ორშაბათს, 2021 წ. 9 აგვისტოს), თითქოს იქ მიბარებენო, სასწრაფოდ წავედი ჩვენი ბაღისკენ. ლეღვის ჩრდილში, კუნძზე წამოვჯექი და აქა-იქ უკვე დამწიფებული ლეღვები შევათვალიერე. ბუნება საკუთარი განრიგით იკრიალოსნებდა თავის ჟამს.

ბაღს ხელმიშვება დატყობოდა, ბალახს გამოეღო ხელი. გულმა ვერ მომითმინა და მეც ნელ-ნელა დავისაქვარე თავი. ამასობაში შუადღეც დადგა. კაღუ ავიღე, ლეღვის ტოტი მოვიწვდნე და ათიოდე ჩაბადაგებული ნაყოფი მოვწყვიტე.

იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორ მიმეწოდებინა ეს ნაყოფი მისთვის სოფელში. უცებ, რაღაც წამს, თვალთ დამიბნელდა და გული შემიღონდა, კველაზე წამოვწექი. ერთხანს ასე ვიყავი. მერე თითქოს გამიარა და სახლში წამოვედი. ამასობაში ხუთი საათი დაწყებულიყო.

ტელეფონს, რომელიც სახლში დამრჩენოდა, დავხედე, - 4 პასუხგაუცემელი საფარსაგო ზარი მიმიზნებდა ლულას.

მივხვდი, რაც ხდებოდა, გამიჭირდა, მაგრამ როდემდე მეცადა, დავრეკე, - შენი ნანა მიიცვალა, - ჭირისუფლური თანაგრძნობის გასწვრივ ტყვიადამხლელიც იყო პასუხი, - სამს რომ ხუთი აკლდა, მაშინ დალიაო სული...

თურმე, სადღაც ორი საათისთვის თვალი გაუხელია, რაღაცის თქმა და წამოწევა უცდია, მაგრამ უმწეოდ ჩაუსხეულდა ლოგინს, სიკვდილთან ორთაბრძოლაში იმდენი მაინც მოუხერხებია, თვალი, მისი ლამაზი, ნანაგე თვალი აზრიანად შეუვლია ყველასთვის და უკანასკნელ ძალ-ღომე მოკრეფილს ის იყო, ამოუბგერებია, უფ..., რასაც სული ამოაყოლა თან.

12 აგვისტოს, ხუთშაბათს, „ძლევაი საკვირველის“ დღეს, რომელიც დრომოჭმული და მისაჩქმალი თარიღია დღევანდელ ზეპურთათვის, მივაბარეთ მისთვის მშობლიურ მიწას.

* * *

საქართველოში მიუსაფარი ძაღლების ხვედრი და ჩემი არადანიც დღეს ტოლფარდი გახდა, ნებისმიერი მათგანის გამოხედვაში დედასამშობლოს ტანჯული მზერა დავლანდე...

მათგან ერთი, ჩემს ბაღს მოკედლებული მიუსაფარი ძაღლი იმ დილითაც მომემშობლიურა, გადაჭრით მომესახლიკაცა, მივხვდი, ჯაჭვსაც აიწყვეტდა და გამომყვებოდა... რას ვიზამდი, წავიყვანე...

... საფლავის ქვაზე მიხატული სურათიდან სასოწარკვეთილი მიყურებდა ნანა. ამის მიუხედავად, შიგადაშიგ, ტუჩის კუთხეში ეშმაკური გამოხედვით ჩემი და მისი ერთ-სხეულების გამონათებას ცდილობდა თითქოს.

... მე მყავდა უერთგულესი მომფერებელი - მამაჩემი, დედაჩემი, მამიდები... ძაღლები თუნთია და მურგვა, კატა ღაზო და მისი კნუტი ცაქვა...

ჩემი დარგული ხეები... ნათესები!

...იქვე, კორდზე ვიჯექით. ვგრძნობდი, ყველა ჩემი ძალისხმევის მაჯისცემას იმ საფლავიდან ის ყურს უგდებდა, არა, არ მომჩვენებია, თან სასოწარკვეთილი ღიმილით მიყურებდა-მეთქი.

... და მაინც მიწიერ საქართველოში მარტო ვიყავი, აქედან წასულს ეს ძაღლიღა თუ ამეთანამგზავრებოდა!.. დიახ, ეს მიუსაფარი ძაღლი, ჩემი სიმარტოვიდან გადმოასლებული ტყუპისცალური ხვედრით!..

ღმერთო, გამომათქმევინე, რაც იმ წმინდა ადგილზე გავისიგრძეგანე და დავინახე იმ დღეს!..

(პირველი წიგნის დასასრული)

იმედია, უფალი მომცემს ძალას, ღირსეულად დავასრულო მეორე წიგნიც...

სერგი საჯაიას ავტორობით გამოცემული წიგნების სია:

1. ებრძვიან ქრისტეს, ანადგურებენ საქართველოს, თბ. 1999 წ.
2. ცხუმ-აფხაზეთი და უზურპატორის დივერსიული ტაქტიკა, თბ. 1999 წ.
3. „კოლხური კოშკის“ ლასკარი და ცხუმ-აფხაზეთი, თბ. 1999 წ.
4. აფხაზეთის საომარი ავანტიურის მიზეზები და შედეგები, თბ. 1999 წ.
5. როცა თორმეტსავე სავარძელზე იუდა გაიშხლართა, I ნაწ. თბ. 2001 წ.
6. როცა თორმეტსავე სავარძელზე იუდა გაიშხლართა, II ნაწ. თბ. 2001 წ.
7. ე.წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგი და დივერსიული ეთნოფაბრიკაციები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), თბ. 2003 წ.
8. ვინ ჩაშალა ცხუმ-აფხაზეთში ერის დემოგრაფიული პროგრამა?!. თბ.2003 წ.
9. ზვიად გამსახურდია - ერის წინამძღოლი ქრისტესმხედრული მოვალეობით, თბ. 2004წ.
10. „დემოკრატიული“ გადაგვარებით „ცივილური“ გადაშენებისაკენ, თბ. 2005 წ.
11. შეგინებულ სარეცელთა ბოღმა, თბ. 2005 წ.
12. დღეები ცხედართა უხმო კივილისა, თბ. 2007 წ.
13. საითკენ მიჰყავთ ქართული აზროვნების წესი?!. თბ. 2008 წ.
14. ახალი საეთნოდივერსიო პოლიგონისთვის, თბ. 2009 წ.
15. ზვიად გამსახურდია - 70, თბ. 2009 წ.
16. ზვიად გამსახურდია და პონტო-კავკასიის ცნობიერი რაობისათვის, თბ. 2009 წ.
17. როცა ზნეობა მთვარის შუქზე საწმერთულს იხდის, თბ. 2010 წ.
18. დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი ტალღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), თბ. 2011 წ.
19. შეთქმულ თვრამეტიანელთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, I ნაწ. თბ. 2011 წ.
20. შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, II ნაწ. თბ. 2012 წ.
21. შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, III ნაწ. თბ. 2012 წ.
22. რაგადობანი უხვალდღეობის დღესასწაულთან, თბ. 2013.
23. შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, IV ნაწ. თბ. 2016 წ.
24. გულსმიწერაქვებული ახავი, I ნაწ. თბ. 2016 წ.
25. სისხლად ამონახველი მწუხრისბჭობანი ახალნათოვზე, თბ. 2019 წ.
26. გულსმიწერაქვებული ახავი, II ნაწ. თბ. 2019 წ.
27. შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, V ნაწ. თბ. 2019 წ.
28. რათა ტკივილი გაგიზიაროთ, თბ. 2020 წ.
29. საფიხვნო ინგირცმელედან მეამბოხე საფლავთა სახელით, თბილისი, 2021 წ.
30. ჩემო თოლიგე, ასგზის შურიგე და სულის ყებურო, ნანა!.. I ნაწ. თბ. 2021 წ

<u>მომზადებულია გამოსაცემად:</u>

1. შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, VI ნაწ.;
2. შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, VII ნაწ.;
3. ილაშრზენის ტანობონუდან მოთვალსაწიერებული უკიდეგანობა;
4. ვითომკაცი „პეტოვიჩი“ - თავდადგენილი წითელ გენერალ გივი ნიკოლაევიჩის ალმაციკინედ („სტუკაჩად“) და ორივე ერთად უბედურება ჩრდილო-დასვლეთ საქართველოსი (აფხაზეთის);
5. რაგადობანი ყურფირნიშიანი მიუსაფარი ძაღლების საჭირისუფლოდ დარჩენილი სატახტოს დედოგამზირიდან;
6. ჩემო თოლიგე, ასგზის შურიგე და სულის ყებურო, ნანა!.. II ნაწ.

შშვიდობით, ჩემო თოლიაგე!

...ასეთია უბედური ერთხელ უკვე ვიყავი, როდესაც უშქარმა მტერმა ბორბინგია ცეცხლს მისცა ჩემი ოდაბადე და მეც სიცოცხლესთან ჩაკლასჭებამ საეხგურსა-ქეთო სვლა-გეზით გამომალიანდაგა. მე ნუ გეცოდებით, ნურც დამატირებთ, მისი წკინდა ფრინთბები და ლიგმბმბოუდები სიყვარული დიატარეთ საადამიანთ წესით, ასე უხვალდღეოდ რომ ჩაიჭესლია მთა-ლიდ მთსეარეია ჩასიფრებულმა ავმოსურნეობამ.

უკვე ჩალთფსებული, სამშრეებოდ დარჩენილი კოცობის სანეყ-ოდ ვიდგენ და სიკვდილის წინა სუფთვილია ჩემა, – ხმაგეუბ-ზარაფად შეეძლით ამის თქმა: მიყვარხარ, ნახა!..

კოკორის სიშმინდეების მოლოდინი. 2007 წ. 15 ივლისი.